ლომაანთი თოჯოვილი

„ მერანი“ 1977 თბილისი

წიგნი მოამზადა და შენიშვნები დაურთო

მედეა ოყრეშიძემ

Ш $\frac{70403-8}{М\ 604(08)-77}$ 29–77

© გამომცემლობა „მერანი" 1977

დომენტი თომაშვილი

ასი წელი შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის დომენტი თომაშვილის დაბადებიდან. თავის უკანასკნელ ლექსში, რომელიც განმსჭვალულია სიცოცხლის მოახლოებული დასასრულის წინათგრძნობით, პოეტი მწვავე გულისტკივილით ეამოემშვიდობა თავის განუზომლად საყვარელ მშობელ ქვეყანას:

ველარა ვნახავ მშობლიურ მხარეს, —
ქვეყანას მზიურ ქართლოსიანთა,
ცის კაბადონზე ბაკდასხმულ მთვარეს,
ვერც გაზაფხულის დღეთა მზიანთა.
ველარ მოვისმენ ნაკადულთ ენას,
დაუსრულებელ ზღაპარ-ლეგენდებს,
ვერ შევისუნთქავ ვარდ-ზამბახთ ფშვენას,
ისე დავტოვებ წალკოტს და ედემს.

სამშობლოსადმი მიძღვნილი ამ შთაგონებული საგალობლის ბოლო სტრიქონებში მან თავისი უკანასკნელი ნატვრა და სურვილი ამგვარად გამოთქვა:

მხოლოდ ამაი გთხოვთ: ჩემს გარშემო
დარგოთ იები ვასახარელი,
რომ შემოგძახო, მამულო ჩემო:
ყავი და ხარ კვლავ საყვარელი.

მამულის სიყვარულის, მგზნებარე პატრიოტიზმის კეთილშობილური გრძნობით ჩავიდა დომენტი თომაშვილი სამარეში, ისევე, როგორც მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის ვრცელ გზაზე იგი, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ უწმინდესი გრძნობით ცოცხლობდა და მოქმედებდა. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში დომენტი თომაშვილი უმწიკვლოდ და უანგაროდ ემსახურებოდა ჩვენი ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერების საქმეს, მშობლიური კულტურის ზრდასა და განვითარებას. თვითმპყრობელური ტირანიის შავბნელ ეპოქაში იგი მთელი თავისი მოღვაწეობით და შემოქმედებით ეამოსტაკდა ხალხის ზიზღსა და გულისწყრომას რეაქციული წყობილებისადმი, ხალხის ნათელ ოცნებასა და მისწრაფებას ცხოვრების გარდაქმნისა და განახლებისაკენ; ხოლო ჩვენს დიად საბჭოთა ეპოქაში იგი ჭაბუკური აღფრთოვანებით შეეხაროდა და უმღეროდა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს განუხრელ აღმავლობას, თავისი მოკრძალებული წვლილი შეეჭონდა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული ძლევამოსილების საქმეში.

დომენტი თომაშვილი (დომენტი თომას ძე ოყრეშიძე) დაიბადა 1876 წლის 7 აგვისტოს ქუთაისის რაიონის სოფელ ჭოლევში, ღარიბი გლეხის ოჯახში. პოეტის მამა წერა-კითხვის მცოდნე, ჭკვიანი და ეონებამახვილი კაცი იყო. იგი, როგორც სახალხო მოლექსე, გლეხობაში პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა. უნდა ვიფიქროთ, რომ მისგან გადმოეცა მომავალ პოეტს შემოქმედებითი მისწრაფება და ნიჭიერება, მშობლიური ლიტერატურისადმი განსაკუთრებული სიყვარული და ინტერესი. 7 წლის დომენტი მშობლებს ქ. ქუთაისში ჩამოუყვანიათ და დაწყებით სკოლაში შიუბარებიათ. შემდეგ იგი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში და ბოლოს—ხონის (ახლანდელი ქ. წულუკიძე) სამასწავლებლო სემინარიაში სწავლობდა. 1898 წლიდან დომენტი თომაშვილი მუშაობდა სახალხო მასწავლებლად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლებში, ხოლო 1911 წლიდან, მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. როგორც ცნობილია, ეს სასწავლებელი ისევე, როგორც თბილისის ქართული გიმნაზია, თავის უპირველეს მიზნად ისახავდა ქართველი ახალგაზრდობის აღზრდას პატრიოტული სულისკვეთებით, პროგრესული სოციალური იდეების სულისკვეთებით. მეფის მოხელეთა მხრივ გაცოფებული დევნისა და ყოველმხრივი შევიწროების მიუხედავად ქართული გიმნაზიის მესვეურები და მასწავლებლები უშიშრად და დაუღალავად იღვწოდნენ იმისათვის, რომ მოსწავლეახალგაზრდობაში ღრმად დაენერგათ მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება, ეპოქის მოწინავე საზოგადოებრივი იდეალები, მშობლიური ენისა და კულტურისადმი სიყვარული. ასეთი მისწრაფებებით იყო განმსჭვალული დომენტი თომაშვილის სამასწავლებლო მოღვაწეობა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. თუ ამ სასწავლებელმა მრავალი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, მეცნიერების, ლიტერატურისა და სელოვნების მრავალი თვალსაჩინო ოსტატი აღუზარდა ჩვენს ქვეყანას, ამ საქმეში დიდი ღვაწლი და ამაგი მიუძღვის. დომენტი თომაშვილსაც, რომელიც არა მარტო თავისი შთაგონებული ლიტერატურული და პედაგოგიური მოღვაწეობით, არამედ თავისი იშვიათი ადამიანური თვისებებითაც და სპეტაკი ეორალური სახით საუკეთესო მაგალითს აძლევდა მოსწავლე-ახალგაზრდობას.

დომენტი თომაშვილის ბევრი ყოფილი მოსწავლე შემდეგში ცნობილი პიროვნება გახდა: აკადემიკოსები სიმონ ჯანაშია, გიორგი წერეთელი, არნოლდ ჩიქობავა, დავით ლორთქიფანიძე, პროფესორები შალვა რადიანი, ვლადიმერ ნორაკიძე, მწერალი აკაკი ბელიაშვილი, კინო-რეჟისორი დავით რონდელი და სხვ. ისინი ყოველთვის თბილად, მადლიერების გრძნობით იგონებდნენ თავიანთ საყვარელ მასწავლებელს. აი, რას წერს აკად. ა. ჩიქობავა.

„ქართულ ენასა და საქართველოს ისტორიას ძველი სენაკის ქართულ სკოლაში 1911 წელს სკოლის გამგე დომენტი ოყრეშიძე ვასწავლიდა. ემარჯვებოდა სასწავლო მასალის საინტერესოდ გადმოცემა. ტკბილი ადამიანი იყო: გაჯავრებული არ მახსოვს.

საქართველოს ისტორიას სიმონ ქვარიანის სახელმძღვანელოთი ვსწავლობდით. მოსწავლეებს დაინტერესება რომ შეგვატყო, გვითხრა: ნასადილევს ვინც ივლის, დამატებით ვამეცადინებო; მსურველი რამდენიმე მოსწავ-

ლე აღმოჩნდა. მაისის დამლევს სიმონ ქვარიანის სახელმძღვანელო, როგორც იტყვიან, მთლიანად „გავლილი გვქონდა". (მერე გაირკვა, რომ ეს სახელმძღვანელოს მასალას გიმნაზიის მეორე კლასში ამთავრებდნენ).

საქმის რა სიყვარული და მოვალეობის რაგვარი შეგნება უნდა ჰქონოდა მასწავლებელს, რომ რამდენიმე მოსწავლესთან დამატებით მეცადინეობა თავს ედვა და ეს მეცადინეობა თვიდან თვემდე ჩაეტარებინა, ისიც პროგრამით გაუთვალისწინებელი მასალის შესასწავლად:

დომენტი ოყრეშიძე ეკუთვნის იმ ქართველ პედაგოგთა წყებას, რომელთა მოღვაწეობა თავდადებული უანგარო შრომის მისაბაძ მაგალითად დარჩება ქართული სწავლა-განათლების ისტორიაში.

კერძოდ, ჩემთვის ეს დამატებით მეცადინეობა გაუთვალისწინებელი მნიშვნელობისა აღმოჩნდა.

„...გიმნაზიას თუ შევრჩი და საშუალო განათლების მიღება თუ მეღირსა, ამაში დიდი წილი უდევს „საქართველოს ისტორიის" სასკოლო სახელმძღვანელოს და მის ავტორს—სიმონ ქვარიანს, უფრო მეტი კი—დომენტი ოყრეშიძეს, შესანიშნავ პედაგოგსა და მოქალაქეს. დომენტი ოყრეშიძის სახელს ყოველთვის სიყვარულით ვიგონებ".

საბჭოთა წყობილების წლებში, უკვე ხანდაზმული პედაგოგი, დაუცხრომელი ენერგიით განაგრძობდა მუშაობას საბჭოთა სკოლებში და ეს კეთილშობილური შრომა მას არ შეუწყვეტია სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე.

დომენტი თომაშვილი გარდაიცვალა 1952 წელს.

ჯერ კიდევ ხონის სამასწავლებლო სემინარიის მოწაფე იყო დომენტი თომაშვილი, როდესაც ჟურნალ „კალაში" გამოქვეყნდა მისი პირველი წერილი, ხოლო საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილში" დაბეჭდა პირველი ლექსი. ეს იყო 1896 წელს, პოეტის შემოქმედებითი ცხოვრება იწყებოდა ჩვენი სამშობლოს ისტორიის მეტად რთულსა და მნიშვნელოვან პერიოდში. ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთის სახელოვანი პროლეტარიატის გმირულ რევოლუციურ ბრძოლათა ზეგავლენით საქართველოში ფართოდ იშლებოდა ეუმათა კლასისა და მშრომელი გლეხობის რევოლუციური მოძრაობა, მწვავე კლასობრივ ბრძოლათა ცეცხლი ედებოდა საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს, მშრომელი ხალხისა და ინტელიგენციის მოწინავე ფენებში ფართოდ ვრცელდებოდა მეცნიერული სოციალიზმის თეორია,—მარქსისტული მოძღვრება, იქმნებოდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, ქართველი მშრომელი ხალხი თავდადებით ემზადებოდა რუსეთის პირველი რევოლუციის ბარიკადებზე საბრძოლველად.

ასეთი საზოგადოებრივი ვითარება თავის გამოხატულებას პოულობდა მხატვრულ ლიტერატურაშიც, გარკვეულ მიმართულებას აძლევდა ჩვენი მწერლობის განვითარებას. კიდევ უფრო გამძაფრდა და გაღრმავდა კრიტიკული რეალიზმის მამხილებელი ტრადიციები, მწერლობის ყურადღების ცენტრში სოციალური პრობლემატიკა, კლასთა ურთიერთ დაპირისპირების საკითხები მოექცა. ლიტერატურაში შემოვიდა ახალი გმირი—მუშათა კლასის ტიპიური სახე—თავისი მებრძოლი სულისკვეთებით, ნათელი ოპტიმისტური მსოფლ-

შეგრძნებით, მალალი სოციალური იდეალებით. ყოველივე ეს, ცხადია, განმსაზღვრელ გავლენას ახდენდა მწერლობის სარბიელზე ახლად ფეხშემოდგმულ დომენტი თომაშვილზეც. მისი პირველი ლექსი „მატლს“ აღბეჭდილია სწორედ იმ მამხილებელი პათოსით, რომელიც ამ პერიოდის პროგრესულ ქართულ მწერლობას ახასიათებდა და რომელიც თავის მხრივ იმდროინდელი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისადმი ხალხის მომაკვდინებელ ზიზღსა და გულისწყრომას გამოხატავდა:

ბატლო, ჩამჯდარხარ ხის გულში,
ღრღნი, ხერხავ, არა გრცხვენია,
გარემოება ხელს გიწყობს,
ჩურთ-მოედანი შენია.
მაგრამ ამოვა ქარ-მეხი,
ძირში გადატეხს მაგ ხესა,
რაც იმუშავე აქამდის,
თავზე დაგაყრის ნახერხსა
წაგშლის და მოგსპობს ქვეყნადა,
დილა არ გაგითენდება,
ხის ძირიდან კი ისევე
ყლორტები აღმოცენდება.

ამ ლექსში, რომლითაც პოეტის შემოქმედებითი ცხოვრება დაიწყო, ნათლად მოჩანს, რომ დომენტი თომაშვილი თავიდანვე ერთგული მიმდევარი და უშუალო გამგრძელებელი იყო აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას ლირიკის ტრადიციებისა, რომ ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებაში უკვე იმ თავითვე რეაქციული სამყაროსადმი პროტესტისა და სიძულვილის გრძნობა განუყოფელად იყო დაკავშირებული იმის რწმენასთან, რომ მჩაგვრელთა პარაზიტული ხროვა საკუთარ დანაშაულობათა სიმძიმის ქვეშ გაისრესება, რომ დიად კლასობრივ ბრძოლათა მოახლოებული ქარ-მეხი ძირში გადატეხს მემამულურ-კაპიტალისტური წყობილების დახავსებულ ხეს, ხოლო მის ფუძეზე ახალი ცხოვრების მაცოცხლებელი ყლორტები აღმოცენდება. ამ ლექსის ალეგორიული ფორმაც, მისი სოციალური აზრიც, პოეტური მეტყველების სადა და ნათელი სამუალებანი—ყოველივე ეს აკავშირებდა და ანათესავებდა ახალგაზრდა პოეტს ქართული კლასიკური რეალისტური ლირიკის სახელოვან ტრადიციებთან.

პოეტი ხედავს წყვდიადით მოცულ ცხოვრებაში შემოჭრილ მომავლის ნათელს, შეეხარის და უმღერის მას:

სადღეხვალიო ხომ არ ვართ,
დღეს სულ სხვა დრო და ჟამია,
შუქ-ნათლის კარი იღება
იქ, სადაც ბნელი ღამეა.

აი, ბნელ ღამეში გამოჩენილი ეს შუქ-ნათელი შეადგენს პოეტის შთაგონების ძირითად საგანს. ისე, როგორც ირეოდიონ ევდოშვილი, მუშათა კლასის საბრძოლო აღფრთოვანების პირველი მომღერალი ქართულ პოეზიაში,

დომენტი თომაშვილიც შთაგონებული ოცნებით ეგებება მოახლოებულ დიად სოციალურ ქარტეხილებს. ოთხმოცდაათიანი წლების მკაცრი და სუსხიანი სინამდვილის წიაღიდან პოეტის გამჭრიახი თვალი ხედავს ახალი საუკუნის დამდეგის აღმაფრთოვანებელ მოვლენებს და ისწრაფვის, ამ რწმენით და იმედით ეაიყოლიოს მკითხველი ნათელი მომავლისაკენ:

მაშინ ცის მადლით ვიმსჭვალვი,
ვუკავშირდები ზენასა,
ფრთებს ვისხამ ტკბილი ოცნებით,
ვეძლევი აღმაფრენასა.
დავცურავ ვარსკვლავთ კრებულში,
ვეტრფი გაბადრულ მთვარესა,
შეეხარი მოკრიალებულს
ცის ლაჟვარდს მონარნარესა.
და ჩემსკენ ვიწვევ ქვეყანას
სიმების ტკბილი ჟღერითა,
მსურს ჩემთან ისიც დავატკბო
სალხინო გულისძგერითა.

ამ სტრიქონების დაწერის შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტმა დრომ განვლო. ამ ხნის განმავლობაში ღრმა ცვლილებები მოხდა როგორც ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, ისე ჩვენი პოეზიის განვითარებაში. პოეტური ოსტატობის თანამედროვე დონე სრულიად სხვაგვარ კრიტერიუმს გულისხმობს ლექსის შეფასებისათვის. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ გასული საუკუნის მიწურულის ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას, იმდროინდელ პოეტურ ატმოსფეროს, ჩვენთვის ადვილი გასაგები გახდება, თუ თავისი შემოქმედების როგორი ღირსებებით მიიპყრო ახალგაზრდა დომენტი თომაშვილმა მკითხველთა ყურადღება. ცნობილია, რომ აკაკი წერეთელი დიდად აფასებდა თომაშვილის ნიჭს, ხოლო გიორგი წერეთელი ახალგაზრდა პოეტისადმი გაგზავნილ წერილში ამბობდა: „შენი ფელეტონი და ლექსები მივიღეთ. ძალიან გვასიამოვნა ლექსებმაც და ფელეტონმაც. ეს სტატიები დაიბეჭდება „კვალში“. ეეტყობათ კალამი სამწერლოდ შეგიმუშავებიათ. ეცადეთ შემდეგშიც ნიჭიერად სწეროთ.“ ამ სიტყვებში მკაფიოდაა გამოთქმული ის დადებითი შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა სამწერლო საზოგადოებრიობაზე დომენტი თომაშვილის ლიტერატურულმა დებიუტმა. მალე ახალგაზრდა პოეტი მთელი იმდროინდელი ქართული პრესის, თითქმის ყველა მაშინდელი ქართული ჟურნალ-გაზეთის თანამშრომელი გახდა. იგი დაუახლოვდა და დაუმეგობრდა არა მარტო ქუთაისის ინტელიგენციის გამოჩენილ წარმომადგენლებს, არამედ ისეთ სახელოვან მწერლებსაც, როგორიც იყვნენ აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, დავით კლდიაშვილი, ირაოდიონ ევდოშვილი და სხვ. მათთან იდეურსა და შემოქმედებითს ურთიერთობაში იწრთობოდა თომაშვილის ნიჭი და ეს ურთიერთობა საკმაოდ ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა პოეტის წარმატებით ზრდისათვის.

გასული საუკუნის მიწურულში პოეტი ნათელი რწმენით და წრფელი სიმღერით ეგებებოდა მოახლოებულ დიად ბრძოლათა დღეებს:

ზამთრით გულდაწყლულებული
ნაღველს ვიქარვებ გალობით,
ტკბილი მყობადი აწმყოში
მოშაქვს ოცნების წყალობით
და უკვე ვხედავ ნეტარ დროს,
აბიბინებულ მდელოსა,
როცა ყველა სვამს ნექტარად
ბუნების სადღეგრძელოსა.
უკვე ვჭვრეტ ნეტარებასა,
ყველასთვის გულმკერდ ღიასა
და რაღად მძრახავთ, ვმღეროდე
მეც ხმატკბილ „ტია-ტიასა?!“

ამ სტრიქონებში მკაფიოდ მოისმის აკაკი წერეთლის ხმატკბილი პანგების ნიჭიერი გამოძახილი. პოეტი ხალხის უმაღლეს მისწრაფებებსა და ოცნებას გამოთქვამს. მის ლექსებში იხატება ხალხის გულში დაგროვილი და მძლავრად დაძაბული საბრძოლო სულისკვეთება.

მნათობო მზეო,
ამოდი ზეო,
ამაღლდი, გრძნობავ, გამრთელდი გულო,
ჩუ, კრთის ნათელი,
რწმენის სანთელი,
ჰა, ჟამი დგება სასიქადულო!

და არა მარტო წინასწარ გრძნობს და უმღერის პოეტი ამ სასიქადულო ჟამის მოახლოებას, არამედ მოუწოდებს კიდეც ხალხს გმირული და ვაჟკაცური ბრძოლისაკენ, რადგან მხოლოდ სახალხო ბრძოლით მოიპოვება ყოველგვარი გამარჯვება და კეთილდღეობა. ამ აზრით იყო განმსჭვალული საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი ატმოსფერო გასული საუკუნის მიწურულსა და ჩვენი საუკუნის დამდეგს და თომამშვილის პოეზიაშიც სწორედ ეს აზრი გამოიხატებოდა სხვადასხვაგვარი ფორმით, სხვადასხვაგვარ პოეტურ ხმოვანებაში:

და მაშ ჭიდილი,
სიცოცხლ-სიკვდილი,
უმისოდ, ვხედავ, გული არ ცხრება,
მკლავგამართული,
ბრძოლა ჩართული,
გვინდა სიცოცხლე და გამარჯვება!

პოეტი ერთგულად მიჰყვება სახელოვანი წინამორბედებისა და უფროსი თანამედროვეების გზას. მათ მსგავსად თომაშვილიც, ხალხის ამ საბრძოლოდ

ამოძრავების სანაში, ადამიანების უმაღლეს იდეალად ხალხის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის თავგანწირულებას სახავს:

დიახ, მსურს ქვეყნად არ ვავქრე
ერთ უმნიშვნელო ფერფლადა,
მსურს ქვეყნის საკეროხეველზე
დავიწვა მცირე მსხვერპლადა,
დავიწვა, მაგრამ ისე კი,
რომ გული კიდევ გულობდეს
და კვალი, ჩემგან ნაშთენი,
ამქვეყნად მოცოცქულობდეს!

დიდი საერთაშორისო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებით აღსავსე ჩვენი საუკუნის დასაწყისს პოეტი შეეგება ეპოქის ვმირული და მებრძოლი სულისკვეთების ამსახველი ლექსებით. უმრავლეს შემთხვევაში ამ ლექსებში ახალგაზრდა პოეტი კლასიკური პოეზიის სახეობრივი არსენალიდან გადმოტანილი მეტაფორებით და შედარებით სარგებლობდა. პოეტური მელოდიების, რიტმული წყობის მხრივაც ეს ლექსები არ გამოირჩეოდნენ რაიმე საგრძნობი სიახლით და ნოვატორული ძიებებით. მაგრამ არა პოეტური მეტყველების ფორმათა სფეროში ორიგინალური ექსპერიმენტებით იყო ამ წლებში გატაცებული პოეტი, არამედ იმ კანონიერი მისწრაფებებით, რომ ხალხის კულის სიღრმემდე ჩამწვდომ სადა და წრფელი სიმღერებით მისალმებოდა ქვეყნის საუკეთესო შვილთა კეთილშობილურ საბრძოლო დარაზმულობას:

ზღვა კვლავ ბობოქრობს ძველებრივ,
ზვირთებს ზვირთებზე აგორებს,
ხან მარჯვნივ სტყორცნის, ხან მარცხნივ
წყალთ აქაფებულ მთა-გორებს,
და ეკვეთება განწირვით
ხრიოკს, ამართულს კლდე-სალსა;
ზუზუნით მოსდებს მიდამოს
ნაჩინჩხალ-დანაკვესალსა.

თუ ერთის მხრივ ასეთი აღფრთოვანებით ესალმებოდა და უმღეროდა პოეტი სალ კლდედ ამართული ხრიოკის დასამხობად აზვირთებულ ტალღებს, მეორეს მხრივ იგი მომაკვდინებელი ზიზღით ამხელდა სულმდაბალ ადამიანებს, რომლებიც მონური მლიქვნელობით განრთხმულიყვნენ მჩაგვრელი ძალების წინაშე და ნასუფრალზე სცვლიდნენ სამშობლოს სახელსა და ღირსებას, ხალხის მომავალსა და ბედნიერებას;

მონა ხარ, მონა, სულითა,
მონობის წარმომშობელი!..
მოგწონს სიცოცხლე დუხჭირი,
დასაძრახ-დასაგმობელი.
ეთაყვანები სხვისასა,
უარგიყვია მშობელი,

სხვისთვის დაგიდგამს სამსხვერპლო,
შენივ სინათლის მქრობელი,
ბრიყვია შენი კერპიცა,
ცრუ ღმერთი დასამხობელი,
რა ოხრად უნდა შენსავით
თავისა უარმყოფელი?

ყოველი მოვლენა და კერძოდ, ყოველი პოეტური ნაწარმოებიც იმ კონკრეტულ-ისტორიული ვითარების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს, რომელშიც იგი აღმოცენდა და მოქმედებდა. ეს ერთადერთი თვალსაზრისი საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ ის სახალხო აღმზრდელობითი მნიშვნელობა, რომელიც ჰქონდა დომენტი თომაშვილის პოეზიას რუსეთის პირველი რევოლუციისათვის სამზადისის წლებში.

ცნობილია, თუ რა დიდი გამოძახილი ჰპოვა 1905 წლის რევოლუციამ ქართულ ლიტერატურაში. ამ დიად სახალხო მოძრაობას აღფრთოვანებულად გამოეხმაურნენ ქართული პოეზიის სახელგანოქმული კლასიკოსები აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა. რევოლუციის წლებში განსაკუთრებულის ძალითა და გაქანებით გაიშალა ირონდიონ ევდოშვილის შემოქმედება. ამ მძაფრმა და მგზნებარე წლებმა წარმოშვა მთელი თაობა რევოლუციური და დემოკრატიული იდეებით შთაგონებული პოეტებისა. დომენტი თომაშვილიც, როგორც მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოსული პოეტი, დაუცხრომელი შემოქმედებითი ენერგიით ასახავდა და უმღეროდა ხალხის ამ გმირულ საბრძოლო აღფრთოვანებას:

ძირს ჯალათები, ქურუმთ ტაძარი,
ძირს მტარვალობა გულშემაზარი,
გრგვინავს სიმართლე და შავბნელ ძალებს
დასცა მრისხანე ძრწოლა და ზარი.
განკითხვის დღეა ფარ-ხმლად მოწვდილი,
სულს ღაფავს მტერი ღონემიხდილი,
აქ გამარჯვება, იქ დამარცხება,
აქეთ სიცოცხლე, იქით სიკვდილი.

ამგვარი აღმაგზნებელი სიმღერებით ეთანხმოვნებოდა პოეტის ლექსი ხაუკუნოვანი მონობისაგან თავდასაღწევად ამხედრებული ხალხის აზრებსა და გრძნობებს. თითქოს პოეტის სიტყვით თვით ხალხი გამოთქვამდა დიდ სიხარულსა და აღტაცებას. დიდი ხნის ნანატრი და ნაოცნებარი თავისუფლების მოახლოების გამო:

ცა მშობლიური პირს იბანს,
ციალებს ლაჟვარდოვანი,
იმსხვრევა კერპი, იმსხვრევა
მონობა მრავალწლოვანი!

ქართული პოეზიის იმ ნაწარმოებთა შორის, რომლებშიც 1905 წლის რევოლუციის გმირული ეპოპეა აისახა, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს დომენტი თომაშვილის ლექსებს. ეს ლექსები მებრძოლი ტემპერამენტით, გმირული

და ვაჟკაცური სულისკვეთებით არიან აღბეჭდილნი. მათში ხალხის უტეხი ნებისყოფა, ნათელი რწმენა და ცხოვრების განახლების სიხარულია გამოთქმული:

სხივფერადი
განთიადი
მოელვარე, თვალჟუჟუნა —
დროშად ხელში,
ბრავლის მქმნელში,
თვით ცხოვრებამ დღეს გვარგუნა,
რომ, საერთოდ,
ქვესკნელს შევრთოთ
სულთმხუთავი მაჯლაჯუნა!

ასე კვალდაკვალ მიჰყვებოდა დომენტი თომაშვილის პოეზია ჩვენი ხალხის ცხოვრების განვითარებას. ხალხის ინტერესებისა და მისწრაფებათა სამყაროსთან ასეთი განუყოფელი ერთიანობა წარმოადგენდა მისი შემოქმედებითი ცხოვრების უპირველეს ღირსებას.

რეაქციის მძიმე წლებში, როდესაც ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში გაბატონებულმა წყვდიადმა რევოლუციის ბევრი თანამგზავრი შეიყვანა დაცემულობისა და უიმედობის ჩიხში; დომენტი თომაშვილი ერთგულად და განუხრელად ემსახურებოდა ხალხის საბრძოლოდ დარაზმვისა და ამოძრავების საქმეს. იგი მგზნებარედ გამოხატავდა ხალხის ზიზღსა და გულისწუხილს დროებით გამარჯვებული რეაქციის შავ-ბნელი ძალებისადმი.

წყეულიმც იყოს ის წამი,
ბედი რომ დაგვაწყევინა
და გამარჯვებულ მტრისა ბრბომ
ჩვენ უკან დაგვახევინა.

პოეტი ახალი ბრძოლებისათვის აღმაგზნებელი მოწოდებით მიმართავდა ხალხს:

კმარა დუმილი, სიჩუმე,
კმარა, აიღე მახვილი —
და შეუერთე შენს რისხვას
ეს ჩვენი ამოძახილი.
დასჭექ-დაგრგვინე, შემუსრე
ქურუმთა ბინა-ტაძარი
და აღვირწახსნილ თვითნებას
რისხვით დაეცი თავზარი.

ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ, თუ როგორი გამამხნევებელი და გამომაფხიზლებელი მნიშვნელობა ექნებოდა ასეთი ოპტიმისტური სულით განმსჭვალულ ლექსებს სახალხო სევდითა და მწუხარებით მოცულ იმ ხანაში, რომელიც მოჰყვა 1905 წლის რევოლუციის დამარცხებას. დომენტი თომაშვილი გულმხურვალედ ეხმაურებოდა მშობელი ქვეყნის ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენას და სახალხო გლოვისა თუ ზეიმის ყოველ შემთხვევას

თავის ლექსებში ასახავდა და აშუქებდა ხალხისავე სასიცოცხლო ინტერესების თვალსაზრისით. როდესაც ქართველი ხალხის უპირველესმა მტრებმა ვერაგულად მოპკლეს ილია ჭავჭავაძე, ამ შემზარავი ამბის გამო დაწერილ ლექსებში დომენტი თომაშვილმა მძაფრად გამოხატა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანთა საყოველთაო შეშფოთება:

კვლავ დაიქუხა საქართველოზე,
მოწყდა ვარსკვლავი საბედისწერო,
მოკლეს მგოსანი, განგმირეს იგი
და არვინა გვყავს სამაგიერო.

როცა თითქოს რეაქციის ამ ვერაგული იერიშის საპასუხოდ 1908 წელს საქართველომ დიდი სახალხო ზეიმით აღნიშნა აკაკი წერეთლის პოეტური მოღვაწეობის 50 წლისთავის იუბილე, ამ დიდი პატრიოტული დემონსტრაციისადმი მიძღვნილ ლექსში დომენტი თომაშვილმა ნიჭიერად გამოთქვა ხალხის აზრი და რწმენა:

აგუზგუზდა ჩაფერფლილი
ოვერიის ძველი კერა,
ბევრს ეცადნენ, მაგრამ მაინც
ვერ ჩააქრეს, ვერა, ვერა!

ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებში პოეტი აღფრთოვანებით მიესალმებოდა განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ აზვირთებას და წამაქეზებელად შესძახოდა ხალხის წიაღიდან გამოსულ მებრძოლთ:

ე მაგრე, თქვენი ჭირიმე,
ე მაგრე შეუტტანეთ
და თუნდ სიცოცხლეც მომთხოვეთ,
ზე თანვე გადამატანეთ!..
ბულს მოეფინა სიამე,
და შვება ივრძნო ტანჯულმა,
შმუშვნა რომ იწყო სოროში
იმ ცხრაგვერდა და ცხრარჯულმა.

პოეტი კიცხავდა ყოველგვარ დაცემულობას, უიმედობას, სასოწარკვეთილებას და შთაგონებულად უმღეროდა ამაყსა და შურისმაძიებელ სულს:

შევნატრი, ვისაც მძლე სიყვარული
დაუფლებია, ვითა მთიები,
და ვაი მონას, ვის გულშიც ჩაკვდა
სული ამაყი, შურისმძიები!..

ასე განუხრელად და თანმიმდევრულად, ასეთი სულიერი რაინდობით და პოეტური შთაგონებით გამოხატავდა დომენტი თომაშვილი რევოლუციამდელ შემოქმედებაში ხალხის საუკეთესო სურვილებსა და მისწრაფებებს, მის მღელვარე, შეურიგებელ პროტესტს რეაქციული სამყაროსადმი, მგზნებარე ოცნებას ნათელ მომავალზე. მთელი თავისი საზოგადოებრივი და პოეტური მოღვაწეობით იგი იცავდა და განამტკიცებდა პროგრესული ქართული კლა-

სიკურრ' მწერლობის დიდ რეალისტურსა და დემოკრატიულ-ჰუმანისტურ, პატრიოტულ ტრადიციებს, რითაც თავისი წვლილი შეეტანა მებრძოლი რევოლუციური სულისკვეთებით თაობათა აღზრდის საქმეში.

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებას დომენტი თომაშვილი ისევე, როგორც ჩვენი რევოლუციამდელი ინტელიგენციის სხვა ბევრი საუკეთესო წარმომადგენელი, წრფელი აღფრთოვანებით შეეგება. იგი მტკიცედ და უყოყმანოდ დაადგა საბჭოთა სახელმწიფოსთან აქტიური შემოქმედებითი თანამშრომლობის გზას. კომუნიზმის დიადი იდეების ცხოველმყოფელმა ზეგავლენამ, ჩვენი ხალხის გმირული შრომისა და ბრძოლის პათოსში, ახალ სიმაღლეზე აიყვანა დომენტი თომაშვილის შემოქმედება. მის პოეზიაში მრავალსახეოვად აისახა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს განუხრელი ზრდისა და აღმავლობის ეპოპეა, ფართოდ და მრავალფეროვნად გამოისახა საბჭოთა ადამიანის მდიდარი და კეთილშობილური სულიერი სამყაროს დამახასიათებელი თვისებანი. საყურადღებოა, რომ საბჭოთა სინამდვილის თემებზე მუშაობამ გაამდიდრა და განავითარა მისი პოეტური ოსტატობა, უფრო მკვეთრი და ქმედითი გახდა მისი ლექსის ფორმა. როგორც იდეურ-თემატური შინაარსის, ისე პოეტური მეტყველების საშუალებათა თვალსაზრისითაც მხცოვანი პოეტი კვალდაკვალ მიჰყვებოდა ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარების ტემპსა და დონეს.

როგორც მთელმა ჩვენმა პოეზიამ, დომენტი თომაშვილმაც თავის საუკეთესო ლექსებში წრფელი მღელვარებით გამოთქვა საბჭოთა ხალხისა და მისული მშრომელი კაცობრიობის განუზომელი სიყვარული და მადლიერება კომუნისტური პარტიის დიდი ბელადის—ლენინისადმი.

1917 წლის 7 ნოემბრის დიადი თარიღისადმი მიძღვნილ ლექსში პოეტმა კაცობრიობის ისტორიის უდიდესი მოკლენა—ოქტომბრის მზის ამობრწყინება—უშუალოდ დაუკავშირდა უკვდავი ლენინის სახელს:

მზის გულზე გადაიშალა
წალკოტი სავარდ-მაისო,
ჩვენი სამშობლოს ზეაღსვლა
მტრის გულზე ლახვრად დაისო;
ლენინ! იმ შენის მაღლითა
მშრომელთ ქვეყანა აივსო,
სარ და იქნები ჩვენს გულში
უკვდავი, სამარადისო!

საბჭოთა სამშობლოსადმი თავდადებული ერთგულების იდეა შეადგენდა დომენტი თომაშვილის პოეზიის ძირითად შინაარსს. ხანდაზმული პოეტი ახალგაზრდული შემართებით, ვაჟკაცური ჰანგებით მღეროდა დედა-სამშობლოს ძლევამოსილებისათვის საგმირო საქმეთა საგალობელს:

მე თუმცა წლებმა დამძალა,
გული კვლავ ფეთქავს გზნებითა:
სამშობლოს შევეწირები
თუნდაც ჭაღარა თმებითა,
შვილს და შვილიშვილს დავაფრენ
ფოლად არწივის ფრთებითა.

საბჭოთა პატრიოტიზმის უწმინდესი გრძნობით არის განმსჭვალული და შთაგონებული მისი ლექსის ყოველი სტრიქონი. პოეტს სრული უფლება ჰქონდა ეთქვა:

მხოლოდ ერთ სახელს ვიფიცავ,
მხოლოდ იმ ერთსღა ვვესავ მე:
შენი ვარ, გულის ნათელო,
მამულო, შენი კვნესა მე.

შემოქმედებითი ცხოვრების ამ ახალ პერიოდშიც დომენტი თომაშვილი ერთგულად აგრძელებდა ქართული კლასიკური პოეზიის საუკეთესო ტრადიციებს. მის ლექსებში მკაფიოდ მოისმის პოეტის დიდი წინამორბედების—ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას ჰანგები. ჩვენი ქვეყნის აღორძინებასა და განახლებას პოეტი განიცდიდა, როგორც ჩვენი დიდი წინაპრების საუკეთესო სურვილთა და ოცნებათა ხორცშესხმას. შოთასა და დავით გურამიშვილისადმი, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძისადმი, აკაკისა და ვაჟასადმი მიძღვნილ ლექსებში პოეტი სწორედ წარსულის ამ დიად ადამიანთა მიერ ნაოცნებარი სამშობლოს თავისუფლებისა და ბედნიერების განხორციელებას უმღეროდა:

დიდო ილიავ, დღეს შესატყვისი
სამშობლოს ჩვენსას დაჰხარის ზეცა,
ძველმა ქვეყანამ მიიზღო თვისი
და სამშობლოსთან აღსდექი შენცა.

კიდევ უფრო ძლიერად და მკაფიოდ ეს აზრი პოეტმა განასასიერა აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი ლექსის დასკვნით სტრიქონებში:

განიფრთხო და გაიღვიძა, —
მოკაშკაშებს ცმთა და მდელო,
ნატვრის თვალად მოკიაფობს
საყვარელი საქართველო.
„დიდება და ვაშა“ ისმის
ჩვენი ქვეყნის გარეშემო,
ძლევის ხმებად გადაიქცა
ნაღვლიანი „თავო ჩემო“...

ძლევის ხმებად, ჩვენი დიადი თანამედროვეობის საგმირო საქმეების მადიდებელ ჰიმნად იქცა დომენტი თომაშვილის პოეზიაც. მთელ ქართულ საბჭოთა პოეზიასთან ერთად მისი ლექსები თავს დასტრიალებდნენ და უმღეროდნენ რუსთავისა და სამგორის მშენებლობას, ტყიბულის რკინიგზის ბაზზე ელექტრომავლების ამოძრავებას, ქვანახშირის ახალ საბადოთა აღმოჩენას, ქუთაისის ავტომობილის დაბადებას, „სავარდო და სამაისო“ ქუთაისის ინდუსტრიულ აღმშენებლობას, კოლხეთის ველზე ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციების გაშენებას—ყველაფერს, რაშიაც ცოცხალ გამოხატულებას პოულობდა ჩვენი დიადი ეპოქის საერთაშორისო ისტორიული აზრი და მნიშვნელობა.

მაგრამ ყველაზე მეტი შთაგონებით და მგრძნობელობით პოეტი ადიდებ-

და ახალი ცხოვრების მშენებელ საბჭოთა ადამიანს—ჩვენი დროის გმირს, თავისი კეთილშობილური ზრახვებითა და მისწრაფებებით, თავისი სახელოვანი საქმეებით.

ჯანსაღ თაობებს უზრდიდა სამშობლოს დომენტი თომაშვილი როგორც თავისი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობით, ისე თავისი პატრიოტული პოეზიით და ამ თაობის ახალი შრომის გმირების სასახელო საქმეებს აღბეჭდავდა პოეტურ სახეებში მისი ლექსი.

ღიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში დომენტი თომაშვილის პოეზია საბრძოლოდ მომწოდებელ და აღმაგზნებელ საყვირად იქცა. მსცოვანი პოეტი სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლების დასაცავად თავგანწირული ბრძოლისათვის მოუწოდებდა ხალხს:

აღსდეგინ, ძენო ქართვლისა,
„აყართ წვერ მახვი რკინისა,
ქვეყნის მტრის სისხლიც შეგისვამთ,
„უტკბეს კახეთის ღვინისა“,
ბერი მინდიაც გიძღოდეს,
უდრეკი სალი ტინისა!

ასეთი გმირული სიმღერებით ეხმაურებოდა მსცოვანი პოეტი საბჭოთა ფრონტისა და ზურგის მებრძოლთა სახელოვან საქმეებს სამამულო ომის წლებში. ხოლო ომისშემდეგი მშვიდობიანი მშენებლობის დღეებში კომუნიზმის მშენებელი ხალხის შემოქმედებითი შრომის მადიდებელ სიმღერასთან ერთად პოეტი გამაფრთხილებლად მიმართავდა ახალი ომის სისხლიან გამჩაღებლებს:

ამაყობთ ოქროს ზოდებით,
ატომით, ცათამბრჯენ; ით,
და ლამობთ ქვეყნის დაპყრობას
ცეცხლის საშინელ ენებით.
მაგრამ გახსოვდეთ, ჯამი რეკს
მაგ თქვენის აღსასრულისა,
ვერ შესძლოთ დამორჩილება
ოავისუფლების სულისა!

დომენტი თომაშვილის პოეზიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ისტორიულ თემატიკას. ჩვენი ქვეყნის გმირული წარსულის მომასწავებელი ისტორიული ძეგლებისადმი მიძღვნილ ლექსებში პოეტი გამოხატავდა ხალხის კანონიერ სიამაყეს სახელოვანი ისტორიით და ისევ და ისევ ადიდებდა ჩვენს დიად ეპოქას, როგორც წარსულის უმაღლეს და საუკეთესო ოცნებათა განხორციელებას.

1945 წელს დომენტი თომაშვილს ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის იუბილე გადაუხადეს. ლექსად წარმოთქმულ სამადლობელ სიტყვაში მსცოვანი იუბილარი ამბობდა:

მოვხუცდი და კვლავ ვარ მისი მსახური
მამულის და მშობლიური ქვეყნისა,
მას უმღერდა მუდამ ჩემი ჩონგური,
ნემს სულს და ვულს მხოლოდ ის შეეთვისა,
მე საშშობლოს მომღერალი ვიყავი,
მისთვის ვკინძე ეს კონები იისა,
მიიღეთ ეს მცირე მოსაკითხავი
სანალკოტე ვარდად პოეზიისა.

საშშობლომ მადლიერებით მიიღო მოკრძალებული პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ეს წრფელი და შთაგონებული „მოსაკითხავი". 1939 წელს დომენტი თომაშვილს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება მიენიჭა. მისი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი ღვაწლი საბჭოთა ხელისუფლებამ ორდენითა და მედლით აღნიშნა.

დომენტი თომაშვილის მთელი ცხოვრება და შემოქმედება სამშობლოსადმი უანგარო სამსახურის, სულიერი კეთილშობილების, შთაგონებული შრომის მკაფიო ნიმუშია. ამიტომაც უნდა იცნობდეს მას ჩვენი ხალხი, განსაკუთრებით—ჩვენი ახალგაზრდობა.

ბესარიონ ჟღენტი



ცხოვრების ხმა

ზოგს ვუწევ ნამდვილ დობას და
ზოგს მარტო მეგობრობასა,
ზოგს კი გულცივად ვეპყრობი,
არ ვუშლი მტერ-მოყვრობასა
ზოგს სულ ნამეტანს ვუშვრები,
ტალახში ვავლებ მარადა
და ხან ლუკმისთვის გავგზავნი
საბრალოს კარისკარადა.
ერთსა ვზრდი ფუფუნებაში,
ქურქში მყავს გამოხვეული,
მეორე ისე დამიდის
ძონძებში, ჩამოხეული.
ზოგს გულს ვუწამლავ დარდებით,
ხან კეთილს ვაუკეთურებ,
ერთს ვაძლევ ბედნიერებას,
მეორეს ვაუბედურებ.
ერთის ვარ აღმშენებელი,
ათასის დამაქცევარი
და კიდეც მიტომ ბევრი მყავს
მკრულავი,
დამაწყევარი...

მაგრამ, იცით, რა? დაბოლოს
ერთიც არ დამემდურება:
ყველას საფლავში ვასწორებ,
ყველა იქ მიეშურება.

1899 წ.

მატლს

მატლო, ჩამჯდარხარ ხის გულში,
ღრღნი, ხერხავ, არა გრცხვენია,
გარემოება ხელს გიწყობს,
ბურთ-მოედანი შენია.

მაგრამ ამოვა ქარ-მეხი,
ძირში გადატეხს მაგ ხესა,
რაც იმუშავე აქამდის,
თავზე დაგაყრის ნახერხსა.

წაგშლის და მოგსპობს ქვეყნადა,
დილა არ გაგითენდება,
ხის ძირიდან კი ისევე
ყლორტები აღმოცენდება.

1896 წ.

კუდქიცინა მეგობარს

იცი, ყველას ეჯავრება
რიდეახდით პირში მთქმელი,
ხედავ, რომა ყველასა სძულს
მოუბარი პირუთვნელი.

იცი, რომ ბრბოს წრფელი სიტყვა
გულს უგმირავს, როგორც ტყვია,
მისი გულის საიდუმლო
ზედმიწევნით შეგიტყვია.

და სარგებლობ შენ ამ ცოდნით,
მელასავით იქნევ კუდსა,
შეწმახნული ტკბილი ენით
ემსგავსები მტრედის ხუნდსა.

მით იზიდავ საზარელი
გულუბრყვილო ხალხის ჭკუას,
და ნავარდობ იმის ზურგზე,
ჭეჭყავ, როგორც ჭია-ღუას.

ფიე, შორს, შორს, კუდქიცინავ,
ხმაროს ცბიერ გარეგნობას
და სამშობლოს, გულით ალალს,
მით უცხადებ მეგობრობას.

მაგრამ მე ვერ მომატყუებ,
შემიგნია შენი წესი:
მიმპარავი ძაღლი არის
მყეფარაზე უარესი!..

1898 წ.

ცრემლები

არ ვიტირო? აბა, რა ვქნა?
პირში სული მეხუთება.
მამა-პაპის შენაძენი
მეკარგება, მეღუპება.

მუდარებით, სვეწნა-თხოვნით
შევაწუხე მტერ-მოყვარე,
აქეთ ვეცი, იქით ვეცი,
ვერაფერი მოვაგვარე.

დავძაბუნდი ღონით, გულით,
ჯიბე ძალზე გამითხელდა
და წყეული კუჭიც ამ დროს
ჭამისათვის გამიხელდა.

ვფიქრობ, თუ რა მეშველება
ვერაფერი მოვიგონე
და ჩემ თავზე მოწევნილსა
მწარე ცვედრსა დავემონე.

●

ვზივარ ჩემთვის, ცრემლებს ვაფრქვევ,
ვტირი, ვგლოვობ ბედისწერას,
შეეჩვია ჩემი გულიც
უიმედო მკერდში ძგერას...

ხანაც სასოწარკვეთილი
ვმღერი „თარა ნანინასა“.
უიმედო, მწარე ყოფას
მე შევჩივი ქვეყანასა.

თვალზე ცრემლებ შეუშრობელს
მუდამ გული მეხერხება,
გარჯილობა-შრომაზედა
ცრემლი უფრო მეხერხება...

არ ვიტირო ამ ყოფაში?
აბა, როგორ გავიცინო?
იქნებ სიზმრად გადაიქცეს,
მოდი ერთი დავიძინო!..

1898 წ.

ქალწულს

გული გიღელავს ზღვასავით,
აგორებს ტალღა-ზვირთებსა,
სპეტაკ ღაწვებზე აცურებ
მომხიბვლელ მარგალიტებსა.

ზეცას შეჰყურებ შეფრქვევით,
სიტურფით ჩრდილავ მთვარესა
და ქვეყანაზე ფეხმდგომი
ამშვენებ არემარესა.

ყვავილთა გუნდში ტრიალებ,
აგროვებ თაიგულებსა,
ხან ჩაფიქრებით დაჰყურებ
მინდორ-ველთ დაქარგულებსა.

ფეხქვეშ გეგება ყვავილი,
სურვილით დაგემონება...
მაგრამ, ვინ იცის, ქალწულო,
ვისკენ ჰქრის შენი გონება?

ერთხელ შევნიშნე, რომ ცაში
ვარსკვლავი ანთებულიყო
და შენ საძებრად ქვეყნადა
სხივები გადმოსულიყო.
ბაღში გიპოვეს სხივებმა,
პირზე ღიმილი გიკრთოდა
და ვარდს რომ წყვეტდი, იმ წამში
გლახ-გული ვნებით გითრთოდა.
და როცა სხივებს შეხედე,
შეფრქვევით შეხტა, გიამა,
სიტყვა თქვი, ყური ვერ მოვკარ,
შორს გაიტაცა ნიავმა
სახეზე ნაზი ღიმილი
ვარდისფრად გადაგეფინა,
რა სიტყვა იყო ის სიტყვა,
ნეტავი გამაგებინა!..
ქულწულო, გული გიღელავს,
აგორებს ტალღა-ზვირთებსა...
ნეტავ ვიცოდე, იმ სიტყვით
გულში ცეცხლს სად, ვინ ინთებსა?!.

1899 წ

ნაწყვეტები

I

ვითა ეული,
შორს გაქცეული
გულ-ხელ დაკრეფით ვდგავარ მდუმარე:
თვლემს მთლად ქვეყანა
და სულ ყველგანა
მეფობს სიჩუმე, დუმს არემარეც.
ვეტრფი მთვარესა,
მონარნარესა,
ცის კამარაზე გასხივოსნებულს
და მის გარშემო,
ამ წამს, საჩემოს,
სხივმოციმციმე ვარსკვლავთა კრებულს.
ნეტარობს სული
აღფრთოვნებული,
ცის საღმრთო ალი გულში მეგზნება
და, რასაცა ვგრძნობ,
ენით ვერ ვამბობ,
სულმთლად მაღელვებს ტკბილი ოცნება.
მით გულს ვიყვავებ,
თავს ვერ ვუკავებ
გონებას, ცისკენ განავარდებულს...
ვგრძნობ ციურ შვებას,
ვგრძნობ ნეტარებას,
გულის სიამეს გაორკეცებულს
და ვით ძველისძველს
წინასწარმეტყველს
ზე იტაცებდა ეტლი ციური,
აგრეთვე მეცა
მიზიდავს ზეცა;
მაღლა მიმაფრენს მადლი ღვთიური.
მაშ, გასწი მხსნელო,
გონებავ წრფელო,
ზეცისკენ მექმენ მე წინამძღვარად,

ხელთ იპყარ ფარი,
    გაჰკაფე ნარი
და წინ, წინისკენ მარად და მარად!..

II

    თვალებს ვაცეცებ,
გმირებს დავეძებ
და ხელთ მიპყრია მკაცრი საყვირი,
    ცას შევღაღადებ,
    მაღლა ვაცხადებ,
მაგრამ ამაოდ, არსად ჩანს გმირი,
    რომ მხარი მომცეს,
    არსად გამექცეს
და შეერთებულ ძალით და ღონით
    ავიღოთ საჭე,
    დრო ვიპყრათ მარჯვე
და უვნებელად გავიდეთ ფონით.
    ვჭვრეტ ადამის შვილს
    ბედით კმაყოფილს,
სხეულით, ლეშით გალაღებულსა,
    თვალთა ბრიალით,
    მხეცებრ ღრიალით
ამ ქვეყნად ყველგან თავაღებულსა.
    ის რას არ ჩადის,
    ამაყად დადის,
იმას სუყველგან მიუხარია;
    მაგრამ საწყალი
    და შესაბრალი
თავისთვის ცოცხლობს. სხვისთვის მკვდარია.
    შმაგობს გონება,
    არ ემონება
ამგვარ წესს, კაცთგან დაკანონებულს,
    მძაგს თვით სიცოცხლე -
    ჩემი თანამხლე,
როს ვხედავ კაცსა გაპირუტყვებულს
    და ვნატრობ სიკვდილს,
    ცელ-ხმალ ამოწვდილს,

სამარე მიჯობს მე ამის ცქერას.
    დაიხშოს გრძნობა,
    მიმეღოს ცნობა,
ჯობს სევდით მოცულ გლახ გულის ძგერას.
    მაგრამ რას ვამბობ...
    სიმაგრეს ვამხობ
თვითონ მე, ჩემგან აშენებულსა.
    გულო, გამაგრდი,
    გრძნობავ, ამაღლდი,
ფრთას ნუ შეიკვეც გამალებულსა!
    იძრე მახვილი
    წვერწამახვილი
ეკვეთე მტერსა—იმ კაენის შვილს,
    დროშა ამართე
    და გაუმართე
ბრძოლა კაცს, ქვეყნად გახრწნილ-
                გალეშილს!..
    და გრწამდეს: ერთხელ,
    თუ ხშირად ამხელ
მასზე ცა რისხვით მოიბინდება.
    და, თუ ხანს აცლი,
    ეს შენი ღვაწლი
გრწამდეს, ღირსებით დაგვირგვინდება!..

III

    მნათობო მზეო,
    ამოდი ზეო,
ნათლით მოსილო და სხივოსანო,
    გვირგვინო ცისა,
    მნათო მიწისა,
თვალო დიადო პატიოსანო!
    ქვეყნის მაშვენი —
    ის შუქი შენი
მოჰფინე ქვეყნად, გაჰფანტე ბნელი
    და უფლის სახე
    ზედ გამოსახე

კრძალვით საქები, სადიდებელი!..
შავი ზეწარი,
არ ტკბილი, მწარი,
პურვილ ქვეყანას შენ გადაჰხადე,
რომ ყველამ იგრძნოს,
გაიგოს, იცნოს,
ᲛᲐᲓ ვის უგია რაგვარი ბადე·
ცრემლით დანამულს
არ სცე დანა გულს,
მის ბედს შეხედე, გაუციმციმე,
ცრემლი მოჰბანე,
აღაფრთოვანე
ღონე მიხდილი, სუსტი ტვირთმძიმე!..
დე, ყველას ჰქონდეს
ყველას ახსოვდეს
მაღალი ვალი თანასწორობის,
ნდობის, გატანის,
გულისწამტანის
სამარადისო ერთობა-ძმობის!..
არ სიტყვით მარტო,
საქმითაც ფართო
მიეცეს წინსვლა მაღალსა მცნებას...
მართლის თქმა ბედვით,
აქ ქვეშ-ქვეშ ხედვით
დეე, ასრულდეს, რაც სურს განგებას.
მნათობო მზეო,
ამოდი ზეო,
ამაღლდი გრძნობავ, გამრთელდი გულო,
ჩუ, კრთის ნათელი,
რწმენის სანთელი
ჰა, ჟამი დგება სასიქადულო!..

IV

ᲐᲰᲠᲘᲡ ᲡᲘᲝ ᲜᲔᲚᲘ,
ᲑᲘᲑᲘᲜᲔᲑᲡ ᲕᲔᲚᲘ,
თავს დაგვქათქათებს ვარსკვლავთ კრებული,
ᲙᲐᲛᲙᲐᲛᲔᲑᲡ ᲛᲗᲕᲐᲠᲔ
და არემარე

თვალებსა ნაბავს გაბრწყინებული.
ჩუ, სტვენს ბულბული,
გრძნობით რეკს გული
და იორკეცებს ნეტარებასა.
ტურფად ნაზარდი
კეკლუცობს ვარდი
და აკმევს გუნდრუკ-სუნნელებასა.
მეც ვნებაშლილი
ადამის შვილი
სოფლური ზრუნვით აბორგებული,
ერთიან მთელად
ქვეყნის სანთელად
აქ შავ წერტილად დაბადებული,
ყურს ვუგდებ რიდით,
კრძალვითა დიდით
ბუნების დიად საიდუმლობას
და შიგ ვეჭვრეტ ღვთის ხატს,
არსით დანახატს
და შორს მივყევარ იდუმალ გრძნობას.
წინ იწევს გული
აჩქროლებული,
ველარ ეტევა ბუდეში მარტო,
მე მას ველარ ვძლევ,
თვითონ მხარს ვაძლევ,
მსურს სარბიელი ვრცელი და ფართო!..
და მაღლა ზენას
ვვედრი შეწევნას,
ხელი გამიწყოს და მომეშველოს,
მქნას ნაკვერცხალად
და დამწვას ძალად,
რომ კაცის ცივ გულს რამე ეშველოს!..
ან მომცეს ნება,
ხელმძღვანი ცნება
და მასთან ერთად შუბი საგმირო,
რომ კაცის გული,
აზვირთებული
შურით და მტრობით, მითი გავგმირო!..
რომ კაცად კაცადს

ჭირ-ვარამ ნაცადს,
ოვის ნაოფლარი მოვათხოვინო
და თავაღებულს —
კაცს გალაღებულს
ოავის ძმის სისხლი არ ვაწოვინო.
მადლი ვამეფო,
შევქმნა სამეფო
უდიდეს ცნების სიყვარულისა,
ძმობის, ერთობის,
თანასწორობის,
ტკბილ-სანეტარო სიხარულისა!..
ეს არის ჩვენი
და დანარჩენი
დეე, მოისპოს და წაიშალოს,
რომ იფქლთან ერთად
კავშირმაერთად
ღვარძლის შტოები არ გაიშალოს.
ვთხოვ, მამამაცოს,
ზე ალმიტაცოს,
რომ ამოვწყვიტო ამოსაწყვეტი
მას ჭიმი ავდვა
და ქვეყნად მოვდვა
ამ ჩემი გულის ჩამონაწყვეტი!..

V

ფიქრთა გროვანი,
სევდა-გლოვანი
გულზე მაწვება, ვით მძიმე ლოდი.
მე შენ გიგალობ,
შენ კი არ მწყალობ,
დროვ სანატრელო, მომიახლოვდი!..
შენით ვსულდგმულობ,
ვმედგრობ, ვლომ-გულობ,
შენითვე ჭირსაც დღეს ვუმკლავდები,
მო, და ნამდვილად,
მიხსნი ადვილად,

თუ დროზე გაბრწყინ-გავარსკვლავდები!
ცრემლი-ნაკადი,
არ დასაქადი
ჩანგის ობოლ სიმს კვლავ ესხურება,
ჩანგიც შენთვის ულერს,
გულიც შენთვის ძგერს,
ჭარადჟამს გეტრფის, გემსახურება.
ქვეყნად ეული —
უძლურ-სნეული
შენსკენ ვისწრაფვი გამალებული
და ნუ მაყვედრებ,
თუ თავს გავედრებ
შენთვისვე მსხვერპლად გამზადებული.
შენც გულწრფელობა
და მფარველობა
დაჩაგრულ კაცის დაგეკვალება.
და რომ ვერ გხედავ,
თქმას გაგიბედავ,
ნუთუ კაცთ ტომი არ გებრალება?
ახ, შუბი ვმახო,
ტახტი დავამხო
ცბიერების და ფარისევლობის,
დავგლიჯ-დავლეწო,
დავანამცეცო
ის, რაც წრე-ზღუდედ მათ გარს ევლება.
ხმა მიწვდეს ცამდე,
ზღვა-მთა ბორცვამდე,
თუნდ, ცავ, შემრისხო და გამიავდე,-
მათ ჩაფხუტ-რიდეს
ზღვა-ხმელთა კიდეს,
ვით ქარი ბზესა, ვინიავებდე!..
ვიმარჯვ-ვისწრაფო,
ნარი გავკაფო,
გზა გავუცელო სანატრელ დროსა,
მსხვერპლად თავს ვდებდე,
მას ვუმზადებდე,
სამარადჟამო საბინადროსა!..

ვინ არს გამგონე?
მე, ძალთ არ მქონე,
ჩემივ სიტყვებით მკაცრად ვწბილდები
და სავაგლახოდ,
სასულთქმა-ახოდ,
მხოლოდღა ნატვრით ვკმაყოფილდები.

VI

მადლი მადლს ერთოს,
რომ მით აენთოს
ლამპარი იგი ბრწყინვალებისა,
მთლად ქვეყნად რებდეს
და ბზინვარებდეს
ნათესი აზრი განახლებისა.
და რომ პატრუქი,
მის ნათელ-შუქი
არ დაშრტეს,—ლამპარს ჩვენც ზევით ვმატოთ
და გულნადები,
ნაღაღადები,
მით ნათელქმნილი, ვაანდამატოთ.
თუ გაცუდდარდეს,
ეკლად დავარდეს,
ვითა იგავში თესლი მთესველის,
რომ არ შეიშთოს,
ჩვენ გვმართებს იმ დროს
ეკალთ საკაფად მიცემა ხელის.
ბრძოლას მედგარსა,
ბურჯივით მდგარსა
ვით მთესველისგან მოითხოვს იგი —
იქცევა ჩალად,
უმნიშვნელ ძალად,
არ შეუსრულდა თუ თავის რიგი.
შემდეგ ბრძოლისა,
მკერდმიწოლისა
ის თვალსაჩინოდ აღმოცენდება
და ობლად ნაზარდს,

იმ წალკოტის ვარდს
საამო დილა გაუთენდება.
    მის ელვარება
    ელამპარება
ქვეყანას, მცივანთ ემზე-დარება,
    ენეტარება,
    ენექტარება
და იმ დროს რაღა შეედარება?..
    და, მაშ, ჭიდილი,
    სიცოცხლ-სიკვდილი,
უმისოდ, ვხედავ, გული არ ცხრება,
    მკლავგამართული,
    ბრძოლა ჩართული
ევინდა სიცოცხლე და გამარჯვება.

1899, 1900, 1901 წ.

●

სულო, ითრთოლე შვებითა,
ვონებავ, ცამდე ამაღლდი,
გრძნობავ, გარს ცეცხლი მოინთე,
მით გასპეტაკდი, განახლდი!
გულო, იძგერე ძლიერად,
გარს ნისლი შემოიცალე
და შენც, სურვილო, მოცოცხლდი,
ჭმუნვარე სახე იცვალე!..
ყინვად ქცეულო არსებავ,
გარდიქმენ ნაპერწკალადა,
დაიწვი, მხოლოდ წყვდიადში
კი შეაშუქე ძალადა!..
დიახ, დაიწვი, რომ შენ ფერფლს
მაღლით ცა აელვარებდეს,
ყვავილი გუნდრუკს უკმევდეს,
ზეფირი დასტრიალებდეს,
ღამით სმატკბილი მგოსანი
თავზე დასტვენდეს, ჰხარობდეს:
—ქვეყნად კეთილი კაცისა
ფერფლიც არ ჰქრება აროდეს!..

1899 წ.

ოცნება

მარტოდ მარტო, ობლად ვიჯექ
ტკბილ ოცნებით ფრთაშესხმული,
და მოსიბლულს, თვალწინ მედგა
სანეტარო გაზაფხული.

გუნდრუკს სცემდა გაფურჩქვნილი
ია, ვარდი და სუმბული.

და კაცთ შორის თანსწორობას
უგალობდა თვით ბულბული...

ზეციურმა ნეტარებამ
გადმოშალა თვისი ფარდა,
ეს გულს მომხვდა სასიცოცხლოდ,
მესიამა, გამეხარდა!..

უჩვეულო გრძნობით ღელვამ
თვით ასკილი გაავარდა,
და გონებაც ფრთაშესხმული
ზეცისაკენ განავარდდა.

მაგრამ მკაცრად შემოსძახეს:
აქ რა გინდა მიწიერსო?
განა ჰფიქრობ ხელი სჭიდო
შენ საუნჯეს ზეციერსო?

არა, არა და ვერც შეძლებ
მიაშურე ისევ ერსო,
ხედავ, ერთის უბედობით
მისივე ძმა როგორც მღერსო?

გამოვფხიზლდი, კვლავ ვიხილე
რასაც ვჭვრეტდი წარამარა,
კაცი კაცად დაჩაგრული
აღარც ცოცხლობს, არ მომკვდარა...

და მისივ ძმა ამით ტკბება,
კანონია ესეც არა?
მაშინ დავგმე სამუდამოდ
მე ოცნება მატყუარა.

1899 წ.

●

დაშრა ზღვა ოცნებისა,
ქუხილისებრ მგრგვინავი,
ხმა-ნარნარად აღგზნილი,
მაღლა ცაში მფრინავი.
სელი მკრა მან, ვინც ერთხელ
სიცოცხლისთვის მაფიცა,
და უარვყავ მეც სატრფო,
ჩემი სულის ძაფიცა.
უსულგულო სიცოცხლე
აბედივით დამჭკნარი,
გულს მიღარავს... უარვყავ...
და ვარ, ვით ცოცხალმკვდარი.
მაგრამ, თუკი ოდესმე
შევებრალვი ბუნებას,
ხელს შემიწყობს, მეც მყისვე
აღვაფრთოვნებ ოცნებას...
კვლავ სიცოცხლის ბეჭედი
მოწყლულს გულზე დამესხმის...
„დიაღ, დიაღ!“ — ჩურჩულით
საიდანღაც ხმა მესმის.

1899 წ.

რ ო დ ე მ დ ი ს ?!

მოძმეთა შორის ვერ მხედველი თანაგრძნობისა,
მიტოვებული ყველასაგან, ობლად შთენილი,
ყოველმხრით მსმენი ერთმანეთის კიცხვა-გმობისა,
ღვიძლ ძმათა შორის უნდობლობით ცრემლებდენილი

გაველ, გავშორდი კაცთ სამყოფელ არემარესა,
ღამე დგებოდა, ზეცა მდელოს ნამს ასხურებდა,

მთისა გადაღმა ამოეყო თავი მთვარესა
და, გაბადრული, ცით ქვეყანას გადაჰყურებდა.

ჰქროდა ნიავი საამური, მაგრილებელი
და გაფურჩქვნილ ვარდს ის ხმატკბილად ჩასჩურჩულებდა,
თითქოს ნანინას უმღერისო პაწას მშობელი
ის ტკბილი მღერა იმ ნაზ ყვავილს ასულდგმულებდა.

და მეც სწორედ აქ, აქ მოვაწყდი გადმოხვეწილი,
შევერთებოდი საუკუნოდ, მსურდა, ბუნებას,
აქ დამელია მე სიცოცხლის ნაშთენი წილი
და არა იქ, სად მარად ვჭვრეტდი ღალატ-ცდუნებას,

ხან კვნესა ისმის, ქოთვა-გმინვა გულშემზარავი,
მდურვა ბედისა, კვლავაც მდურვა თვითონ განგების
და იქავე კი, კედელს იქით, გააქვს ზანზარი
სიმღერის ხმასა გრძნობადახშულ ამხანაგების.

ვიდექ და კრძალვით შევყურებდი ციაგს მდუმარე
ვეძიებდი რა განსვენების ნავთსაყუდარსა,
და იქ სიცოცხლეს, სადაც მღერას მოეცვა არე,
მე აქ ვირჩევდი თვით სამარის შავ-ბნელ სუდარსა,

და შვებას ვგრძნობდი... გარემდგომი განმარტოებით,
ვსჭვრეტდი რა ციაგს მოელვარეს, სხივმოციმციმეს,
სად ვერ ვხედავდი ადამის შვილს, გარემოებით
დასაპყარებულს, ღონემიხდილს, სუსტსა, ტვირთმძიმეს.

მაგრამ უეცრად, თითქო რისხვით, შეიჭმუხვნა ცა,
მის დასავლეთში სარტყლად ელვამ გაიპრიალა
და, თითქო ბოროტ სულს დევნიდა ძალა რაღაცა,
მთლად ჩამობნელდა, დაიჭექა, დაიგრიალა...

და მასთან რისხვით შემომესმა ხმა — იდუმალი:
შორს, შორს აქედან, ნუ დასცარავ კაცის მხნეობას
და რაც თან გაქვნდეს ბუნებრივი ღონე და ძალი,
მსხვერპლად შესწირე შენივ მოძმის კეთილდღეობას!..

კვლავ იქ, იქითკენ, საიდასაც გამოქცეულხარ,
მას შეუერთდი, რამაც სოფლად დაგაფრთხო ასე,
რადგან კაცი ხარ, თუ მთლად ყინვად არა ქცეულხარ,
გაიზიარე ძმის ფიალა სიმწარით სავსე!..

პირი ვიბრუნე, კვლავ მივმართე კაცთ სამყოფ არეს
და შევუერთდი, რასაც ასე ვუფრთხოდი დღემდის.
და... ჩუ, კვლავ გმინვა, წყევა-კრულვა მესმის მწუხარეს,
კვლავ სიძულვილი კაცთა შორის... ღმერთო, როდემდის!..

1900 წ.

●

მოკვდაო, — მესმა, ახ, ნეტავი მას,
ზეცას სმენია მისი მუდარა
და სხვა რომ არრა გაუმეტნია,
უბოძებია მხოლოდ სუდარა.
რომ სიცოცხლის დროს ნაყივნ-ნათოში,
შიმშილნათმენი და ცრემლნანამი,
ამ ქვეყნად ყოფნის უკანასკნელ ჟამს
მით შეემოსა უსული გვამი.
მოკვდაო, — მესმა, ახ, ნეტავი მას,
რომ მისთვის თავსა არვინ იწუხებს
და აიაზმას ჯოჯოხეთისას —
ცრემლს ფარისევლურს არ დააპკურებს.
მოკვდაო იგი... და არც შეეძლო
მადლი რამ ექნა ამ პირშავ დროში.
მისებრვე ტანჯულს უანდერძა მან
თავის საჯიბე ორიოდ გროში...
მესმოდა ეს ხმა უკმაყოფილო,
და ნუ თუ, კაცო, გული არ კრთოდეს —
მწარე ცხოვრების მწარე ნაყოფით
ცოცხალი მკვდარსა რომ შენატროდეს?!.

1901 წ.

●

გული დაჰკოდა, ძმობილო,
მაგ შენმა მწარე კვნესამა,
ღარებით სავსე ეგ შუბლი
საგლოვად შემომესალმა.
ერთ დროს მინახავს ეგ სახე,
ზედ რომ ღიმილი კრთებოდა,
რწმენა, იმედი მომავლის
სხივისფრად ისატებოდა·
ცით მირბიოდა გონება,
გულიც ბანს ეუბნებოდა
და აზვირთებულ გრძნობათა
ზედ ოკეანე დგებოდა.
მაგრამ აწ გაქრა კვლავ იგი
გრძნობათა ნავარდობისა,
ტკბილ-სანეტარო დრო ყრმობის
ღიმილის, უდარდობისა...
გაქრა და თან წარიტაცა
ლხენა, სიამე გულისა,
და ხსოვნა დარჩა მხოლოდღა
წარსული გაზაფხულისა.
და მოგადუნა, ბეჩავო,
დაგაზრო ზამთრის ყინვამა,
ზღვა-ხმელი შემოირბინა
მაგ მწარე გულის გმინვამა.
ცხოვრების უკულმართობამ
შენც ჩაგაფიქრა მძიმედა
და, ვაჰ! თუ ფიქრმა აწმყოზე
ვერაფრით დაგაიმედა!..
მესმის, ძმობილო, ეგ ფიქრი,
თან შემჩვევია მარად ის,
სული სულს იცნობს, გული გულს,
ტანჯული ტანჯულს მარადის.

მაშ, მო, საერთოდ ვიკვნესოთ,
რომ ხმა გაისმას ყველგანა,
ვიკვნესოთ... მაგრამ ვინ ისმენს?
ჯერ კიდევ ყრუა ქვეყანა...

1901 წ.

სიმღერა

ნავო, ზღვად ობლად მცურავო,
შორს გატყორცნილო ბედითა,
ცხოვრების ბრძენთა თქმულებით
შენგანვე ნათავხედითა –

ტალღებთან ერთად მხარდამხარ
ეკვეთე სალსა ფრიალოს,
შთანთქე უფსკრულის წიაღში,
ვიდრე თვით გაგატიალოს...

ტანჯულთა ხელით გათლილო,
გარს ფოლადშემოვლებულო,
ზღვის უბე-ტალღა-ზვირიებში
სიყრმითვე შეცურებულო –

გამოცდილ-გამობრძმედილხარ,
მრავალგზის ჭირნახულებით,
გასწი, გადასჭერ გზა ძნელი,
შეუდრეკ გულდაგულობით!..

ზღვის პირად ობლად გაზრდილო,
დღეს სხვა დრომ შემოგანათა,
შენ ხომ ისმენდი ზღვის გრიალს
და აქაფებას ნანათა.

და როცა ტოტებს მის ტალღებს
შერხევით უტყლაშუნებდი –

მომავალ თანაბრძოლაში,
ალბათ, მით დაარწმუნებდი.

ზღვა კვლავ ბობოქრობს ძველებრივ,
ზვირთებს ზვირთებზე აგორებს,
ხან მარჯვნივ სტყორცნის,
ხან მარცხნივ
წყალთ აქაფებულ მთა-გორებს.

და ეკვეთება განწირვით
ხრიოკს, ამართულს კლდე-სალსა,
ზუზუნით მოსდებს მიდამოს
ნაჩინჩხალ-დანაკვესალსა.

შენც, ნავო, მხოლოდ კვესი ხარ,
ზღვა შენი სულის ტალია;
დრო შეურჩიე, აუვსე
საპირისწამლე ფალია!

შენ იცი ტალღათ თვისება,
იმათ შორის ხარ მავალი,
მათგან ნარწევი, აღზრდილი
და ნაამაგარ მრავალი.

შენ ხომ მის მკერდზე მრავალჯერ
გადაიქ-გადმოიქანე, —
აწონილ-გაზომილი გაქვს
მისი სიღრმე და სიგანე.

მაშ, გასწი, გასწი უშიშრად,
ააქარბუქე ყოველი,
შთანთქე უფსკრულში ვეშაპი, —
სისხლუმაძღარი ცხოველი!..

და ხალხის შვილო, ტანჯულო,
თავგანწირულო ზვარაკად
შენთვის ვაუღერე გრძნობები,
რაც გითხარ იგავ-არაკად:

ზღვა ხომ ტანჯულთა ცრემლია,
თვალთაგან დანაწურავი,
და ხალხის შვილი ტანჯული –
ზედ ნავი ობლად მცურავი.

1901 წ.

სიმღერა

ისევ აჟღერდით, სიმებო,
ბეჩავს ნუ მიმცემთ სევდასა,
ნუ გაახარებთ დუმილით
ქვეყნის ორგულის დედასა!

მე რომ დავდუმდე კიდევაც,
ვეღარა ვსძრავდე ენასა,
თქვენ ნუ მოიშლით მაინცა
ტანჯულთა გულის ლხენასა!

თუნდ შერისხული ერისგან
ცხრაკლიტულს ეფარებოდეს,
ხალხის თვალთაგან მიმალულს
ხელი არ ეკარებოდეს.

გარეთ დამფრთხალი შიშისგან
ბნელ ჯურღმულებში ძვრებოდეს,
შენი მკვეთრი ხმა მას იქაც
დევნიდეს, ისრად ხვდებოდეს!.

ან თუ ვაჟკაცი, დევნილი.
სიმართლეს მოციქულობდეს,
საქვეყნოსათვის იბრძოდეს,
იმისთვის ჭირნახულობდეს.

გარემოცული ღალატით
შიშობდეს, იჭვნეულობდეს,

დეე, შენს ხმაზე მის გული
შემაგრდეს, კვლავცა გულობდეს!

თუნდა გამცემი იუდა
მომაისობდეს, მარტობდეს,
ლამაზი, ტკბილი სიტყვებით
რჩეულთა გუნდსა ართობდეს.

მოთეთრკბილობდეს, გველობდეს,
ამბორით მოღალატობდეს,
ლახვრად ჩაერჭოს შენი ხმა,
იმის გულს ჰკლავდეს, აპობდეს!..

ან ხალხის შვილი, მაშვრალი,
მოციმციმ-მოკამკამობდეს,
მოძმისთვის თავის განწირვას
იგი ზვარაკად ლამობდეს,

შედგეს შუა გზად, შეჩერდეს,
ტანჯულ სიცოცხლეს ნანობდეს,
და შენი ჰანგი მას იმ დროს
ციურ მანანად ნამობდეს!..

— იყღერ-იმღერეთ, სიმებო,
ბეჩავს ნუ მიმცემთ ვარამსა,
ნუ გაახარებთ დუმილით
ქვეყნის მტერსა და არამსა!..

1901 წ.

ერთ მრავალთაგანს

დაჰკარგე ბრძოლის უნარი
და წინმსვლელობის ხალისი,
ბედუკუღმართი ცხოვრების
მონა ხარ შესაბრალისი.

გმობას და ფეხქვეშ გათელვას
ყველაფერს შეურიგდები,
ერის და კაცის ღირსებას
არაოდეს ჩაუფიქრდები.

ენასა გწვალიან, გონებით
და სულით გაძაბუნებენ,
საფლავს გითხრიან მშობლისას,
ძვალს ძვალზე არახუნებენ.

ოჯახს გიქცევენ სამკვიდროს,
გაწიოკ-განადგურებენ,
გველს გთავაზობენ თევზის წილ,
ქვა-ლოდით დაგაპურებენ.

გულიდან გგლეჯენ სატრფოსა,
თვის ტომთა მოგამდურებენ,
დაცემულ-დაკნინებულსა
ხარხარით გადმოგყურებენ.

ტაძარსა წმიდათ-წმიდასა
ურცხვად რომ შეგიგინებენ,
გინიავებენ კერასა,
მათრახქვეშ დაგაძინებენ...

იფხიზლებ აჭრელებული,
მათრახქვეშ შენაბრუნები,
მასვე კერპსავით თაყვანს სცემ
და ჩოქვით ელამუნები.

მონობის ჰანგზე გასძახი:
ჭირიმე შენი პირისო,
უშენოდ მთვარე არ ჰნათობს
და მზეც კი ჩამოსტირისო!..

მონა ხარ, მონა სულითა,
მონობის წარმომშობელი!..
მოგწონს სიცოცხლე დუხჭირი,
დასაძრახ-დასაგმობელი.

ეთაყვანები სხვისასა,
უარგიყვია მშობელი,
სხვისთვის დაგიდგამს სამსხვერპლო,
შენივ სინათლის მქრობელი.

ბრიყვია შენი კერპიცა,
ცრუ ღმერთი დასამხობელი:
რა ოხრად უნდა შენსავით
თავისა უარმყოფელი?

1901 ნ.

მჭედელი

ცისმარე დღე უკაკუნებს,
თავს დაჰყურებს სულ ერთ საგანს:
კვერით რკინას, ცეცხლში ნაწრთობს,
ფორმას აძლევს სიგრძეს და განს.

და რომ მიზანს მიაღწიოს,
ნაფიქრსა და განზრახულებს,
უსულგულო ცივ ნახშირსა
ცეცხლს უნთებს და ასულდგმულებს.

ვით ცხოველი რამ ზღაპრული,
მძიმედ ქშინავს საბერველი;
გრდემლზედ მარდად მიმოცურავს
გამოცდილი მჭედლის ხელი.

სად მეტია, სად ნაკლები,
კარგად ატყობს მისი თვალი,
აჰა, ერთიც შეასრულა,
გადისროლა განზე ნალი.

რომ გადასცდეს თავის ნაფიქრს
ნუ იფიქრებთ ნურაოდეს:
კვერს იქ დაჰკრავს უეჭველად,
სად საგანი მოითხოვდეს.

და ზოგ-ზოგებს რომ მიუდით
სხვის ნებაზე კალმის წვერი,
ამ ჩვენს მჭედელს დაეკითხონ,
თუ სად უნდა დაჰკრან კვერი!..

1902 წ.

მოლოდინში

სხივები კრთის,
გული მითრთის
მოლოდინში მოღელვარე
და აძლევს ბანს
ჩემს ტკბილ საგანს
თვით ცხოვრების ხმა მქუხარე.
რომ ვეტრფოდი,
შევხაროდი,
აწ სრულდება, რაც რომ მწამდა,
და ნატკენი,
სისხლნადენი
წყლული თითქოს დამიამდა.
მგოსნის ცნება —
ის ოცნება
სინამდვილედ შეიცვალა,
როს ერთობით,
თანაძმობით
ზე ამაღლდა ერის ძალა.
აწ თვით განთქმულს,
იგავად თქმულს
გადუვიდა თვისი ხანა:
სასამარო,
კერპთ სამყარო
პირუკულმა დაექანა.
სხივთა მჭერი
კედელ-ჭერი
თვით ცხოვრებამ შეანგრია:
უარმყოფიც,
ავადმყოფიც
მანვე ძალით ჩაითრია.
ძველი წესის,
ღვარძლთა მთესის
ნიადაგი განადგურდა,
მაშ, გამოდით

ძმებო მოდით,
ვისაც გული გაუხურდა!..
დღეს სხვა დროა,
სანატროა
გავუსწოროთ, აბა, თვალი,
მედგრათ, ჩქარა,
ძმებო, თვარა
ზიზღს მოგვიძღვნის მომავალი!..
სხივი ელავს,
ერთი ღელავს, —
გულს მომფინა ლხენა, შვება,
ვიტყვი მარად,
მრწამს აშკარად
მისკენაა გამარჯვება...

1905 წ.

გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა

მტარვალის სული, მთავარი ძალა,
რაიც ცხადად იყო და რაიც არა, —
თვით ისტორიის უძლეველ ხელით
პირქვე დაემხო და დაიცვარა.

კერპთა სამყარო, ტახტსაფეხური
მიწად განერთხო ის უკეთური,
დღეს ნაშთი დარჩა გადასაწმენდი—
მხოლოდ ნანგრევი ჯოჯოხეთური.

ძირს ჯალათები, ქურუმთ ტაძარი,
ძირს მტარვალობა გულშემაზარი,!
გრგვინავს სიმართლე და შავბნელ ძალებს
დასცა მრისხანე ძრწოლა და ზარი.

განკითხვის დღეა ფარ-ხმლად მოწვდილი,
სულს ღაფავს მტერი ღონემიხდილი.

აქ გამარჯვება, იქ დამარცხება,
აქეთ სიცოცხლე, იქით სიკვდილი.

აწ ხარობს სული, ამაყობს გული...
ვიშ, განთიადი, ვიშ, გაზაფხული!
კაშკაშებს სხივი, კვდება სიბნელე,
აქ დასაწყისი, იქ დასასრული!..

1905 წ

წითელი დროშა

ემბლემა თავისუფლების
და სხივი ნეტარებისა—
ფრიალებს დროშა წითელი,
ნიშანი გამარჯვებისა.

სულს აფრთოვანებს შვებითა,
ამსხვრევს ბორკილსა მონობის
უებრო დამმყარებელი
ძმობის და თანასწორობის.

რაზმად ახლავან ჭაბუკნი—
მამულიშვილი გმირები,
თავდადებული ქვეყნისთვის,
შენაფიც-შენაპირები.

ცამდე გიზგიზებს ის ცეცხლი,
რაც იმათ გულში ნთებულა,
იბრძვიან, — ბრძოლის გარეშე
ან სად რა გაკეთებულა?

საქვეყნო საკურთხეველზე
საზვარაკ-მსხვერპლად ჰფიცავენ
და სიტყვას, სისხლით აღბეჭდილს,
კუბოს კარამდე იცავენ.

ქვეწარმავალნი გარბიან,
დამფრთხალი ნათელ შუქითა,
მხოლოდ მუქარას გვითვლიან
სოროდან ბაქიბუქითა.

მაგრამ რა შედრეკს მებრძოლსა,
ის ლაჩარს დაემგვანება,
განა მხდალს მიწა მშობელი
ესახლკარ-ესავანება?..

მებრძოლი ბრძოლით შუქოსნობს,
ვით, კელაპტარი ნთებული,
და გავლილ გზასა ნათელ ჰყოფს
მის სისხლი დაღვენთებული.

ფრიალებს დროშა წითელი
კერპთა ზარდამცემ ღვთის რისხვად,
ისმის ხმა თავისუფლების
ხმელეთ-კიდემდე, ზღვითი-ზღვა.

ცა მშობლიური პირს იბანს,
ციალებს ლაჟვარდოვანი,
იმსხვრევა კერპი, იმსხვრევა
მონობა მრავალწლოვანი!..

1905 წ.

ამხანაგებო!

სხივფერადი
განთიადი
თვით კაშკაშა-მოელვარე,
ვით დროშა ცის,
გულწარმტაცის
სხივებს აფრქვევს შუქმფინარე,
იწვევს გმირებს
შენაპირებს,

რომ მოიცვან არემარე·
ტოკავს გული
ზღვად ქცეული,
ტალღა ნაპრალს ეხეთქება:
ცეცხლს იკიდებს,
ზვირთი ზვირთობს
მოაგორებს, წინ-წინ დგება,
ქაფმოდებით,
ქვა-ლოდებით
ნაპირებს ჰგლეჯს, რაც შეხვდება.
მოგუგუნემ,
აღარ დუნემ
დღეს ცხოვრებამ აგვხსნა რიდე,
და მის მედგარ,
შეუპოვარ
ბობოქრობის გადამკიდე—
კერპთ სადგური,
საფეხური
მთლად შეინგრა კიდით კიდე.
მტარვალთ გულმზარს—
აღდგომის ზარს
დღეს ბანს აძლევს ზღვა და ხმელი.
მაშ, ვიყოთ მზად—
ასპარეზად
ფართო არის ბრძოლის ველი.
და თანხმობით,
კერპთა მხობით,
მო, ერთმანეთს მივცეთ ხელი!..
უთანხმობა,
პირადობა
მტერს ახარებს, არ გვარგია.
მხოლოდ მეო—
მიწამეო—
ეგ რა ხალხის ამაგია?..
ცილთ წამება
მხოლოდ ვნება,
ღალატი და ხაფანგია.
სხივფერადი

განთიადი,
შოელვარე, თვალჟუჟუნა—
დროშად ხელში,
მრავლის მქმნელში,
თვით ცხოვრებამ დღეს გვარგუნა,
რომ, საერთოდ,
ქვესკნელს შევრთოთ
ულამსუთავი მაჯლაჯუნა!..

1905 წ.

ᲨᲔᲓᲒᲠᲐᲓ, ᲫᲛᲔᲑᲝ!

შედგრად, ძმებო, ბრძოლის ცეცხლში
გამოვიწრთოთ, წინ გავსწიოთ
და ნეტარი მომავლისკენ
გზა გულ-მკერდით გავარღვიოთ!..
შშრომელ ხალხის შვილები ვართ,
დარაზმული ყველა ერთად,
ერთობა და ძმობა გვიჩანს
კავშირად და შემაერთად!..
კმარა, კმარა ბორკილები
შავი დღენი აწ კი გაქრა:
შიმშილის და ტანჯვის შემდეგ
ხსნის დიადმა ჟამმა დაჰკრა.
დროა, ძმებო, მტერსა ბრძოლით
გავუსწოროთ ანგარიში,
განა ჩვენებრ მებრძოლ გმირებს
გულში უნდა ჰქონდეს შიში?
დავანარცხოთ ძირს მონობა,
მივუსიოთ რაზმი რაზმზე
და წითელი დროშა შრომის
შით აღვმართოთ ქვეყანაზე!..

1906 წ.

ᲐᲛᲝᲫᲐᲮᲘᲚᲘ

სამშობლოს მიწა ამბობდა:
მტერს როგორ გავახარებო?
მზეს დავუბნელებ უწინამც,
სიცოცხლეს ჩავამწარებო!..

ავი და მწარე დღეები
ოლონდაც ხშირად მწვევია
და ისტორიულ ქარტეხილს
თვით მეხი დაურქმევია;

სკვითი-ბარბაროსი ველური
მახვილით შემომსევია,
მაგრამ ჭაპანი ერისა
მაინც წინ გამიწევია.

ზღვათ ღელვა, ტალღა ნასროლი
მრავალჯერ დამკვეთებია,
წამებს მოუსრავს, რაც წლობით
მიშენებ-მიკეთებია,

მაგრამ სიმტკიცე რაინდის
მარადის რჯულად მდებია
და ბოლოს იგი მიქნია,
რაც გულში ცეცხლად მნთებია..

დედასა მტრისას, ურჯულოვ,
ჩემს ნაღვაწს თიბავ-ცელავდე,
ჩემს მთა-ველს, მინდორ-წალკოტსა
ბარბაროსულად ჰქელავდე,

შვილების წმინდა საფლავსა
მწიკვლიან ფეხით თელავდე.
ჩვენ ვისხდეთ დაშავებულნი
და შენ კი ბრწყინავ-ელავდე!..

დედასა მტრისას, ტიალო,
ყვავივით ჩამომჩხაოდე,
თავს მადგე სულთამხუთავად,
მსეცივით ღრენდე, ბღაოდე,
მე დამზრას სუსხმა ზამთრისამ,
შენ გაზაფხულით ჰყვაოდე,
და ვიყო დაკნინებული,
ველარც მართვივით ვკნაოდე!..

დედასა მტრისას, ვერაგო,
შენ ჩემი სისხლით თვრებოდე,
ვაუკაცად მოსულ მებრძოლსა,
ვაჟკაცად ვერა გსვდებოდე,

დათარეშობდე, წუნკლობდე,
რასაც კი შეეყრებოდე,
მე ვიჯდე ბორკილშეყრილი,
შენ ჩემის ტანჯვით ტკბებოდე!..

ვამომიზრდია შვილები,
ჭირ-ოფლით გამიბანია,
სული გმირული იმათში
ჩამიდვამს, ჩამიტანია.

გამოიბრძმედენ ისინიც,
იბრძვიან კარგა ხანია,
არ შეგარჩენენ არაფერს,
ან ვის რა გაუტანია?

სამშობლოს მიწა ამბობდა:
მტერს როგორ გავახარებო?
მზეს დავუბნელებ უწინამც
და ქვესკნელს მივაბარებო!..

1906 წ.

ეჭვით შეპყრობილს

— და რაღა გითხრა აწ, მეგობარო,
რითი აღვაგზნო კვლავ შენი გული,
რომ ერის კერას მსხვერპლად დაუდო
ტანჯვა, სიამე და სიხარული.

საყოველთაო, საკაცობრიო,
უზენაესი, წმინდათა-წმინდა,
მამულის ტრფობა, დიადი გრძნობა
რისთვის დაკარგე, რად გაგიცივდა?..

ნუ თუ გგონია ჯვარი დაუსვი
და მოიხადე საქვეყნო ვალი,
როცა უარყავ და აღარა გრწამს
ჩვენი არც აწმყო, არც მომავალი?

არა და არა, რაც ბევრჯერ მითქვამს,
გაგიმეორო უნდა ისევ ის:
გული გრდემლია და განსაცდელით
რწმენა ფოლადად გადაიქცევის.

რად ეჭვიანობ, არ საქმიანობ,
რისთვის გვიანობ? ძვირფასია დრო,
ადე, მიუწყე ქვეყანას ვალი
შენი ნაწილი და საწილხვედრო!

ერი ბურუსში რომ გახვეულა,
რა ვუყოთ მერე, როგორ გგონია?
ხშირად განთიადს ნისლი წინ უსწრებს
და ეს ბუნების წეს-კანონია.

ქარტეხილისგან ხშირად ბორბალი
ხან წაღმა, ხანაც უკუღმა ბრუნავს
და მრწამს, რომ აქაც მებრძოლმა თავი
ველარ გაართვა პირველ საზრუნავს.

ეუშინ და დღესაც ჩვენი თვალის წინ
ის იხრჩობოდა სისხლთ ნაკადულში
და მონად შობილს, მონადვე აღზრდილს
ვერ უთქვამს იგი, რასაც გრძნობს გულში.

მაგრამ, აჰა, დრო, ჰა, ნიადაგი,
ჰა, ასპარეზი ხალხის წინაშე.
ყოველი წვეთი, ოფლად დაღვრილი,
შეიწირება, ვითა ზედაშე.

აზრი გაიტანს, ცხადია მისი
ცხოველმყოფლობა და ძლიერება
და შენებრ ზოგთა ურწმუნოებას
დაამხობს ერის ცნობიერება.

1906 წ.

●

იმათ ჭერქვეშ ჯოჯოხეთი
მხიარულობს თავისთავად,
მაგრამ გულში ეკარებათ
შიში რაღაც უხილავად.
ვერ აკავებს მას კედლები,
ვერც დარაჯი, ზარბაზნები,
მიდის, არღვევს ყოველივეს,
რაღაც შურით ანაგზნები.
გულს უღრღნის მას, ხალხის ზურგზე
ინავარდა ვინცა დღემდე.
ხან დასცინის გესლიანად
და აწამებს სამარემდე.
ჰა, მტარვალო, განიცადე
შურისგება საშინელი,
თუმცა იგი შედარებით
მოწყალეა და სულგრძელი:
ის არ ითხოვს შენგან ქმნილის
არავითარ შენანებას,
წაგშლის ქვეყნად ერთის დაკვრით
და ეძლევა დავიწყებას.
და, მაშ, გასწი, შიშო, გასწი,
დაბინავდი იმათ გულში
ვინც ხალხის თვალს ემალება
და ჩამჯდარა ცხრაკლიტულში.
უნელებელ ცეცხლად ენთე,
ულმობელად სწვი და დაგე
და სიცოცხლით სამარემდე
აწამე და შური აგე!..

1906 წ.

მეგობარს

ოჰ, მეგობარო, — ეს ტკბილი ბგერა
რაღაც ზარის ხმად წვდება ამ ჩემს გულს
და მარად, მარად თვალწინ მიყენებს.
ჩვენს სულთასწრაფვას შეკავშირებულს.

როცა ჭაბუკი, ძალ-ღონით სავსე,
ცელქი ოცნებით გატაცებული,
მონობის ბორკილთ შესამუსრავად
თვით ბუნებითვე თავდადებული,

შენ უყიოდი რა ამხანაგებს,
გმირებს ეძებდი თვით შენაფიცარს
და ტყვიას მტრისას წინ უგებებდი
ქედმოუხრელად თვით გულის ფიცარს.

როცა ის მკერდი,
ვით ბრძოლის გემი,
ზღვა-ოკეანეს ტალღებს აპობდა,
მაშინ, ოჰ, ძმაო, შეუმჩნეველად
თურმე იუდა ჩვენ გვღალატობდა.

რას ვიფიქრებდით, მოულოდნელად.
ასეთი რისხვა დაგვატყდებოდა
და მიმართული მტრისკენ მახვილი
მოძმისვე ხელით გადგვიტყდებოდა.

ოჰ, ენა მებმის... ბრაზი მერევა...
თურმე ბელზებელს მსახურებდა ის,
ზიზღი მის მშობლებს...
კრულვა მის აღმზრდელს
და შეჩვენება აწ და მარადის!..

და, ჰა, ნაყოფი ვერაგობისა:
შენ მანდა ზიხარ ბნელ ცხრაკლიტულში

და სულის სწრაფვა, იდეალები,
ძმაო, ღალატით ჩაგიკლეს გულში.

ეგ სამარეა, სადაც სიკვდილსა
ჭვრეტ და არა გკლავს, ისე გაწამებს,
და შხამ-გესლს ანთხევს დარაჯთ ფეხის ხმა
თვით უკანასკნელ სიცოცხლის წამებს.

მე კი, საწყალი, აქ ვეხეტები,
ვით უდაბნოში გზადაკარგული,
თვით სინიდისი მქეჯნის, მაწვალებს
და რაღაც ყრუ ხმით მიკვნესის გული.

თვალწინ მიდგია შენი აჩრდილი,
რა აკეთეო? — რომ მთხოვს ანგარიშს,
მე კი შენს ნათელ სახის წინაშე
ვგრძნობ სულის თრთოლვას, გამოუთქმელ
შიშს.

ფუ, ამ სიმხდალეს, ფუ, ამ ლაჩრობას,
რად არ მაქვს ძალა? რად არ ვარ გმირი?
რომ ჩემი თავი შენთან ნათელ ვყო
და შეგისრულო სიტყვა და პირი.

რას შვრები, კაცო! მეძახი შენ და
უფრო მედება მით ძრწოლის ალი,
თრთოდე, ლაჩარო, ზიზღი, მონაო!
მწარედ დამცინის ხმა იდუმალი.

აბა ხელმარჯვეთ! — მაძლევ შენ ნიშანს;
გასწირე თავი, მამულისშვილო!
მე კი სოროებს ვეძებ თაგვისას
ვაი, სირცხვილო, ვაი, სირცხვილო...

ჰო, მეგობარო, ეს ტკბილი ბგერა,
თუმც გულს კვალინდებრ ელამუნება,
მაგრამ მძაგს თავი, მძაგს კაცთა ტომი,
სადაც კვლავ მეფობს ღალატ-ცდუნება.

1906 წ.

ცხრა იანვარი

სალამი თქვენს სულს, თქვენს წმინდა აჩრდილს
სისხლდათხეულო თვით ბრძოლის ველზე
და ზვარაკ-მსხვერპლად შეწირულებო
თავისუფლების საკურთხეველზე!..

ძველსა, მომაკვდავს, და ახალს შუა
თქვენ შეურყევლად დასდეთ საზღვარი
და საანდერძოდ, საშვილიშვილოდ
მითი აღბეჭდეთ ცხრა იანვარი.

ცხრა იანვარი, როს გაწყდა ჯაჭვი,
იშვა ახალი, მოკვდა რა ძველი,
და ჩაიყარა ახალ ცხოვრების
მტკიცე სავანე და საფუძველი.

გაღვივდა აზრი, გამოშუქოსნდა,
ვით ცხრათვალა მზე, ქვეყნის მაშვენი
და თუმც კვალინდებრ მსხვერპლი მსხვერპლს მისდევს,
მაგრამ მტკიცდება მით ზედნაშენი.

სალამი თქვენს სულს, თქვენს წმინდა აჩრდილს,—
ძალას ძალა შობს და გმირსა—გმირი,
ეს კანონია და, ჰა, სრულდება
თქვენი ანდერძი და დანაპირი.

ახლოა ის დრო, როს თქვენს საფლავზე
ხმა სანეტარო გაისმის შვებით
და დაწყებული თქვენს მიერ საქმე
დაგვირგვინდება სრულ გამარჯვებით!..

1906 წ.

●

კვლავ დაიქუხა საქართველოზე,
მოწყდა ვარსკვლავი საბედისწერო,
მოკლეს მგოსანი, განგმირეს იგი
და არვინა გვყავს სამაგიერო.

ამერ-იმიერ იღვრის გლოვის ხმით
შეზავებული ცრემლთ ნაკადული,
ბოროტმა ხელმა წარგვტაცა იგი—
ერის დიდება და სიქადული.

ვაგლახ, რომ ჩვენში მონაგარ იფქლთან
ღვარძლმაც მოიცვა შავბნელი ძალა
და განთიადი განახლებისა
ბინდად და მწუხრად მით შეგეცვალა.

ერი ტანჯული, პატივაყრილი,
არად შერაცხილ-დაკნინებული,
შინა თუ გარეთ, თვისით თუ სხვისით
სამარადისოდ თვით წამებული,

კვლავ იტანჯება, თითქო იმისთვის
განცდის შავბნელმა ჟამმა დაჰკრაო,
როცა მის წინ დგას სასტიკი კითხვა
ყოფნა-არყოფნის, საჰო-არაო.

და, აი, ამ დროს ჩამოგვიქროლა,
შავმა ყორანმა ბრჭყალგაბასრულმა
და არვინ იცის, რით მოინელოს
ეს დანაკარგი ქართველის გულმა.

მაგრამ, მხცოვანო, ჩვენი სიმტკიცე
შენგან ნამცნევი სიყვარულია,
ნაღვაწი ლამპარ მანათობელი,
შენი სამარე—ჩვენი გულია.

აწ მოისწრაფვი ამ სოფლიური
უმადურობით გულდაკოდილი,

დღეს საქართველო ერთხმად ღაღადებს,
რომ „უღმრთო იყო შენი სიკვდილი“!..

1907 წ.

●

ვაგლახ, ერო გაუწვრთნელო,
სინამდვილევ, ცხადზე ცხადო,
ვაგლახ, ტანჯულ ხალხის შვილო,
და დრო-ჟამო ცვალებადო.

ვინც იწამა წამით წამა,
დღეს უარყო გუშინ თქმული
და ჯვარს აცვა გოლგოთაზე
ოვით ერთობის მოციქული.

დატანჯულმა, დაჩაგრულმა
და მოხრილმა ოთხად წელში,
გზის მკაფველი, გამწალდველი
მტარვალს მისცა თვითვე ხელში.

არ თუ ცნობით, ქვენა გრძნობით
აღზრდილიყო მონობაში
და, რიჟრაჟზე გამოსული,
ცუნდრუკებდა, როგორც ბავშვი.

ხოლო როცა შორ-ახლოცა
მწუხრის ბინდმა მოატანა,
თაგვის სოროს საძებნელად
ქუდმოგლეჯით გაექანა.

გაქრა სიტყვა, აღარც რწმენა,
აღარც სული ვაჟკაცური.
ჭარსა გაჰყვა ქარისავე
ნაგლეჯი და ნატაცური.

ვაი, გულო, მით მოკლულო,
მოგონებავ, მწარზე მწარო,
ასეთ წარსულს მომავალი
როგორ უნდა დავამყარო?..

მაგრამ არა! ხმა ჩამძახის:
შენ ტყუვდები ყველა ამით,
შებოჭილხარ გუშინდელის
მოგონებით, მწარ გულისთქმით.

ტანჯვასა და წამებაში
ხალხი გრდემლად გადიქცევა
და მის გულში, წამებულში,
ვაღვივდება შურის ძევა.

დღეს ტანჯული დაქანცული
გულში იკლავს უხმოდ ნაღველს,
არ ძრავს ენას და ზრდის რწმენას
ნეტარების გამომსახველს.

დაჰკრავს ჟამი, ცრემლნანამი
შეითვისებს ახალ ცნებას
და დააღწევს სამუდამოდ
თავს სიზმარსა და ოცნებას.

მანამდე კი, ხალხის შვილო,
მოითმინე ესეოდენ
და წარმოთქვი იესოსებრ:
„არ იცოდნენ, რას იქმოდნენ“!..

1907 წ.

აკაკის

მგოსანმა თქვა:—ქვეყნის კერამ
გინდ დახუჭოს მკვდრულად თვალი,

ირის გულში მაინც ღვივის
დაფარული ნაპერწკალი.

მაგრამ აქ ხომ საჭიროა
ნიგუზალის შეჩინჩხლება,
რომ თვით შეძლოს ერის ძალამ
აღდგომა და გაცოცხლება.

დიახ, მაგრამ არსად ჩანდა
მენიგუზლე აღმგზნებელი
და სქელ ღრუბელს მოებინდა
საქართველოს მთა და ველი.

არსად ჩანდა ჯანაოზი,
ეროვნული მაჯის მცნობი;
არსად ჩანდა მეწალკოტე,
წარსულ ნერგზე ახლის მყნობი...

მაგრამ თურმე უცვლელია
ბუნების ძალთ წესი, რიგი
მენიგუზლედ ქართვლის კერას
მოევლინა კაცი იგი.

შეუბერა, გააღვიძა
დაფარული ნაპერწკალი—
იდუმალი გამოცანა,
ეროვნული ძალთაძალი.

რაც განვლილ დროს ზამთრის სუსხსა
დაეზრო და დაეთრთვილა,
გაალხო და თვით იხილა
განახლების მკვირცხლი დილა...

მასთან ერთად დღეს იხარებს
დიდი თამარ, გორგასლანი,
და კურთხევით მადლს უძღვნიან
მაღლით ნინო, ქეთევანი.

ჯვირგვინს ადგამს თვითონ შოთა—
ის სულმნათი და მზეთამზე
და შეტკბობით უგალობენ
შავთელი და ჩახრუხაძე.

თორნიკე და იოანე
ღაღადებენ ათონის მთით,
რომ დიდი ხნით გარინდული
„საქართველო აღსდგა მკვდრეთით!“

ქართველთ შორის რომ გაიდვა
შემაერთი გზა და ხიდი,
გული უტოკს პატარა კახს
და უღიმის ბაგრატ-დიდი.

დღეს ნათელა სიმებს აბამს,
საამურად მართავს ჩონგურს
და უმღერის საქართველოს
მგოსნისავე ხმატკბილ ზევსურს.

აქ კი „ნანა“ ნაგალობი,
ნარწევი და გამოზრდილი,
სხვებთან ერთად ამბორს უძღვნის
მგოსანს ჩვენი გლეხის შვილი.

აგუზგუზდა ჩაფერფლილი
ივერიის ძველი კერა.
ბევრს ეცადნენ, მაგრამ მაინც
ვერ ჩააქრეს, ვერა, ვერა!..

1908 წ.

სადღეისო

გლოვის ზარად, გულშემზარად
მოგვევლინა განცდის ჟამი

და ქვითინებს გულსაკლავად
ქართველის დედა, ცრემლნანამი.

მთა დანისლა, ველი დაჭკნა,
აღარ ჰყვავის, ხმება მდელო,
შინ თუ გარეთ ვერაგულად
იწიწკნება საქართველო.

დავლაჩრდით და დავძაბუნდით,
დავწვრილმანდით, დავქუცმაცდით,
წაღმართისკენ მივდიოდით,
პირუკუღმა დავბარბაცდით.

ორთა შუა გახიდულნი
არც კარგად და აღარც ავად,
სხვების კუდში მივჩანჩალებთ,
არარა ვართ თავისთავად.

აღარა გვყავს კარგი დედა
მწვრთნელ-გამზრდელი და ნუგეში,
რა დედაა, შვილებს რომ ზრდის
გუგულივით სხვის ბუდეში.

სიტყვის თქმა და წამოსროლა
ყველასათვის ადვილია,
მაგრამ ვინ შვას, აღგვიზარდოს
მომავალში ჩვენ ილია?

ვინც წარსულ ღვაწლს ადრიანად
შეისისხლ-ხორც-შეიტომებს,
აწმყოს განსჯის იმ თვალსაზრით
გვერდს აუხვევს რა შეცდომებს.

ხალხის მაჯისცემისათვის
თვალი მარად მიუპყრია,—
თვით მძლეთამძლე მხსნელი დროშა
მომავლისა მას უპყრია.

ჩვენ წინ გვიძევს მამათ ღვაწლი;
გზა მათგანვე გაკვალული,
მხოლოდ გვმართებს მხნეობა და
საქმისადმი სიყვარული.

რომ აყვავდეს მთა და ველი,
აბიბინდეს კვლავცა მდელო
და მამული საყვარელი—
ჭირნახული საქართველო.

მწუხრი ცისკრად შეგვეცვალოს
სინამდვილედ თვით ოცნება
და აღსრულდეს შვილით შვილად
ნაანდერძი მგოსნის ცნება!..

...1908 წ.

ვუძღვნი ა. ფრონელს მისი წიგნების გამო

ცის კიდურ ლაჟვარდ გუმბათზე
ვუჭვრეტ ციმციმა ვარსკვლავებს
და ქვეყანაზე მათ წილად—
წინაპართ წმინდა საფლავებს.

პირველთა ჭვრეტით ვეძლევი
საამო აღმაფრენასა,
ზეცა მიტაცებს იდუმალ
და ვეღარა ვძრავ ენასა.

ზენაარ მადლით ვიმსჭვალვი,
გულს ალმოდებულ გზნებითა
და საიდუმლოდ შევამკობ
ძალთაძალს ქებათქებითა.

აქ ჩანს ღვთაება ძლიერი—
სივრცე უსაზღვრო ბუნება

და მის წიაღში იდუმალ
გული სულს ესალბუნება.

ვშორდები ყოველს ქვეყნიერს,
ვეძლევი დავიწყებასა
და წუთჟამიერ განვიცდი
თითქო სამოთხის შვებასა.

გამოცდილ-გამობრძმედილი
ცხოვრების ბედისწერითა,
წინაპართ საფლავს დავცქერი
სულ სხვაგვარ გულისძგერითა.

მხოლოდ აქა ვჭვრეტ თვალცხადლივ
წინაპართ უკვდავ სიასა
და საფლავებზე ვკითხულობ
ჩვენს წარსულ ისტორიასა.

ლოდებზე განვჭვრეტ იდუმალ
წინაპართ სურათხატებას,
ვგრძნობ მათ სიქველეს და მასთან
საკუთარ ძალთა მატებას.

ძველგმირთა ღვაწლის მჭვრეტელი
მათივე ლამპარ-მნათობით—
აქ ვპოვებ საფარს, ლტოლვილი
კაცთაგან უკუღმართობით.

საქვეყნო იგავ-არაკად
შოლამპარ-მანათობელი—
არა, არ მოკვდეს ოროდეს
ერი ამათი მშობელი.

შუხლთა მოვიდრეკ, გმირებო,
თქვენს წინა კრძალვა-რიდებით;
მხოლოდ თქვენ შეგიმოსიათ
ჩვენი სამშობლო დიდებით!..

მხოლოდ თქვენ ძალგიძთ, შთაბეროთ
აწინდელ ვაჟკაცთ ქველობა,
გაუიოლოთ საქვეყნო
საქმეთა ძნელთაძნელობა...

მხოლოდ თქვენ ძალგიძთ აქციოთ
იგინი ანდამატადა:
ტანჯულთ ხსნა ჰქონდეთ მიზნადა,
სამშობლო თავის ხატადა.

რომ ხმა გაისმას იმათგან
მონობის ბორკილთ მსხვრევისა,
ქედმაღალ, გულზვავ, უგბილთა
ციხე-კოშკთ გადმონგრევისა.

ჟამი დაუდგეს მსახვრალთა
ცოდვათა შენანიების,
და გამოცხადდეს მათ ზედა
კვლავ ღმერთი შურისძიების!..

1908 წ.

ბურჟუას ნადიმზე

ბურჟუას ნადიმს დავესწარ,
ღვინო და თაფლი სდიანო,
ღიპსავსე კურატ ვაჭრები
ალავერდს გადადიანო.
დემოკრატობენ ყველანი—
დროების წესრიგს სცვიანო;
სამშობლოს მრავალჟამიერს
ბოხ ხმაზე გასძახიანო.
მათი ცოლები იატაკს
კაბების კუდით ჰგვიანო.
გულმკერდ ტიტველი ევანი
მაცდურად ირხევიანო.

უტიფრად პრაუტი-პრუშტობენ,
მტლაშა-მტლუშს გადადიანო,
ტანციმანცია გამარჯეს —
კულტურაც ამას ჰქვიანო.
ჩაუთამაშეს ბაქარა,
ასიგნაცს ჩამოდიანო;
„დაჰკარ, გასჭერი, ჩამოდი,
აბა, არ დაიგვიანო“!
ამბობენ, ასეთ ნადიმებს
თურმე ხშირ-ხშირად ქმნიანო,
იმაზე განა ვინ ფიქრობს,
თუ სადმე ვინმეს შიანო.
დახოცილ მებრძოლთ საოხად
ამ „ქელეხს“ გადიხდიანო...
სამშობლოს ქვეყნის ვარამზე
როიალს დაუკვრიანო.
ქალ-კაცნი გაცვლა-გამოცვლით
აუარ-ჩაუვლიანო.
დავესწარ, — ბერი ქედანი
ბოლოში მომიგდიანო.
ან ვინ შემიშვა მე იქა,
სად ბურჟუები ზიანო,
ახია ჩემზე, კვლავისთვის
რომ თავი მოვიჭკვიანო.
ერთი ვთქვი, სულო ცოდვილო,
რა ბევრი ვავაჭიანო,—
წვეთები ნიშადურისა
მაგიერს გადუხდიანო.

1908 წ.

ნაფრქვევი

სალაროვ ჩემი სულისა
და ჩემთა მისწრაფებათა,
საგალობელად კმეული
მსურს გიძღვნა ქება ქებათა.

შენთვის ვაჟღერო ხმა მწყობრად,
ობოლი ჩანგის სიმები,
ავკინძო გრძნობა გრძნობაზე
შენგანვე ნაციმციმები.

შიგ შევურიო ცხოვრების
ნაღველნაწები წყლულები
და ვაღაღადო საქვეყნოდ,
ვით პირველ მოციქულები.

მთა-ბარს შევტყორცნო ხმატკბილი
ხან სავაჟკაცოდ ქებული,
ხმა ნარნარ გრძნობათ აღმძვრელი
მიბნედილ-მინაზებული.

სახე ღვთიური, სრულქმნილი
მარად ოცნებით მესახვის,
თითქო თვალებით მანიშნებს
და თავისაკენ მეძახის.

რომ სიახლოვეს მის ჭვრეტით
შევკრიბო ძალა სულისა
და ვუძღვნა ჩემსა ქვეყანას
მსგავსად რამ თაიგულისა.

შორით-შორს ჩემთვის გაშლილა
ფული და გრძნობა ნარნარი,
თვისკენ მიმიწევს არსება
ჰაეროვანი, ხმამტკბარი.

რომ იმის გულის ძგერითა
მეც გული ამენთებოდეს
და, საქვეყნოზე აღგზნილი,
საჭირბოროტოდ დნებოდეს.

სხივთა მფრქვევ არსსა შევყურებ,
იდუმალ განვსჭვრეტ ეული,
მისკენ მიზიდავს ოცნება
და ძალა რაღაც გრძნეული,

რომ მივსწვდე, შუქი მოვსტაცო,
მისივე მანათობელი,
და ერს გადავსცე ის ცეცხლი,
მომაკვდავთ უკვდავმყოფელი.

აღვაგზნო გული ერისა
ცით მონაბერი ალითა,
რომ მიაღწიოს დიდ მიზანს
თვისივე ძალთა ძალითა.

მაშინ კი იგი ტანჯული,
განვლილ ჭირთ აღარ ნანობდეს
და დღეს უძლური, მძლე-ქმნილი
გმირობდეს, ამირანობდეს!..

1909 წ.

ქუთაისი

დახეთ, ჩვენი ქალაქი, რარიგად გამოცვლილა:
წინმსვლელობით, პროგრესით სულ ერთიან აღვსილა,
შეხედეთ შუბლშეჭმუხვნილს, თითქოს სიბრძნის მძებნელსა,
როგორ ფიქრობთ? ვის ხედავთ? განა ქუჩის მტკეპნელსა?
ულვაშებს რომ იგრიხავს თითო ადლზე გაჭიმულს·
თავი მოაქვს მასაცა, როგორც ქვეყნის მოციქულს.
ისიც საქმის კაცია, მუქთად არ აჭყეტს თვალებს
გამვლელსა და გამომვლელს ერთგულად უთვალთვალებს.
როგორც დიდი მწერალი, თითქო ეძებს ტიპებსა,
ნამდვილად კი განუჭვრეტს გამოშვერილ ღიპებსა·
დახეთ, ჩვენი ქალაქი, რარიგად გამოცვლილა:
მეტის საქმიანობით უსაქმობით აღვსილა·

ნაზ პეპელა ქალები ბაღში მიქრი-მოქრიან,
ყვავილების ძებნაში ესენიც ოფლსა ღვრიან.
ქართულს ვერ გაიგონებთ, მშობლიურზე კუშტობენ,
ბევრჯერ უთხრეს და მაინც კიდევ „პრაშტი პრუშტობენ“.
„ტანცია-კავალრები“, თანაგრძნობა მათდამი,
ამ დღეებში მოსვლიათ ვიღაც მწვრთნელი „მადამი,“
„უჩენიკ-უჩენიცებს“ თურმე ავარჯიშებენ,
ქვეყანას უკულტუროს, ალბათ, მოაჯიშებენ!
ალერსთ ზღვაში სცურავენ ეგ ხმელეთის გედები
და ასე იწრთვნებიან მომავალი დედები·
დახეთ, ჩვენი ქალაქი, რარიგად გამოცვლილა:
მშრომელ ქართველ ქალებით სულერთიან აღვსილა.

თუმცა ეს საუკუნე იმთავითვე გვშველოდა,
მაგრამ, ვფიქრობ, რომ ამას კი არავინ ელოდა,
რომ ქრისტიანთ ტაძარსა, ებრაელთა თორასა,
ქალაქის ბაღს, ბალახვანს, არქიელის გორასა
უცბად მოუხდენიათ რაღაც სასწაულები
და ყველას გამოსხმია ენა, თვალი, ყურები...
გულის კუნჭულოებში ხელებს გიფათურებენ,
ყველა ჭუჭრუტანებით ურცხვად შემოგყურებენ.

დახეთ, ჩვენი ქალაქი, რარიგად გამოცვლილა:
ხე, ქვა-ლოდი, კედლებიც თვალით, ყურით აღვსილა.

გუშინ მელაძეები სოროებში ძვრებოდნენ,
ან და წითელ მანტიას ურცხვად ეფარებოდნენ,
ტანჯულ ხალხის სახელსა წარამარა ჰფიცავდნენ
და სამშობლოს ინტერესს ამით ვითომ იცავდნენ.

დღეს ეს ურცხვი შვილები—პატარიან-დიდიან
გუშინდელ „ამხანაგებს" ნასუფრალში ჰყიდიან.
დახეთ, ჩვენი ქალაქი, რარიგად გამოცვლილა:
მებრძოლ გმირთა მაგივრად ჯაშუშებით აღვსილა.

1909 წ.

ჩემი მოციქული

სატრფოსა ვჭვრეტდი შორ-ახლოს
ჩემზე შუბლშემობურვილსა,
დიდხანს ვეძიე მიზეზი
და ვერ მივუხვდი სურვილსა.

ეტრატზე კრძალვით დავხატე,
ვით ანგელოზი ფრთოვანი,
შევამკე, შევაელფერე
შუქოსან-ჰაეროვანი,

ქვეშ მოვაწერე სიტყვები
რჩეული, ფერადოვანი
და გაბედულად წარვუდექ
რაღაც გულიმედოვანი.

გადმოიხედა პირიმზემ,
ხელით მანიშნა: არაო,
სიტყვებსა სურათხატულსა
მიძღვნიან წარამარაო.

ია და ვარდი დავკრიფე,
შევკარი თაიგულადა,
უცხო და უცხო მცენარე
დავკინძე სამკაულადა,

ვარსკვლავთ ციმციმი დავურთე
და ბადრი მთვარე—სრულადა:
მივუძღვენ ჩემი გრძნობების
გამომთქმელ მოციქულადა

შორით მანიშნა გრძნეულმა:
ნუ თუ გგონივარ ბავშვიო,
ყვავილის მეტი რა არის
ჩვენს ტურფა ქვეყანაშიო?!

ჩუხჩუხა წყაროს ცრემლებში
გავჭვრეტდი ცისარტყელასა,
შიგ ამოვავლე მზის თვალი,
ის ვამჯობინე ყველასა.

ოქროში ჩავსვი, ციმციმით
გაანათებდა ბნელასა:
მივართვი, ამით ველოდი
უკანასკნელად შველასა.

წყრომით მანიშნა: უგნურო,
რისთვის მიკიცხავ აკვანსო?
ლითონსა, ცივს და უსულოს,
აბა, როგორ ვცემ თაყვანსო?

ეულსა ავხადე სარქველი,
სატრფოსგან ნაციმციმები,
ბუდით აღმოხდა ობოლი,
მაშვრალი, ნატვირთმძიმები.

შევუწყვე, მასზე მოვმართე
ჩემი ჩონგურის სიმები,
კვლავ დავაპკურე ცრემლები,
ზედ ხშირად დანაწვიმები.

ჩანგმა დაჰკვნესა: სატრფოო,
ვითა წვლილი რამ მცირეო,
ეს გული, შენთვის ტანჯული,
მიიღე, შეიწირეო!

შუბლი გაიხსნა ტურფამა,
ელვარედ გადმოანათა,
ზეცას შესტყორცნა სხივები,
მნათობებს შეუკამათა.

„გიხარობდენი“ გადმომცა,
მით განვლო განცდის ჟამმაცა,
სული შთაბერა ცხოველი
და მკლავნი გამიმამაცა.

ტრფიალის ხმაზე გულიცა
აწ ვეღარ იშლის გულობას,
მას ვანაცვალებ პირველთა
ამაო მოციქულობას!..

1909 წ.

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ დ ა?!

გაზაფხულდა, მერე მე რა?!
სხვისთვის, ჩემთვის არა ჯერა:
ტარტაროზის სასწორზეა
ჩემი ქვეყნის ბედისწერა.

მიწის მჭამელთ დიდი გუნდი
ღოღიალობს კარის კარად
და სამშობლო რუსთაველის
იყიდება გროშად, ფარად.

რამდენადაც კეკლუცია
დარეჯანი სანახავად,
იმდენადვე მწველი ცეცხლი
გულს იგზნება თავისთავად,

როცა იგი ქაჯებსა ჰყავს
ცხრა კლიტულში დამწყვდეული
და არსით ჩანს ტარიელი,
არც ავთანდილ მისეული.

რამდენადაც ტკბილი არის
დედის ძუძუ და ალერსი,
იმდენადვე ძლიერია
გულში ბოღმა ჩანალესი.

როცა უღვთოდ, აღმზრდელ მშობელს
შენს თვალთა წინ ძუძუს სჭრიან
და შვილები, ამის მჭვრეტნი,
უმოქმედოდ დასტირიან,

ვით ვიხარო? გაზაფხულის
ვერ შევიქენ ღირსი ხილვის:
ნაზი გრძნობა უმძიმესით
დაიზვრის და დაიჩრდილვის.

გაზაფხულდა, მერე მე რა?
სხვისთვის, ჩემთვის არა ჯერა,
სანამ რისხვით არ იფეთქებს
დაჩაგრულთ და მაშვრალთ კერა!..

1910 წ.

●

მაღლა ვდგავარ, მთის მწვერვალზე,
თითქო ზეცას ვებჯინები,
ვარსკვლავ-მთვარეს შევკამათებ,
წმინდა სანთლად ვიწვი, ვდნები.

სიყვარულით, სათნოებით
სავსე არის ჩემი გული,
ვემსხვერპლები, რაც მქონია
მაღალ მიზნად დასახული...

არად მიჩანს პირადობა,
საქვეყნოზე ვზრუნავ მარად,
მელნად ვხმარობ გულის ნაღველს
და სიწრფელეს—კალმისტარად.

სიმართლისთვის არ მივიჩნევ,
თუნდა გულში ლახვარი მკრან,
თუნდაც, ვითა ავაზაკი,
გოლგოთაზე ჯვარს გამაკრან...

და თუ ყველა ეს ასეა
და არ ყალბობს ჩემი გრძნობა,
რაღად მინდა სხვისი დაცვა,
ვექილთ ენაჭახრაკობა?

გახსოვთ პეტრე? იგი ხომ თვით
მოციქულთა თავი იყო

და მისიც კი სამსახური
მაცხოვარმა არ მიიღო.

როცა ზენას დასაცავად
მან იხმარა ტლანქი ძალა
და მახვილით ანაზდეულ
მალქოს ყური ჩამოთალა,

მაცხოვარმა მისგან შვება
სათაკილოდ მიიჩნია,
უთხრა: რომ არ ვსაჭიროებ,
დღემდის რად ვერ შეგიგნია?

არამკითხე პეტრეები
მრავლად იყვნენ ყოველ დროში,
დღეს კი ისე გაიაფდნენ,
რომ ფასია მათი—გროში.

მაგრამ იმათ მეტიჩრობას
საჯიბკუჭოც ახლავს ჭკუა,
რომ ზენაარსს იცავს ქვეყნად
ქვემძრომი და ჭია-ღუა.

1911 წ.

ᲨᲔᲪᲘᲠᲗᲐ ᲐᲩᲠᲓᲘᲚᲔᲑᲡ

I

ᩩᲔᲛᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲜᲝ,
ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲡᲮᲘᲕᲔᲑᲡ ᲕᲔᲜᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘ,
ᲑᲜᲔᲚᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲗᲔᲑᲘᲗᲕᲔᲨ ᲨᲔᲮᲘᲖᲜᲣᲚᲡ
ᲗᲥᲕᲔᲜ ᲐᲛᲘᲮᲘᲚᲔᲗ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ.
ᲒᲣᲚᲡ ᲛᲝᲮᲕᲓᲐ ᲡᲮᲘᲕᲘ ᲝᲑᲝᲚᲘ,
ᲓᲐᲜᲐᲙᲕᲔᲡ-ᲜᲐᲩᲘᲜᲩᲮᲐᲚᲔᲑᲘ,
ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲡ ᲛᲘᲜᲐᲗᲔᲑᲡ
ᲨᲣᲥᲛᲤᲔᲜᲘ ᲘᲓᲔᲐᲚᲔᲑᲘ.

ᲢᲐᲜᲯᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲕᲐᲠ...
ᲜᲘᲡᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲛᲔᲑᲣᲠᲔᲑᲐ,
ᲜᲐᲦᲕᲔᲚᲨᲘ ᲐᲛᲝᲜᲐᲚᲔᲡᲘ
ᲪᲠᲔᲛᲚᲘ ᲪᲠᲔᲛᲚᲡ ᲓᲐᲔᲬᲣᲠᲔᲑᲐ,
ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲮᲜᲔ ᲒᲐᲛᲝᲫᲐᲮᲘᲚᲘ
ᲛᲧᲘᲡᲕᲔ ᲪᲘᲗ ᲛᲝᲛᲔᲧᲣᲠᲔᲑᲐ,
ᲛᲐᲨᲘᲜ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲛᲬᲧᲣᲠᲘᲐ
ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘᲪ ᲛᲔᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲐ.

ᲐᲛᲐᲡᲦᲐ ᲕᲢᲘᲠᲘ—ᲝᲦᲝᲜᲓᲐᲪ
ᲛᲐᲚᲘᲛᲐᲚ ᲒᲕᲛᲝᲡᲐᲕᲗ ᲨᲐᲕᲘᲗᲐ,
ᲖᲦᲕᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲕᲘᲗ ᲒᲐᲜᲕᲚᲝ
ᲝᲑᲚᲐᲓ ᲨᲗᲔᲜᲘᲚᲘ ᲜᲐᲕᲘᲗᲐ.
ᲨᲔᲛᲛᲝᲡᲔᲗ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲡ ᲤᲝᲚᲐᲓᲘᲗ,
ᲗᲥᲕᲔᲜᲒᲐᲜᲕᲔ ᲡᲐᲔᲡᲐᲕᲘᲗᲐ
ᲓᲐ ᲐᲜᲓᲔᲠᲫᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲡᲐᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲗᲛᲝᲑ
ᲩᲔᲛᲘᲡ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲗᲐ.

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲝᲠᲒᲣᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲡᲐ
ᲜᲣᲠᲝᲓᲔᲡ ᲒᲐᲣᲮᲐᲠᲘᲐ,
ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲐᲚᲙᲝᲢᲘ, ᲛᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲡᲣᲠᲡ,
ᲐᲠᲪ ᲔᲒᲠᲔ ᲜᲐᲝᲮᲐᲠᲘᲐ:
ᲛᲝᲭᲘᲠᲜᲐᲮᲣᲚᲔ ᲨᲕᲘᲚᲗᲐᲒᲐᲜ

მორწყული, ნაოფლარია,
სხეულით მათი სიკვდილი
მათივ აღდგომის ზარია.
ვარსკვლავნო ჩემის ქვეყნისა,
თქვენს სხივებს ვენაცვალები,
წყვდიადის ფრთებქვეშ შეხიზნულს
თქვენ ამიხილეთ თვალები.

II

„აღდგომის“ ზარს, მის „წმინდა არსს“
თრთოლვით ვისმენ გრძნობამტკბარი,
მის წარიალით, იდეალით
უჩვეულოდ გულგამთბარი.

თვით ფრთასხმული მოციქული,
გაზაფხულის ვით მერცხალი,
რაღაც ობლად, მახარობლად
მოვლენილი ძალთაძალი.

ვით მზის შუქი—ფრთამსუბუქი,
უკუნეთის მძლეთა მძლეა,
ეს ხმა ტკბილიც, მოძახილიც
შუქმომფენი სიცოცხლეა.

ვით მჭედელმა, მცოდნე ხელმა
რკინა აწრთოს, აფოლადოს,
სასოების ზართ ხმამ შვებით
ჩემი გულიც აღაღადოს.

„აღდგომის“ ზარს ვევლები გარს
მოფერხულე არ თუ ობლად,
და მაღალ სულთ, ჩვენგან წასულთ
ვუძღვნი „ძლევის საგალობლად“.

1913 წ.

●

ათი წელი, ათი წელი—
მწარედ მოსახსენებელი!
საყვარელი, როგორც გველი,
მოთავკაცე ბელზებელი.

კვდებაო და აღარც მოკვდა
ორთა შუა გაეხირა,
ცოცხალ-მკვდრებში ჩარიცხულმა
ბებრის ჩაჩი გააძვირა.

მოქვეშქვეშეს უამბორა,
ოქროს ვირზე რომ შემჯდარა
და კვლავ ასე ეპირება,
აგრე რიგად თუ უდარა...

ეჩმიეთის მოციქულებს
დაუამა ყველას გული,
ხატის კაციც გვერდს უმშვენებს
მეტიჩრობით თავგასული.

დიაცს რაღა ეკითხება,
თაიგულმა გააბრუა
და ერთიან დაუკარგა
სწორხედვა და საღი ჭკუა.

ხიზანია წარმავალი
და ხიზანსვე მისცა ხელი;
კვლავ ტაშს უკრავს მათ ორთავეს
გულგაშლილი მასპინძელი:

ერთმანეთი შეგაბეროთ
ცოცხლებით და თქვენივ მკვდრებით,
მასთან ერთად შემისრულეთ,
ამას გთხოვთ და გევედრებით:

თქვენს სიყვარულს როცა ვხედავ,
გრძნობა როგორ შევიგუბო,
რომ სახსოვრად არ მოგართვათ,
მოსარგისი თქვენთვის კუბო.

რომ ამ ქვეყნად საყვარლები
იმ ქვეყნადაც ერთად იყოთ,
და თუ აქ ვერ მოასწარით,
სხვის სამკვიდრო იქ გაიყოთ!..

1914 წ.

ასე ერთხმად

ე მაგრე, თქვენი ჭირიმე,
ე მაგრე შეუტატანეთ
და თუნდ სიცოცხლეც მომთხოვეთ,
ზე თანვე გადამატანეთ!..

გულს მოეფინა სიამე
და შვება იგრძნო ტანჯულმა,
შმუშვნა რომ იწყო სოროში,
იმ ცხრაგვერდა და ცხრარჯულმა..

იმედის სხივმა დამქროლა,
ობლად მიმქრალმა ეულად,
და განმიახლა კვლავ რწმენა,
თვის შუქით ანაზდეულად.

სხვაგან მუხთლობის მძებნელი,
ჩვეული სხვების კიცხვასა,
ვერ დაემალვის ვეროდეს
ერის ერთხმოვან რისხვასა...

არც მოელოდა ვერაგი
ამ ერთხმად შეტატანებას,

დაბალ ღობეზე გადასვლის
მიტომ აძლევდა თავს ნებას.

მასპინძლის ამგვარ დახვედრას,
რომ არ ყოფილა ჩვეული,
სახტად, პირკატანაცემი
გაბრუნდა სირცხვილეული.

სრულდება წმინდა სურვილი—
ანდერძი წინაპარისა:
ერთსულოვნებით ფარგება
მტრის დამცემია ზარისა!..

და რომ ვიგემეთ ნაყოფი,
თუმცა პირველი ხილია,
ნუღარ მომაკლებთ, გეთაყვათ,
ის იმოდენად ტკბილია.

ე მაგრე, თქვენი ჭირიმე,
კვლავ ეგრე შეუქაქანეთ.
და განგებ თხზული „სიბრიყვე"
მტერს საფლავშიაც ანანეთ!..

1915 წ.

●

ულმო კერპისა წინაშე
სალოცავ-საწირავადა
შენ ხორცსა გთხოვენ, ბედშავო,
მამა აბრამის კრავადა!..

ისაკის საშველ-სახსნელად
საბედისწეროდ ჩართული —
უენოთ მდგომი გიხილეს
რქით ბურდში გადახლართული·

იეღოვა კი მრისხანე
აბრამს შვილს სთხოვდა ზვარაკად,
რომ რისხვით მოვლინებოდა
ცით სათქმელ იგავ-არაკად.

წინ აგიდევნეს, საბრალოვ,
საკვამლე ნიავ-ქარადა
და მადლობის წილ ეს მსხვერპლი
შენ ჩაგითვალეს არადა!..

ზოგისა ბამბა ჩხრიალებს,
ზოგის კაკალიც არაო.
და შენდა მოსახსენებლად
თქვეს თურმე — ესეც კმარაო!..

ისაკი ახლაც ბევრია,
მამა აბრამის კრავიცა,
თქვენ კარგად მოგეხსენებათ
მათი კარგიც და ავიცა!..

1916 წ.

ნაწყვეტი

...შენ მწუხარება ჩემი გახარებს,
მეც სიხარული შენი მაკვნესებს:
შენი ტკივილი ჩემს ტკბილ ოცნებას
აფერადოვნებს და უალერსებს.

როგორ მოვთავსდეთ, მაშ, ერთ ჭერქვეშა,
რომ დაგვნათოდეს მშობლიური ცა,
შენს ბოროტ ზრახვათ დაჰგმობს, გაჰკიცხავს
კანონი ქვეყნის და ციურიცა.

მაინც რომ კიდევ თავს დამტრიალებ,
რა სიტკბო ჰპოვე ჩემს სიძულვილში,
რომ საშინელი ეგ სახე შენი
სულ მელანდება ცხადად თუ ძილში?

და დღესდღეობით რომ აღარა ჭრის,
აღარ გამიდის ცოდვა და ბრალი,
მაინც კვლავ შემრჩა შენთვის ნობათად
უფრო ძლიერი და მკვეთრი ხმალი.

მას ზიზღი ჰქვია, შენისთანების
ხამასპინძლოდა მაქვს შენახული,
დეე, იმაზე, ვითა სამსჭვალზე,
ზედ წამოეგოს ეგ შენი გული.

შევნატრი, ვისაც მძლე სიყვარული
დაუფლებია, ვითა მთიები,
და ვაი მონას, ვის გულშიც ჩაკვდა
სული ამაყი, შურისმძიები!..

1916 წ.

●

დიდად ნუ ჰფასობ ბრბოის სიყვარულს,
მგზნებარე ვაშას თავს ნუ დაჰხარი!
იყავ გულმტკიცე და, წარბებშეკრულს,
ნუ შეგაშფოთებს მისი ხარხარი!

შენ თვით ხარ მეფე! იმა გზით ვლიდე,
სითკენაც გრძნობამ და ჭკუამ გზიდოს!..
საყვარელ ფიქრთა ნაყოფსა ზრდიდე
და არც ითხოვდე ამისთვის ჯილდოს!..

1919 ₹.

შვილიშვილი მუშა ბოქულაძისა

რას მიყურებ ეგრე გაკვირვებითა?
ვინა ვარ და ანუ ვინა გგონივარ?
კაცი ბრძოლით,
ტყვიით ანაწონი ვარ,
გამოზრდილი დიდის გაჭირვებითა.

გახსოვთ მუშა, ილიასგან ნაქები—
უტყვად მყოფი,
მხოლოდ რისხვით მცქერალი,
საიათნოვას ლექსთა გუნდში მღერალი,
გრიგოლისგან შემდეგ ნაქანდაკები.

მე მათი ვარ ტომით ჩამომავალი,
მამაჩემი ცხრაას ხუთმა წაიღო,
ბავშვი ვიყავ, არ ვიცოდი რა იყო
ცხოვრების გზა ბრძოლით, ზათქით სავალი.

მამა ერთხელ, მახსოვს, იამ შეამკო
თავისებურ მადლიანის კალმითა,
მიეგება ღიმილით და სალმითა
და გულისთქმა მისი ნათლად გვიამბო.

აწ არ ვიცი, მისი ძვლები სად ჰყრია,
კაცი იყო კიდევ ჯეელმეელი,
მუშათ საქმის ჭაპნით წინ-წინ მწეველი,
სისხლნაზავი ოფლი ხშირად დაჰღვრია,

ობლობაში გავიზარდე ეული,
ბრძოლის ლექსებს ვკითხულობდი ყიჟინით,
წინ მიძღოდნენ ანთებული ჟინჟღილით,
ვიქნებოდი ასე ათი წლეული,
განვიცადე მრავალგვარი ვაება...
ჩემი გულიც ბრძოლის ალში ჩაება.

ვენაცვალე მგოსნის კალამს აღგზნებულს,
ყურს ვუგდებდი, ვზეპირობდი, ვმღეროდი,
ჩემს ნაშრომსა ჩემთვის მცირეს ვჯეროდი
და ბრძოლისთვის ვილესავდი სულს და გულს.

მე მუშა ვარ. მუშად დაბადებული
და კაცობაც ღირსეული მაგ არი,
რომ გახსოვდეს მოყვრის ნაამაგარი,
მტარვალთაგან ხშირად შურისგებული.

ჩემი ბრძოლა სიმართლეზე აშენდა,
კერპი არ მრწამს—და არც მიწამებია,
თვალთმაქცურად არვინ მიამებია...
და ამ ბრძოლით დღეს ქვეყანა დამშვენდა.

მერე იცით, რა იყო და რა არა:
ცეცხლკიდება, სახრჩობელა და ტყვია,
ჩვენს ქვეყანას იგი დღესაც ატყვია,
რაც ქარ-მეხმა ჩვენზე გადაიარა.

ჩვენი ბედიც გაიკვერა, გამოდგა,
რაც რომ გვწვავდა და გვდაგავდა შანთები,

ამ ქარ-ცეცხლში ნაწრთობი და ნანთები
საქართველო გმირთაგმირად წამოდგა...
და აწ იგი ესდენ ალმოკიდებით
განთქმულია შორით შორად დიდებით.

რას მიყურებ აგრე გაოცებითა?
ნახეთ ჩემი ნაბრძოლ-ნამოქმედარი:
ცეცხლის რაშზე გადამჯდარი მხედარი
როგორ მიჰქრის წინ-წინ გაქანებითა.

მაშ, ვინა ვარ? საქმის კაცი მქვია მე,
ახალ გზაზე ახალ ქვეყნის მქმნელი ვარ,
ახალ გრძნობათ, ახალ სიტყვათ მთქმელი ვარ
და აქ არის გამარჯვების სიამე...

კიდევ მკითხავთ, რა ქვეყნის ვარ, რა ცისა?
მშვენიერი საქართველოს შვილი ვარ,
მისთვის შობილ, მისთვის აკვანს ზრდილი ვარ,
მტრისთვის რისხვა, მოყვრისათვის ტკბილი ვარ,

რომ ვიყავი, იგივე ვარ... არც ისა,
ახალგვარად ახლად ნაგებ-ქმნილი ვარ,
შვილიშვილი მუშა ბოქულაძისა.

1928 წ.

რიონმშენის მუშაკთ

ორი მხრიდან იერიშით მივდივართ,
სინათლისა და მომავლის ხიდი ვართ!

კიბულას კლდეს გააქვს ტორტმან-ზანზარი,
ძალას შევქმნით, რომ ბნელს დავსცეთ თავზარი,
ვაპობთ, ვკაფავთ, ვშიგნავთ, ვქვაბავთ, მივდივართ
სინათლისა და მომავლის ხიდი ვართ!..

ხელგოგორას მოაქვს ღორღი ნაყარი,
მას თან მისდევს მხიარული მაყარი·
ხარაჩოთი შეკრულია თაღები
ქშინავს მკერდი, ოფლის წურვით ნაღები.

რიონი გვცემს, გვებრძვის, ვებრძვით რიგითა
და თანდათან ვერეკებით იქითა,
შეუპოვრად სულ წინისკენ მივდივართ,
სინათლისა და მომავლის ხიდი ვართ!..

აქ ბრძოლაა, ბრძოლა მედგარ-ჩართული,
ერთსულოვან-ვაჟკაცური, ქართული.
ამირანმა ზეცას ცეცხლი მოსტაცა?—
ჩვენ ავახდენთ, ზღაპრად თქმულა აქ რაცა.

ბრძოლის ზათქით კლდის ხმაურში ვკისკისებთ,
რიონს დავწვავთ, ცეცხლად ავაგიზგიზებთ·
ვფატრავთ, ვღადრავთ, ვკვეთავთ, ვქვაბავთ, მივდივართ,
სინათლისა და მომავლის ხიდი ვართ!..

1929 წ.

უღელტეხილზე

სიტყვა ვისროლე ობოლი,
ობლათვე ახეტიალდა;
აუყვ-დაუყვა ქოხმახებს,
მარცხნისკენ შემოტრიალდა;
დამემხო ძველი სამყარო,
ახალი წამოგრიალდა...
ნაცვლად სხვა უნდა შევქმნა რამ,
რაც უკვე გამიტიალდა.

გაისმა სულ სხვა ზევსური,
სხვა კილო გამოხმიანდა,
ამოშრა სევდის აუზი,
უკუნი გამომზიანდა,
წყლულსა მიეცა კურნება,
რაც წინათ დამიზიანდა,
ზოგს მე ვუსწრებდი... ზოგგან კი
ახლა მეც დამიგვიანდა.

ჩემს ასე ყოფას მეც ვნანობ
და ამას ვფარავ არა მით,
რომ ამაფეთქა სიტყვამა
ნასროლ-ნატყორცნმა ვარამით!
გული რომ ღრინავს ხანდახან—
სულ სხვა მიზეზით, სხვა რამით!
სასოებით ვჭვრეტ მომავალს,
მხნე და უდრეკი ვარ ამით!..

რომ სარეველა არ მიჰყვეს,
ძნელათ გადარჩეს ჯეჯილი!—
მაგრამ არ მიყვარს მე ლექსი
თავ-ბოლო გადაგლეჯილი,
კოჭლ ოჩოფეხზე შემდგარი,
ბებრულად ჩამოჯენჯილი,

მკუხე რამ ხილი მაჟალო,
პანტა გვერდშემობეჟილი.

ვისაც რა უნდა იგი თქვას,
რასაც კალამი ჩმახავდეს?
ახლად შებმული უღელში
ნაუღლს რათ უნდა ძრახავდეს?
ქვეყანას უჯობს— მომავალს
ძველის უკეთესს ნახავდეს:
მოვიდეს დრო და იმ ახალს
სულ სხვა ახალი ჩარხავდეს!
გაქრა იგი დრო, როს ბაგეს
და ენას ეკრა ნალები,
ძილს თუ ღვიძილში გზვერავდნენ
ჟანდარმის ჭროღა თვალები!
და ბრძოლაც იგი სხვა იყო
ნაცეცხლი, ნავარვარები...
ახლა თუ ვინმე გამჩარხავს,—
სიცოცხლით ვენაცვალები.
მანამ კი... რაღა მანამ კი!
რომ მოვიშორო მა ნამკი,
თვით მევე უნდა ცეცხლს მივსცე
წინათ ნათესი და ნამკი!
თავის დრო ჰქონდა იმასაც—
დიახ ნაქები და ნამკი...
ახლა სხვა გზით ვვლი, ოღონდაც
გასჭრას დასტაქრის დანამ კი!..
მწყობრებს ჩაუდგეს მგოსანი
გულისწყლულს აღარ ჩიოდეს,
იმისი სიტყვა ნასროლი
შაშხანის ტყვიად ხვიოდეს;
კლდე—სალი ნაბერკეტები
ყირაზე გადმოდიოდეს,
ორგულის გულსაც დაემხოს
რასაც კი ინატრიოდეს:
ჭაღარას როგორ შევირცხვენ,
მტარვალს არ ვუძღვნა გობითა?

მყობადს თუნდ კენჭი შევსძინო
ტკბილ ენა-მუსიკობითა!

კვალდაკვალ გავყვე ახალ ძალს,
მეც ჯერში ჩავდგე წყობითა!
განახლდეს გული ნაფერფლი,
ვით ორბი ჭაბუკობითა!..

1931 წ.

ს ი ტ ყ ვ ა

მე პატარა კაცი ვარ,
კაცთა უკაცუნესი,
არ მიცნობენ არც მკლავით
და არც მუშტი-კრივითა!
სიტყვა მიჭრის, ვით მუხლი
ფაფარგაშლილ ჰუნესი,
რომ ისიც ფრთა-ფხიანად
დასხლტეს ისარივითა!..
შენც გაქრები და მეცა—
არცთუ ისე ქებულათ! —
არვინ გვკითხავს, რა ვქექეთ,
ვაკეთებდით სად და რას!..
მაგრამ სიტყვის ნატეხი
ჩემი განსხვავებულათ,
ვფიქრობ, სადმე შერჩება
ჩემს მეგობარ ქანდარას!.

1932 წ.

ნაწყვეტები

(ლირიკული პოემიდან)

ჰქრიან წუთნი, ჰქრიან ჟამნი,
ჰქრიან, ჰქრიან, ჰქრიან,..
და მწვერვალნი წარსულისა
ამაყ ქედებს ჰხრიან!..
აჩრდილი სდევს აჩრდილის კვალს...
რბიან, რბიან, რბიან!..
მეც ხომ იმავ გზას გავყვები,
ადრეა თუ გვიან!..
ვინ იკითხავს, თუ ჩემებრნი
სად და ვინა ჰგდიან,
ან თუ ვისმე ჩემს გარშემო
ჩუმათ ცრემლნი სდიან...
მაშინ ტოტებს ვინა ჩივის;
როცა ძირებს სჭრიან,
მაშინ წვეთი ვიღას ახსოვს,
როცა კოკით ღვრიან...
ისევ მევე დავიბარებ:
მე ის კაცი მქვიან,
ვისაც მისგან გამოწვრთნილნი
ღღეს პირიქით წვრთნიან!
მეც ეს მომწონს: ახალძალნი
ახალ მწვერვალთ ქმნიან;
თუმცა ზოგნი შიგა და შიგ
უკვე ნამკალს მკიან...
მაგრამ ჟამნი დიდ ქმედობის
მაინც წინა ჰქრიან—
და მწვერვალნი წარსულისა
ამაყ ქედებს ჰხრიან!..

1933 წ.

ჩემს „ჟამთა აღმწერელს“

მე არა მაქვს ამის მოცლა,
შენ კი წუთებს ითვლი—
და ნირვანის სამყაროში
წვევის ამბებს მითვლი!..
ჩემს გულს მწარეთ ეწვეთები
შხამათა და ისრათ!
მწარ წარსულის მოგონებათ
შენც დამაწექ კისრად!..
მე კი სწორედ ახლა მინდა,
მინდა ვიყო დღეგრძელ,
თუ ეპოქის კვალში ყოფნა
ოდნავ მაინც შევძელ!..
თუ სიცოცხლე კი მიყვარდა
და მწყუროდა ოდეს,
როგორც ახლა, როგორც ახლა—
ისე არაოდეს!..
თორემ დღემდი რა მინახავს
გარდა ოხვრა — კვნესის?..
ახლაც კიდევ შორეთიდან
მისი გმინვა მესმის!..
ამის შემდეგ ვინ დამძრახავს—
კვლავ სიცოცხლე მსურდეს,
და გულიცა საგულეში
ყმაწვილურად ხურდეს?!.
არა, შენთვის არ მცალია,
ჩემს წუთებს რომ ითვლი,
და იცოდე, ამას შემდეგ
მტკიცე უარს გითვლი!..

1933 წ.

ლირიკული ნაწყვეტები

მე ჩემთა დღეთა, ჩემს წელიწადებს;
ისე ვმარცვლავდი, ვით კრიალოსანს,
და ვასრულებდი ჩემს დანაქადებს,
როგორც შეეძლო მცირე კალმოსანს.
    აწ ის, რაც იყო, გაჰქრა უკვალოთ,
როგორც მაყრულში გოდების კვნესა!..
რომ მათუსალად კიდეც ჩამთვალოთ,
მე დღეს მწყურია სიცოცხლე, დღესა!..

***

    განიცდით მერანთ სანახაობას,
რომ ეგრე ფრთამალ ველი-ველ მიჰქრის?
აბა უცდია რომელ თაობას
ასეთ სწრაფვაზე დაძვრაც კი ფიქრის?!
მახსოვს, ჭაბუკი ვიყავ ოდეს მე,
ეს სადღეისოდ გულს მაფრქვევია,
ამ მერანისთვის სადღაც, ოდესმე
მეც ერთი შოლტი დამიქნევია!..

***

„უკვდავი ხარო!“ — შორით მტყორცნე ლექსების კონა,
თითქო ზღვის ტალღებს მიარღვევდეს მკერდი გემური!
სიტყვის მარყუჟში გამოსკვნილი გრძნობა მეგონა,
რომ სამკაული მომიძღვენი დიადემური!..
ეგ დიადემა უარვყავი დიდიხანია—
და გვირგვინებიც ტახტიანად მსხვრევით ავლაგმე:
რევოლუციის ცეცხლს და სისხლში ვინც ნაბანია,
მას უკვდავებას თვით ანიჭებს სიტყვა და საქმე.

1934 წ.

ლირიკული ნაწყვეტებს

წარსული მაწევს, ვით მაჯლაჯუნა,
მსახვრალი ხელიც არ მავიწყდება
და თვით ოცნებაც, ის თვალჟუჟუნა,
იქვე მრჩება და გული არ მწყდება.
ჰოი, განვლილო დღენო, წუთებო,
დასაღონარნო დასაღონარად
ყრმობისა ჩემის სულშემხუთებო,
ნულამც მშთენილხართ მოსაგონარად!..
მყინვართა წვერი, ფოილოს ხიდი—
ჩემი სამშობლო ეს იყო მაშინ,
რასაცა ვთესდი, ცრემლებად ვმკიდი.
და მეგობრებიც გვერდს მიდგნენ მკაში.
ვერ გავახარე ნერგი ნერგული,
თუმც საბაღნაროს ბევრი ვენუკვე;
დღეს გამიცოცხლდა კვლავ ჩემი გული,
როცა ჭაღარამ დამფარა უკვე.
აწ კვლავ სიცოცხლე მწყურის თანდათან,
რა ახალ ნერგის სურნელსა ვყნოსავ,
მეც ჩემს ჭაღარას წარსულს გავატან
და ძოწისფერად თავს შევიმოსავ!..

1935 წ.

„მე იგი მოგონება"

მე იგი მოგონება როცა მომეგონება,
სული კვლავ აფეთქდება, გული კვლავ აენთება!..
მწველ-მწველ მწვერვალ ანძებად გრძნობა ფიქრს ეკვანძება.
მეც შიგ ვდნები და ნამწვი გულსვე დაეღვენთება.
ეგ სიცოცხლე წუთია, წუთი წარმავალობით,

საუკუნე ხშირად ჰქრის შეუმჩნევლად, უკვალოდ!
მხოლოდ რჩება წუთები, გრძნობით ნასათუთები,
მოშუქურე ვარსკვლავად, რაღაც სათვალდათვალოდ!..
წუთებშია სხვაობა, თვით სიცოცხლის რაობა...
(აწ ვინ მკითხავს ჭაღარას, ორთა შუა განახირს?)
თორემ თვით საუკუნე, უსიცოცხლო და დუნე,
შენს ხატს, ვფიცავ, გრძნეულო, იმ ერთ წუთად არა ღირს.

1935 წ.

ს ა ო ქ ტ ო მ ბ რ ო

ქვეყნის გვირგვინად, ქვეყნის თვალად და სამკაულად
შენთვის იბრძოდნენ თაობანი და ვაჟკაცები;
შენთვის იმღერდნენ პოეტები ტკბილნართაულად,
შენ გადმოეცი ხალხს სინათლე მინატაცები!
შენ ხარ ხსნა ყველა მცირებულის და დამაშვრალთა,
თავისუფლების ალამწვერი არის მზიანი,
ბუნების წიაღს შენ გაუხსენ სიუხვის კალთა
და გარდუვალად აამაღლე ადამიანი.
შენ ხარ პატივი და დიდება ეროვნებისა,
შენ ხარ კანონი და საყრდენი ხალხთა ნებისა.
თუ არ ძალედვა ხსნა ქვეყნისა ნოეს კიდობანს,
შენს საფარ ქვეშე მოიპოვონ ხალხთა მშვიდობა.
ამიერიდან, შრომას თავი ვინც განარიდა
და ვისაც ოფლი მშრომელისა დავიწყებოდეს,
დე, იარსებოს მხოლოდ თავის ნაოფლარითა
და პატიოსან მუშაკთ შორის ირიცხებოდეს!
ქვეყნის გვირგვინად, ქვეყნის თვალად და სამკაულად
შენთვის იბრძოდნენ უკეთესნი შვილნი მამულის;
შენთვის იმღერდნენ პოეტები ტკბილნართაულად
და შენთვის განვლეს ვაჟკაცებმა ზღვა მეწამულის!..

1935 წ.

ვაჟას

ვაჟაუ, ვაჟო ფშავისა,
ვაჟკაცო ომახიანო,
როგორც ე მაგ მთის მწვერვალნი,
ეულითაც მწვერვალ-კლდიანო,
შენი ნაკვეთი სიტყვები,
ვით მთის ნაკადნი სდიანო.
„მემღერების და ვიმღერი!“,
შენგან მსმენია სმენითა:
ყველაფერს სული უდგასო,
სცანით და შეიგენითა.
და მთა-კლდეთ ამეტყველებდი
ი დევ-გმირების ენითა.
გვახსოვს ანდერძი ვაჟკაცის
და თან სისხლისღვრა ფშავისა;
რისთვის ეწოდა ლომგული
იმ გამწირავსა თავისას? —
სირცხვილს ურჩევნავ სიკვდილი,
დღის დაბნელება შავისა.
მთები გიყვარდა, მართალ ხარ.
მთის შვილს სწორ ეგა სჩვევია,
შენი აკვანი ბორბალოს
ქარტეხილს დაურწევია
და შენცა მთების ხუილი
ლექსებად დაგიფრქვევია.
სიკვდილის წინა წუთებში
მთის წყაროს წყალი გწყუროდა,
ისღა მიგაჩნდა მკურნალად,
სულს მხოლოდ იგი ჰსუროდა,
შიო თავს გადგა მოზარედ,
ზედ გეხვეოდა სუროდა.
ვითა ხარლაღი ირმისა,
მთით გვესმა შენი ხმაური,
დელგმა ასტეხე კალმითა
და სიტყვით — ფარიკაული.

კვლავ მთაზე დგახარ და გვესმის,
გვესმის, ის შენი ფშაური·
აღმოცენდ, ვაჟო ფშაველო,
ვაჟკაცო ომახიანო,
შოთაის სულის ნატეხო,
ნაწრთობო, კალამფხიანო,
ზამთარ და ზაფხულ ჰყვაოდე,
სიტყვით და საქმით მზიანო!..

1936 წ.

ღიმილი ერთი წუთით

რასაცა ვგრძნობდი, მასვე ვგრძნობ თითქო
და გულის ტოკვა სიამით მატკბობს,
როცა გიჭვრეტდი, არ მაკლდა სითბო
და მოგონებაც მე ეგე მათბობს,
ხსოვნაში ჩამრჩა ეგ ჯადო ღიმი,
როგორც ყვავილი და უკვდავება,
და დღეს მიმქრალი ცოცხალ ვარ იმით,
რაც შენს ტრფიალში გული დაება...
ეგრე ყოფილა! სიცოცხლის ბგერა
როცა ნელდება ნამახვილარი,
გულს კვლავ აცოცხლებს შორი სიმღერა
და თვით ზმანება ნაყმაწვილარი.
დეე იტოკოს გულმა კვლავ და კვლავ,
სულს მითრთოლებდეს ზმანება — ჯადო!
ჩემო სიცოცხლევ, ისე ნუ მომკლავ,
ეგ ღიმი კიდევ არ განვიცადო!

1936 წ.

ორი შეხვედრა

I

ყვავილებით ხელში ხიდზე
გოგო ვნახე ფერშემკრთალი:
ფეხშიშველა, ტანშიშველა,
უჭმელი და მთლად მიმქრალი.
მივუბრუნდი, ჩავაცქერდი,
მენაღვლა და შემეცოდა;
მან იმედის მეტყველ სახით
იის კონა მომაწოდა.
ვთქვი თუ, ამის უკეთესი
საზრუნავი რამც ვიზრუნე:
გროში მივეც, იის კონა
დავყნოსე და დავუბრუნე.
ამის შემდეგ რაღაც ლექსი
წაეკითხა ვინმე მკითხველს,
რა დღე ადგათ საშინელი
იასა და მის გამყიდველს.

II

ქალი შემხვდა უცხო ვინმე
აშოლტილი, ალვა რგული,
სამკლავით და წითელ ვარდით
მორთული და მოკაზმული.
ახოვანად მოუძღოდა
მოზეიმე ქალთა მწყობრებს
და ღირსეულ სალამს ძღვნიდა
ამ დღის მომწყობთ და
მეგობრებს.
თვალი დამკრა, დამაცქერდა,
მეუცხოვა ეს ამბავი...
უნდა გითხრათ გატეხილად,
უხერხულად ვიგრძენ თავი...

მითხრა: გიცან, გამიღიმა,
ჰხედავ, ამ დღემ რა მარგუნა?
მას ის ლექსი წაეკითხა,
აკოცა და... დამიბრუნა.

1936 წ.

ესპანელ ქალს

სიყვარული—ძალთაძალი
ყოვლისავე მძლეთამძლეა;
ვის ტრფიალი არ სცოდნია,
მას არც ბრძოლა შეუძლია.
იმის სახედ, რაც სიცოცხლის
სიხარული გიძებნია,
გუშინ ვარდი გეპყრა ხელში,
გულზეც ვარდი დაგებნია.
მაგრამ ტრფობა თუ ბრძოლაა,
ბრძოლაც იგივ ტრფიალია,
ორივე კი ცხოვრებაში
ერთად შენატრიალია.
და დღეს როცა ქვეყნის მტერმა
გაბედა და ითავხედა,
შენც ქვეყანას იცავ ბრძოლით,
როგორც ცოლი, ანუ დედა.
შენთვის ტვირთი საპატიო
ამ დროს დაუვალებია;
ვაშა, ქალო! დროზე ტრფობა,
დროზე ბრძოლაც შეგძლებია.

1936 წ.

მფრინავთა ათასეულებს

ლექსო, ვინც პირველ აღმოგთქვა,
მე იმის სახელს ვენაცვა,
სულგანაბული ყურს გიგდებ,
რომ აღარ მეძვრის ენაცა;
თუ ხანი დაგიგვიანდა,
ლამის დავკარგო თმენაცა.

გრძნეულად რადმე გსახავენ,
ქვეყნისთვის საყვირ-ბუკი ხარ
ვისაც არ უხნავ-უთესავს,
ხშირად იმასაც უმკიხარ,
ტრფიალთა მესაიდუმლევ,
თვით ტრფიალებას უმკიხარ.

ხან თუ გულს ეჩურჩულები,
ხანაც ყუმბარათ მზიდი ხარ,
წუთ-ჟამით წარმოშობილი,
გულს და გრძნობაზე ჰკიდიხარ,
ვით მოგზაური უებრო,
სწორუპოვარად მიდიხარ.

ენა ამიცერ, ამიჭერ,
თუღა მხედვიდე მდუმარედ.
გასწი, გაფრინდი, გახსოვდეს,
მთაში დასჭექავ თუ ბარად,
მოყვარეს მიესალბუნე,
მტერს თავს დაატყდი ყუმბარად.

ათასეულებს მიეძღვენ,
ათასებს მიეათასე,
ეგ შენი მარცვალ-სტრიქონი
ვაჟკაცთ ფიალად ათასე,
სიტყვა გადაეც ნათქვამი,
რა დაგაბარო, მათ ასე:

მე თუმცა წლებმა დამძალა,
გული კვლავ ფეთქავს გზნებითა,
სამშობლოს შევეწირები
თუნდაც ჭაღარა თმებითა,
შვილს და შვილიშვილს დავაფრენ
ფოლად არწივის ფრთებითა.

დაე, გაქვეყნდეს იგი ხმა
სამყაროს კიდით-კიდითა.
უამი მოგიხმობთ, ვაჟკაცნო,
დე, სახელს მოიმკიდითა,
ნეტავ მას, ვისი სახელიც
ქვეყნის დიდებით იდიდა.

სამშობლოს დაძახებაზე
თქვენ თავი რადმცა დაჰშურეთ?
ფრთები გაჰკარით კამარას,
ცის გუმბათს გაუტყლაშუნეთ,
გზა მოუმიზნეთ, დედებო,
მამებო, დაუტაშურეთ!..

1936 წ.

სამშობლოსადმი

ჩემო სამშობლო ქვეყანავ,
შენ, დედის ძუძუვ რძიანო,
მომხიბლა შენმა მშვენებამ,
მინდა კვლავ გაგეხმიანო!..

რიონის ჭალატეხილო,
ველებო ალაზნიანო,
შუქურა ელნათურებო,
დღისით და ღამით მზიანო!

ქალებო, ტურფად დაზრდილნო,
ვაჟნო, ბედნიერ გზიანნო,
ილიას სიბრძნეევ ქებულო,
დინჯო და საზომიანო!

აკაკის ქნარო ხმატკბილო,
მერცხალო, მსუბუქფრთიანო,
შუბის წვერივით ელვარევ,
ვაჟას კალამო ფხიანო!

აყვავებულა სამშობლო,
სულ რძე და თაფლი სდიანო!

1937 წ.

დიდი ილიას ხსოვნისათვის

სიონის ქუჩას ჩავყევ ოხვრით და
ძველი თაღების ქვეშ შევიარე;
იდგა ივერი, იდგა კოლხიდა
ვაოგნებული და მგლოვიარე.
განგმირულ მკერდის ვიდექი წინა,
მშობლიურ ცის ქვეშ მდუმარეს გმზერდი;
მადლიან შუბლზე შუქად გეფინა
ქართლის ცხოვრების ბრწყინვალე გვერდი.
მძიმედ დაიძრა მდუმარე ერი,
ვითა ალაზნის დინჯი დინება,
და აღბეჭდოდა გულისხმიერი
ყველას ფიქრი და გულმოდგინება.
— რა მიყავ, ძმაო, დამტოვე ცალად!—
აკაკიმ მწარედ ჩაიქვითინა.
და შეგუბებულ ნიაღვრის დარად
ხალხის თვალთაგან ცრემლმა იდინა.
და ჩვეულებრივ უტყვი დუმილით
იწვოდა ჩემიც საბრალო გული,
„კაკო ყაჩაღზე“ სიყრმითვე ზრდილი
და ზაქროს ბედით აძგერებული.
გავიდა ხანი და წელზე წელი,
მოქარგეს გული ჩვენის ქვეყნისა;
ახლა გმირობის გამომსახველი
პატიოსანი შრომა გვეღირსა.
ბაზალეთის ტბამ — მაგ ქვეყნის ცრემლმა
იწყო ღელვა და ქუხილით ძვრაი
და აღიტაცა მკლავმა ძლიერმა
ოქროს აკვანში მწოლარე ყრმაი!..
დიდო ილია, დღეს შესატყვისი
სამშობლოს ჩვენსას დაჰხარის ზეცა,
ძველმა ქვეყანამ მიიღო თვისი
და სამშობლოსთან აღსდექი შენცა.

1937 წ.

●

ლამაზ მკერდს ამკობს ორი ბორცვი, ორი ბურთულა
უცნაურ ძალთა უაღრესად უცხო ქმნილება;
პირმშო ნაყოფი მკერდს დაჰხარის ჩვილი ფუნთულა
და დედის სახეს—ბედნიერი კმაყოფილება.

განუზომელი ნეტარების არის წუთები,
დედის ალერსით, ტკბილი გრძნობით ნასათუთები...

თითქო ზურმუხტ ველს დაჰნათოდეს ბადრი მთვარეო—
სახესავსე და მხიარული ბედნიერებით;
ვით ნუკრი ირმის ნამს სუტავდეს ველზე მთრთოლვარე
ირგვლივ გარემოს აჩქარებით და ამღერებით,

ასევე მღერის დედის გული პირიმზიანი,
მკერდს რომ უფურჩქნის ჩვილი პირმშო ბაგერძიანი.

და შენც, პოეტო, იგივ დედა ხარ ბედნიერი,
იგივე გრძნობა უჩვეულო დაგეუფლება,
მაგ სტრიქონებით, სიყვარულით შენთვის რომ ჰმღერი,
თუ შენს ქვეყანას აამღერებ ეგრე უკლებლად!
თუ ლექსს ნაკადი სიყვარულის ელვართქაფება...
იმას ქვეყანაც სიყვარულით დაეწაფება...

1937 წ.

მესხი ვინმე მელექსე

რაც თვალი აგვიხელია
და ამოგვიდგამს რაც ენა,
ვეძებთ, თუ ნერგად ვინ დაგრგო,
რა ძალამ აღმოგაცენა?..

რამ ააზღვავა ეგ გული
სივრცე—უსაზღვრო ვნებულად
და სიტყვა, სიზმრის სამოსი,
ანაკვთა ქანდაკებულად?

ან რა მზე იყო იგი მზე,
შუქი რომ შემოგაფრქვია?
რომ შეგიმკია „შეფარვით“,
ნამდვილ სახელად რა ჰქვია?

ნუთუ მზე იგი ციური
მარტოდენ შენთვის ჰნათობდა
და შენი გულის ძგერასთან
შუქფრქვევით მოკამათობდა?

მადლით მოსილო, გებრძანა
სიტყვითა შენმიერითა
და საუკუნეც აგევსო
იმ ერთი დანაბგერითა!

ტრფიალის შმაგი შაირით
აჰკაზმე ურვა გულისა
და გვამცნე მცნება მაღალი
უკვდავი სიყვარულისა.

ამაღლდი პირად ქვეყნისა,
ვითა მზის თვალი დიდებით,
და აგვამაღლე ჩვენც შენთან
შენზედვე დამოკიდებით!..

შენ ვერ შეგმუსრა დროთა სვლამ
და ვერც სად მიწამ დაგფარა,
განვლილ შვიდასმა აწ რვაასს
სათუთად გადმოგაბარა.

საუკუნეთა სივრცეებს
დასცქერ და ეგვირგვინები
უხვად გამცემი, ზღვათაცა
შესდი და გაედინები!..

1937 წ.

დავით გურამიშვილს

ღამით დაღესტნის კალთებზე
კაცი ვიდოდა ეული,
კრთოდა, ვით ნუკრი ირმისა,
შიშით ფერგადალეული:
კვალდაკვალ სდევდა დრო-ჟამი
პირდაღრენილი, წყეული·

თრთოდა ხის ფოთოლივითა,
ჩიტის ფრენაზე მკრთომელი;
დღისით შამბნარში წვებოდა,
ხშირად მთა-ხვრელში მძრომელი,
მისდევდა შვიდსა ვარსკვლავსა,
ჩრდილოსკენ ვლიდა რომელი.

მოზარე ქართლის ბედისა
და მისი იერემია
იტყოდა: ქართლი, კახეთი
ანძამსხვრეული გემია!
რამდენჯერ იმის მწარ ბედზე
მწუხარედ ჩაუღვრემია!..

მით საზრდოობდის, რასაც წვდის,
ტყემალი იყო თუ ხილი;
თან ასლდა სევდის მორევად
ქვეყნის წასდენის წუხილი,-
ცრემლის ზღვა დაუშრობელი,
გულით ღრმად ამოდუღილი.

გადაიხვეწა თვით უცხო
მას ქვეყანასა უცხოსა,
ეგების ბედმა ოდესმე
შვება რამ გამოუცხოსა,
მიჰქონდა ქვეყნის ვარამი
უპურ-უღვინოს, უწყლოსა!

მას, სვეუკუღმართს, წილად ჰხვდა
იქაც სოფლისა მდურვანი:
წუხილი,
მოთქმა,
გოდება
და დაუცხრომლად ურვანი,
კვლავ ჭირი ჭირზე დაერთო —
შვიდი იყო ის, თუ რვანი!..

ტყვე, დაღესტანით ლტოლვილი,
ჩრდილოეთს გადაიხვეწა;
ვითა გალიის პყრობილი,
აქეთ ეცა თუ იქ ეცა;
თავდაღწეულმა დაღესტნით
მაგდებურგს ჰპოვა ციხეცა!..

კვლავ ინახულა მოსკოვი —
დიდი რუსეთის ქალაქი;
მას სადნეპროზე უბოძეს
თავშესაფარი ალაგი;
შიო-ზედაზნის მაგიერ
აქ ჰპოვა ძვალთასალაგი.

პოეტის სულმა ძლიერმა
ჭირშიაც ძალა მოიცა:
შავი ძაძებით აღკაზმა
ბნელეთი თავის დროისა,
განდევნა გულისტკივილი
და სევდა სამშობლოისა.

ქართლის, კახეთის ვარამი,
შფოთი და ღელვა ზვირთითა,
რაიც ქვეყანამ ვერ ჰზიდა,
დავით მარტომან იტვირთა
და ნაღვლად გადმოადუღა
ცრემლითა მარგალიტითა.

მოიფარხმალა კალამი,
იგოდა საგოდებელი,
მშობელთა გამამწარები,
შვილთათვის ცეცხლისმდებელი,
და გვამცნო ქვეყნის ვაება
სამშობლოს ამომგდებელი.

ბოძებდაქცეულ ქვეყანამ
იგი დასტოვა კარღია:
მოსწყვიტა სათვისტომოსა,
უცხოეთს გადაარხია;
გული ივსება ნაღვლითა:
ნეტავ, თუ სადა ჰმარხია?..

მეწადა, კიდევ რამ მეთქვა,
ჩემივე გულისთქმისებრი:
არ მეყო, ვერსად მოვძებნე
კვლავ სიტყვა დავითისებრი,
ვერ გამოვკვერე, არ იქნა
ლექსი ფოლადი მისებრი!..

1938 წ.

ნიკოლოზ ბარათაშვილს

ჩემი გულისთქმის საპასუხოდ და გათავნებად,
დიდო პოეტო, მიფიქრია მე შენ შესახებ;
როდის იქნება, დღე დადგება და თუნდ თავნებად
შენი საფლავის ბჭეს დავარღვევ და კარს შევაღებ!..

მაგრამ ასევე ბჭობდნენ თურმე ძენი ქართლისა,
აღგიქვეს და გულს მიგისვენეს კრძალვით, რიდებით,
და ეგ ტაგრუცი, უტვირთველი ტვირთი ნათლისა
მთაწმინდისაკენ მძიმედ ჰზიდეს ეგრე დიდებით!

ვერ გიმეტებდნენ სადიდუბოდ, ვერც თუ საგანჯოდ
ახალი ქართლის ახალშვილნი და შთამოება:
დიდი გენიით წვრთნილთა ბრძოლად და სახელმარჯვოდ
სასოწარკვეთილს აღგიდგინე კვლავ სასოება.

და, განწირული, დაგაბრუნეს შენსავ მამულად;
მშვიდობა შენდა! შენს მკვნესარ გულს, მშვიდობა შენდა!
მიმოიმგზავრე საფლავები, იქეც სუმბულად,
შემოგაღამდა მთაწმინდაზე,—აქ გაგითენდა!

აწ კვლავ მოივლი საყვარელ ქედს, მიმოიხილავ,
ფოლადაურის მზე დაგნათებს სახემცინარი,
და შენთვის უცხო ლხენით იტყვი: „ჰოი, მთაწმინდავ,
დღეს ქართლის ბედი ქვეყანაზე, ვხედავ, წინ არი!

მალე ჩამოვალ მე თბილისში, ქალაქს ვეწვევი,—
გული უთუოდ შენად ნახვად ამიხირდება;
მგლის მუხლს მოვიბამ, თუნდ არწივად გადავიქცევი
და შენთან მოსვლა, ვფიქრობ, აღარ გამიჭირდება.

ვეამბორები წმინდა საფლავთ რჩეულ შვილების
და, მესვეურნო, აწღა მაინც შეგეკითხებით:
სხვადასხვა მხარეს გაფანტული დაშთენილების
აქ კვლავ რამდენ ნეშთს მოასვენებთ აგრე დიდებით?!“.

1938 წ.

სიყვარული

ცას მზის შუქი აკაშკაშებს,
მთვარეც მასზე მოარული,
ველს ყვავილი დასთამაშებს,
ვაჟკაცის გულს—სიყვარული.

ცა ღრუბლებით შეინაბდვის,
მინელდება ვარსკვლავთ კრება;
სიყვარულის კაშკაშება
სიბნელეშიც არ ჩაქრება.

რაღაც ძალი საოცარი
უჩინჩხალებს, უმუგუზლებს
და რაი ჰქნას გულის ვარდმა,
ამდენ საფრთხეს ვით გაუძლებს?

ერთხელც არის აფეთქდება,
რომ ცვარ-ნამად დაიღვაროს,
და მოედვას ციურ მადლად
ზესკნელსა თუ ქვესამყაროს.

გაფურჩქნოს და ააყვავოს
თვით სამოთხე ქვეყანაზე
და ცხოვრების ბერკეტად ჰყოს
მშვენება და სილამაზე.

და, მაშ, გულო, სიყვარულო,
მომაგებე მადლი მცირე
და ზვარაკად ჩემს სამშობლოს,
ჩემს ქვეყანას შეეწირე!..

1938 წ.

ლელვის ხე

1939 წელს, 25 აგვისტოს მოსკოვს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გაიგზავნა ჩემი ნარგავი ლელვის ხე გორული ჯიშისა.

გორის გვრიტო, გორის კვირტო,
დედა ქართლის ტკბილო შვილო,
მოხუცთ ლსინად, გულისჩინად
გაშლილო და გამოზრდილო.

ფაფუკ-რბილო, ნაყოფტკბილო,
დღეს შენ მიჰქრი შორი გზაზე:
ეგ ტან-ღერო, ფოთოლთ ჩერო
აწ დიდ მოსკოვს შევთავაზე.

გასწი ფრენით და ღიმფენით
მიესალმე იქაურებს,
მოგივლიან, თითქო იქაც
იმერეთის ცა დაგყურებს.

არ შეგცივა, არც მოგშივა,
არც იქნები მარტოხელა;
ნურც მე, ნურც მე დამივიწყებ,
მოგაგონდე თუნდ ერთხელა.

1939 წ.

სამშობლოსადმი

ბე ჩემი გრძნობა, სული და გული,
ვითა სანთელი—მსხვერპლი რამ მცირე,
და ჩემი ოფლით ნერგი ნერგული
შენთვის გავიღე და შემოგწირე.

გიწვრთნიდი შვილებს მცირეწლოვანებს,
გამკობდი სიტყვით ხმაშეწყობილად,
ვებრძოდი შენს მტერს და შენს მოავეს,
ხოლო მოყვარე მიჩნდა ძმობილად.

იცი, ერთგული ვიყავ მე შენი,
კვლავცა გავძახი სიტყვას სალხინოს,
დე, ეგე მადლი, ქვეყნის მაშვენი
ჩემი წილხვედრი მეც მომეფინოს!

1939 წ.

გუჯარეთი

ჩამომძახეთ, ნაპრალებო,
რა არწივნი ისხდნენ მანდა?
რა ფრთა ესხათ,
ან რა მუხლი,
თქვენამდი რომ აიყვანდა?
ფრთათეთრი თუ ფრთაფარფატი
მტრედი საზრდოს უზიდავდა,
მოჩუხჩუხე თორისწყალი
ჩქაფაჩქუფით ხელ-პირს ჰბანდა?..

შემოვცქერი მაგ ციცაბოს
და მდუმარედ დიდხანს ვდგავარ:
მაქედან რომ გადმომხედონ,

ჭიანჭველას, ალბათ, ვგავარ!
ფიქრებსა და მოგონებას
შორს წარსულში გადავყავარ,
ვიხედები ჩემს გარშემო:
რა ვიყავი,
ანუ რა ვარ!..

იმ დევ-გმირი ვაჟკაცების
თქვენ აკვანი გირწევიათ,
მათი გული დაგინაღმავთ,
პიტალო კლდედ გიქცევიათ!
მათთვის ხოტბა, მათთვის ნანა
და მადლობა გიწევიათ,
რჩეულთა და ერთგულთ შორის
მათი კერა გიძევიათ.

ერის გულს და ამ ქვაბულებს
შეუნახავთ მათზე თქმული,
ნაპრალსა და ნაპრალს შუა
სათუთობით დაკრძალული,
კლდის ყვავილად გადაშლილი,
ზოგგან ხავსით დაფარული,
ფიჭვ-ნაძვნარის უბეებში
ნაზარდი და ნასულდგმული.

მაგ ამბებმა შემაყვარეს,
ნაპრალებო, თქვენი თავი,
ჩემი ქვეყნის წარსულ ჯაჭვთან
ჩაკირული, ჩანართავი;
მათ დაიპყრეს ჩემი გული,
ჩემი თვალთა სანახავი,
შევარდნების ბუდეები,
მატიანედ საკითხავი.

თუ წარსულში ქვეყნისათვის
ესოდენი იხელმარჯვეთ,-
შეგვინახეთ, გვიანდერძეთ
ხაჯიხვე და სადურაჯე,

ვალი მმართებს სამაგივროდ
მეც მცირედ რამ გავისარჯე:
ვით გუშაგი სამშობლოის,
მაგ თხემებზე მადარაჯეთ!.

ჩემის ქვეყნის მტერს და ორგულს
დავმართებდე ცხროს და ბაბანს,
გავკაფავდე, გადვივლიდე
უვალსა და კვალთა კაპანს;
ბებერ ძარღვში იფეთქებდეს,
გმირთა სისხლი იქმდეს ჩქაფანს
და მით მივწვდე ოდნავ მაინც
იმ გმირების ფეხთა ნაბანს!

ჩამომძახეთ, ჩამომძახეთ,
რა არწივნი ისხდნენ მანდა?
რა ფრთა ესხათ, ან რა მუხლი,
თქვენამდი რომ აიყვანდა?
მტრედი საზრდოს უზიდავდა,
ორისწყალი ხელ-პირს ჰბანდა...
მათი სახე მოხუც გულში
უკვდავებად დასავანდა.

1940 წ.

●

ბარათაშვილმა გიმღერა
არაგვო არაგვიანო...
მისივე სიტყვით, მტკვრის ჩქერას
წყალთა დუდუნი ჰქვიანო,
რა დააშავა რიონმა?
იქაც ხომ წყალნი სდიანო?..
იგიც ხომ მთების შვილია,
მტკვრის მოძმე, თანატოლია,
ველებს ქამრად რომ მორტყმია,
თითქო რამ ვერცხლის ზოლია?
ალბათ, იგი, რომ ჩვენს რიონს
ჯერ ნიკო არა ჰყოლია

1940 წ.

ს ი მ ღ ე რ ა

გადმოდი და დამილოცე!
თან ეგ ყელიც მომიღერე!
გაჰხსენ გული დახურული,
მიმღერე და ამამღერე!
დე, ოსტატმა გაჰკრას მაქოს,
ფეიქარი ქსოვილს ქსოვდეს!
როგორ გაჰქრეს ყმაწვილობა,
სიბერეშიც არ გვახსოვდეს?!
წელნი ჰქრიან, დრონი რბიან,
უკან აღარ დაბრუნდება!
თუ გული არ გაუშალე,
ცეცხლი როდი აინთება·
გაჰხსენ გული! გადაშალე,
მომაშუქე მკერდით სითბო:

დაგეწაფო მალე მალე
დაგატკბო და მეც შევიტკბო.
დასცალე და დამილოცე!
დასცალე და შეგერგება!
ეჰ, ვინ იცის, ამ წუთებში
სად რამდენი ვარდი ჭკნება'
მაშ, გადმოდი, დამილოცე,
თან ეგ ყელიც მომიღერე!
გაჰხსენ გული ზღვად ქცეული,
მიმღერე და ამამღერე!..

1940 წ.

ხვამლი

შევარდნის ფრთები შენს ციცაბოს ვერა სწვდებიან,
ვერც მთის არწივი გაგისწორებს ოდესმე თვალებს!
ღამით ვარსკვლავნი, დღით მზის სხივნი გეტყორცნებიან
და შორით-შორად გადმოჰყურებ კოლხეთის ჭალებს.

სამყაროს ბელადს მომაგონებ სადარაჯოზე,
ლომებრ შეგრაგნილს, მრისხანეს და ხან შუბლმღიმარეს.
ოქროსფრად ბზინავ და ანათებ, სად ხარ, იმ არეს,
ემეტოქები საქართველოს ცა—ფირუზ—ლალებს.

ხასხასა ლოყებს გიფერადებს ოქრომზის შუქი,
ხან ნისლმობურვით წარბებს იკრავ ქარიშხალივით...
მე კი, ჭაღარა, თითქო ვიყო ვინმე ჭაბუკი,
ოცნებით ვფრინავ შენს კალთებზე კლდის მერცხალივით!

მაგ ნაპრალებში როს ოცნებით დავეხეტები
ჩემს წინ ქანდაკად ელვარებენ ღვენთის სვეტები
და მეც ვენთები ალმოდებულ ნაკვერცხალივით!

ვინ იცის, მთაო, რა საუნჯე შემოგინახავს!
მკერდი ძლიერი კლდის მუხლებზე დაგიბჯენია,

შენი სიმყარე ძვრებს და ტეხილს ვერ შეულახავს,
ეგ ტანიც, თითქო, ცის და ქვეყნის ყავარჯენია!

ვეშაპებივით რომ გვიცქერენ ეს ქვაბულები,
საუკუნეთა ქარტეხილით ნასულდგმულები, —
ეს საქართველოს ურყევი და მტკიცე ბჭენია!

შენ ჩვენს ქვეყანას საგანძურთა მიაჩნდი ფარად,
განსაცდელის ჟამს როს დარეკდა ქვეყნის ზარები!
იყავი და ხარ, კვლავ იქნები უდრეკი მარად,
ზესთა მაღალი, თითქო რაღაც მიუკარები.

შენ სალარო ხარ, საქართველოს მხრებით ზიდული,
ახლა კი დროა კიბედ შევქმნათ შენზე ხიდული,
შევაღოთ შენი საიდუმლოდ ხშული კარები!.

ხელმანდილებით გადმოვდგებით შენს ნაპრალებზე,
ეგ ფრიალონი ალისფერად აყვავდებიან,
ახალ ლეგენდებს გადმოვკიდებთ მაგ მწვერვალებზე,
წავა წარსული თავის ჭინკა-ალქაჯებიან!

შენ კვლავ დადგები ახალ ქვეყნის სადარაჯოზე!
შენს ნაპრალებზე ჩვენ ფოლადს და წერაქვს ავლესავთ,
ჩვენ ფარდას ავხდით საიდუმლოს, ურდულს დავლეწავთ
და ეს ქვაბები ჩვენთან ერთად ამღერდებიან!

1940 წ.

აკაკი

რაც თვალი ამიხელია,
სიცოცხლეს გავეცნაურე,
სიტყვას ტკბილსა და ჩამოქნილს
შევეტკბე, შევეხმაურე,
აკაკის ჩანგის ძებნაში
მთას და ბარს გავეხმაურე.

მივეხმატკბილე სამშობლოს
გორმაღალ-ვაკიანათა,
ქართლ-ოდიშ-კახეთ-აჭარას
შაქარ-ტკბილ ბაგიანათა,
ყველგან აკაკი გაისმის,
აკაკიმ შემომანათა.

წყალთ ჩხრიალს ყური მივაპყარ,
რიონს მტკვარ-არაგვიანად,
ჭოროხსაც გავესაუბრე
მჩქეფარეს ბარაქიანად,
ყვირილაც მათკენ მოიმღერს
საყვარელ აკაკიანად.

ღამით თვალს ძილი გამიკრთა,
წალკოტის შარიშურითა,
ჩიტმა დასძახა ზევსური,
გული ამევსო შურითა, —
ბულბული კვნესდა, გალობდა
კილო-ხმა აკაკურითა.

ყური მივუგდე ხალხის ხმას
და გულის ძგერას მისასა;
ვისმენდი „ციცინათელას“;
ზედაც „სიმღერას მკისასა“,
ჭალწულნი ტკბილად ჰმღეროდნენ
„სულიკოს“ აკაკისასა.

ყრმა ვიყავ, გავხდი ჭაბუკი,
მცირედ რამ მოვიმარაგე,
ზოგი რამ ჩემი წამომცდა
და ზოგიც ჩავიარაკე...
ვერა ვსწვდი, თორემ ისე კი...
ცოტა მეც წავიაკაკე.

ზოგმა კი ხვავიც აგროვა,
მოითბო, მოიბარაქა,
აქ ია ჰკრიფა, იქ ვარდი,
შეიდნო, შეიზვარაკა,
მაგრამ აკაკით არ ითქმის,
თუ ვინ სად წაიაკაკა.

მოციმციმებდნენ ვარსკვლავნი,
წინად რომ ნისლი ებურათ,
მთვარეც კაშკაშით დაგვნათის
ლაღად და თავისებურად,
ჩვენც კვლავ სამშობლოს ვუმღეროთ
ისევ აკაკისებურად!..

1940 წ.

აკაკი კაკლის ძირში

(ლიტერატურული ოცნება)

ერთხელ იგი კაკლის ძირში
ღიღინებდა — „თავო ჩემო“,
მწარ-ტკბილ ფიქრებს ეძლეოდა
თავის ქვეყნის გარეშემო.
ხან ქვესკნელში ჩაიძირა,
აღმაფრენაც იქვე სცადა,
სიმწარე და სიტკბოება
ორივ ერთად განიცადა.

მთასაც ასწვდა, ბარსაც ჩასწვდა,
მას ორივე ეადვილა,
და გრძნეულის მხედველ თვალით
განსჭვრიტა და განიხილა.
მოზღვავებულ ფიქრთა ღელვით
ჩვეულებრივ ჩაეცინა;
გადაეშვა სავარძელში
და ანაზდად ჩაეძინა.

ჩაეძინა, მაგრამ ისე,
რომ ყველაფერს ცხადად ხედავს
და უყურებს სულ სხვა თვალით,
თუ ვინ ვის ბედს როგორ ჰსჭედავს.
არ ეგონა, ამ სანახავს
თუ ოდესმე თვით ნახვიდა,
რასაც ჩანგზე ამღერებდა
და გულითაც იზრახვიდა.

რასაც სარკედ გვიჩვენებდა
პოეტური აღმაფრენით,
მხოლოდ კალამს „აწვალებდა“,
ვერ იტყოდა რასაც ენით.

ზღვა აღელდა, აიფაფრა,
ბარი აღსდგა, მთა აღრინდა,
და მერცხალი გაზაფხულის
ჩრდილო მხრიდან შემოფრინდა.
რა გინდ ვრცელი ყოფილიყო
ოცნება და მის კიდური,
რასაც ხედავ, ეგ ზღვა არის,
და ოცნება — სათითური!..
ხმა ისმოდა კიდით-კიდე,
არსმენილი, არნახული,
მთა და ბარი გასძახოდა:
„გაზაფხული! გაზაფხული“!..
და პოეტმაც მიმოიფრთხო
ძილი იყო, თუ ღვიძილი:
„ნესტანის და ტარიელის
დღეს დაიწყო აქ ქორწილი“!
„რაც ქვეყანას არაკულად
და ანდერძად ვუქადაგე,
აბა, მთა-ბარს გადახედეთ,
როგორ მოხვდა ბაგეს ბაგე“!
„ქაჯთა ციხე დამსხვრეული
ველარ აღსდგეს ვერასოდეს!
ვაშა, ვაშა ქვეყნის მხსნელ-გმირს!
საქართველო, გიხაროდეს!“
გაინიფრთხო და გაიღვიძა,
მოკაშკაშებს მთა და მდელო,
ნატვრის თვალად მოკიაფობს
საყვარელი საქართველო·
„დიდება და ვაშა“ ისმის
ჩვენი ქვეყნის გარეშემო:
ძლევის ხმებად გადაიქცა
ნაღვლიანი „თავო ჩემო“...

1940 წ.

სიმღერა

მიყვარს, მიყვარს შენი ყელმოღერება,
მან ჩემი გზა აჰკინძა და აჰქარგა!
დე, ნუ იმღერს, ვისაც არ ემღერება!
ვინაც დღისით მზის სინათლე დაჰკარგა!

მიყვარს, მიყვარს ე მაგ ხმების წკრიალი,
ჩემი გულის აღმძვრელ-ამფეთქებელი
მოვხუცდი და კვლავ ვარ შენი ტრფიალი,
ჩემო ლხენავ და მტრის ფარისმგებელო!

შენს ძახილზე თუნდაც ლომებს შევება!
მყინვართ მწვერვალს, მთათა თხემებს ავივლი!
მაგ ალამის მიყვარს ამომზევება —
ბროწეულის შემოსული ყვავილი.

მიყვარს... მაგრამ რა არ მიყვარს, რა ჰქვია?
ტრფიალისთვის თუ არავის მოსცლია
და იმ ცეცხლით გული არ დადაგვია,
იმას ქვეყნად წუთიც არ უცოცხლია!..

ვინაც ჩემი ცხოვრების გზა აჰქარგა,
მიყვარს, მიყვარს მისი ყელმოღერება!
ვინაც დღისით მზის სინათლე დაჰკარგა,
დე, ნუ იმღერს, რაკი არ ემღერება!..

სიყმაწვილემ ბევრი წყლული შემძინა,
მოხუცებამ გამილიმა, შემცინა!
სიყმაწვილემ ბევრგზის ფეხქვეშ გამთელა,
მოხუცებამ, ვხედავ, გამომამრთელა!

მეწალკოტემ რომ ასკილი ავარდა,
მისი ტანი აიტყორცნა, ავარდა!
გაზაფხული მობიბინებს ზურმუხტად,
შემოდგომა ჩამოწვება ქარვადა.

აღარ მიყვარს მწარ წუხილზე ფიქრები,
სიყმაწვილეს ახლა გავეჯიბრები!..

თუ რამ ძალმიძს, არ ჩავიტან საფლავში,
აქვე დავლევ, ვიდრე მთლად არ მივქრები.

ვაჟკაცებო, თუ თქვენ არ ითაკილებთ
და ბრძოლის ხმას აგრე შეახმატკბილებთ,
მეც, ჭალარა, გამოგყვებით მუხლდამუხლ
და სიმღერას კვლავაც მჭექად გავკივლებთ!

სიყმაწვილემ ბევრი წყლული შემძინა,
მოხუცებამ განმკურნა და შემცინა,
გულიც ეგრე ჩამძახოდა გრძნეული,
რომ ეს ძლევის წლები იდო ჩემს წინა.

რაკი ჩემს ბედს ეგ სიკეთე ენება,
დე, იფურჩქნოს სილამაზე, შვენება!
მრწამს და ვიცი, ბუტკო მისის კვირტისა
საფლავის კარს გულზე დამესვენება!..

1940 წ.

ქართველ მეომრებს

ბევრი ავი დღე გვინახავს
და ბევრი სისხლიც გვდენია, —
ქართლის შვილს დედა ქართვლისა
აროდეს შეურცხვენია.
ათასი ჭირი შეგვყარა,
ასკეცად მოგვილხენია!

წინაპართ შუქი გვინათებს,
იმათი მადლი გვფენია!

რამდენი ერი აღგვილა,
სახელიც აღარ ჰშთენია!
რამდენი კერა გაცივდა,
რამდენი კარიბჭენია!
ქართლი რამდენჯერ მოგვტაცეს,
ქართლი კი მაინც ჩვენია!

კვლავ საქართველო იქვეა,
სადაც თამარი ჰსვენია;
სადაც დიდ აღმაშენებელს
მახვილი დაუბჯენია,
სად ნათელსვეტად ერს უძღვის
დიდი ბელადის გენია!..

აღსდეგინ, ძენო ქართვლისა,
იპყართ წვერ მახვილ რკინისა,
ქვეყნის მტრის სისხლიც შეგისვამთ,
„უტკბეს კახეთის ღვინისა!“
ბერი მინდია გიძღოდეთ,
უდრეკი სალი ტინისა!

წინ ფანდურს მიაჟღერებდეთ,
„ვითომ მეგონნი ლხინისა“

გული გირეკდეთ ჭაბუკის,
ულვაშ-კოკობად შლილისა;
მაყრიონის ხმად გწვდებოდეთ
საყვირის ცემა დილისა!
შარავანდედი გამკობდეთ
ქვეყნის ერთგული შვილისა!..

1942 წ.

მოხუცი და ახალგაზრდა

აკაკისებურად

აწმყომ ნამყო თუ იმოწმა,
შეესიტყვა და გააზრდა,
საქართველო მოხუცია
და მუდამაც ახალგაზრდა!

ძველთა-ძველი მოგზაური
ქარიბდას და სცილას გასცდა,
გემთა მსხვრევას გადაურჩა
ეს მოხუცი ახალგაზრდა.

თვით პატარა, „ერთი მუჭა"
სიგრძე-განით ხმელეთს გასწვდა,
ისახელა, ასახელა
მოხუცი და ახალგაზრდა.

მხოლოდ ერთხელ აერია
სავალი და სწორ გზას ასცდა,
მაგრამ მოხუცს რაც დააკლდა,
მას ასწორებს ახალგაზრდა.

დიდი არის ქვეყნის ვალი,
მტერ-მოყვარე ბევრი გვყავს და
დღეს მათ პასუხს ერთხმად აძლევს
მოხუცი და ახალგაზრდა.

შვილი შვილად მაშინ ვარგა,
თუ მას მამაც შეუთავსდა
და ქვეყნის ბედს ერთად სჭედენ
მოხუცი თუ ახალგაზრდა.

ქვეყნის ძალა ერთობაა
გულისთქმისა, ფიქრთ და აზრთა:
დე, ამ გრძნობით გაიმსჭვალონ
მოხუცი და ახალგაზრდა!

საქართველო ბებერია,
საქართველო, ხედავთ, აღსდგა!
დე, გაერთდნენ სამშობლოსთვის
მოხუცი და ახალგაზრდა!..

1942 წ.

წერილი ბრძოლის ველიდან

ვდგავარ ფიქრებით გულდასერილი,
შორიდან შვილის ამბავს ველი და —
აი, მივიღე კიდეც წერილი
გამოგზავნილი ბრძოლის ველიდან.
საველე ფოსტა... ყუთი... რაზმი და
ზედ წელთაღრიცხვა — ორმოცდაორი...
ამ ბარათს ასე ვინ მოჰკაზმავდა? —
ეს ჩემი ლეოს ხელია სწორი!
მე ხომ არ მიყვარს ენაჭარტლობა
და არც სიტყვები ზედმეტი, ფუყე!..
წერილის მომტანს ვუთხარ მადლობა
და ერთი ჭიქაც გადავახუხე.
მარტია, მაგრამ კვლავ ცივა თითქო,
კვლავ ფანტელები მოცვივა თოვლის!
მაგრამ გულში კი აჩქეფდა სითბო
და სიხარული პირველად ყოვლის.
ბარათი გავხსენ მთრთოლვარე ხელით
და სიტყვა სიტყვას მიუნაკადე;

„ჩემო მამილო, ვწერ ბრძოლის ველით
და, ჰა, ვასრულებ, რაც დავიქადე.
ძლიერ კარგად ვარ ჯანით და სულით,
არ დავცემულვარ, არც დავეცემი!
ვამაყობ ხვედრით, იმედით სრულით,
რომ იდღეგრძელებს ქვეყანა ჩემი!
აკადემიას ვიგონებ ხშირად,
სევეროვს კვლავაც ვემოწაფები:
მასთან მაერთებს მამაშვილურად
სახუროთმოძღვრო სულის ძაფები...
თქვენ ნუ იდარდებთ, როგორ და სად ვარ?—
ვდგავარ სამშობლოს სადარაჯოზე,
გულსრულად გითვლით: „მზად ვარ და მზად ვარ“!
და გაგიმარჯოს გაგიმარჯოზე!
ჩემო ჭაღარავ მამავ და დედავ,
გეამბორებით, როგორც ღვთაებას!
მე ჩემი ქვეყნის ტკბილ ბედში ვხედავ
სიცოცხლის სიტკბოს და უკვდავებას
კარგადა მყავდეთ! ჩამოჰკრავს ჟამი,
მეც მშობელ კერას დავუბრუნდები
და მაშინ ნახეთ, დედიკო, მამი,
როგორ ბოხი ხმით ავგუგუნდები!“..
ვკითხულობ წერილს, მაფრინდებიან,
გულში მეკვრიან ნუგეშმცემლები;
ოჯახის წევრნიც აჩქამდებიან
და ყველასა გვდის შვების ცრემლები...

1942 წ.

●

ნაძვებო, იცით რა გითხრათ:
ქვეყანას შევბერებივარ,
თქვენს ბალღებს ვესათუთები,
შვილებს არ მოვფერებივარ!
იზარდეთ ეგრე ჯანსაღად!..
ჭოჩორ ლამაზა მზიანი,
ნუმცა მენახოს ოდესმე
თქვენი ავი და ზიანი!..

1942 წ. წაღვერი

წითელი არმიის XXV წლისთავზე

ბულბული ვიყო მსტვინავი,
ტკბილი და ამოხმიანი,
თუნდაც მერცხალი ჭიკჭიკა,
გავკრა კამარა ფრთიანი!
გზადაგზა ამიღაუღაუდნენ
ვარდნი, ყაყაჩო, იანი,
ვერ გავბედავდი მოსვლასა
ასეთი მცირეძღვნიანი.

ყვავილი ვიყო, ნარგიზი,
იქვენს ფეხთ-ქვეშ დაეიფრქვეოდი
ან ვაზი ვიყო გრეხილი,
მაგ ყელზე მოგეხვეოდი!
ლამაზი ვიყო მაინცა—
კოკობ ულვაშში გმთხვეოდი!
ილია ვიყო, აკაკი,
ერის ხმად დავირხეოდი...

მე არც ისა ვარ, არც ისა,
ერთი მოხუცი ბერი ვარ!
რაც უნდა ვიყო ჩემთავად,
ალბათ მის შესაფერი ვარ!

მშვენიერების ტრფიალი
და ვაჟკაცობის მმღერი ვარ,
მიტომ მკვდრებს გამოკლებული
ჯერ კვლავ ცოცხლებში ვწერივარ.

კიდევა მკითხავთ, ვინა ვარ?
ერთი მოლექსე მწერი ვარ! —
არცა ვარ წალკოტს ნაზარდი,
უბრალო პანტის ჩირი ვარ.
ვაჟკაცად აღარ ვარგივარ,
ძალს და ღონეზე ძვირი ვარ,
მაგრამ კვლავ ავხმაურდები,

როცა ქვეყანას ვჭირივარ.
ესღა მაღონებს, ვერ მოველ
მე ძღვნითა საკადრისითა:
ვინ თქვენ და ასე შეხვედრა
რითმებით სიტყვა მქისითა?
ეს კია: მომაქვს მადლობა
განაშუქარი მზისითა;
მოველ მდიდარი გულითა
და ცარიელი ქისითა.

ყვავილი ვიყო ფურჩქვნილი,
თქვენს ხელში ავკოკრდებოდი;
ნაღმი რომ ვიყო მფეთქავი;
მაგ ხელით ავფეთქდებოდი;
მაშინ მეც თქვენთან, გმირებო,
მეც თქვენთან გავქვეყნდებოდი!..

1943 წ.

●

აბჯრად სამკერდე მოვისხი
ვარსკვლავციმციმა ღილისა,
გულში ნათელი ჩამიდგა
ამომავალი დილისა.
ორბის კალამი ავიღე
და ტოტი ზეთისხილისა,
მთებს და მდელოებს მივუძღვენ
ხმა ტკბილის მოძახილისა.

მივესალამე ქვეყნის გულს—
ჩემი სამშობლოს კერასა;
ჰაუ და აქშა შევძახე
ონავარს, ქორს და ძერასა.
მივენდე ქვეყნის სიკეთეს—
მომავალ ბედისწერასა,
ვთქვი თუ: ბოროტი რას მიზამს?
ვერას დამაკლებს, ვერასა!..

ოცეულები ჩავთვალე:
ერთი, მეორე, მესამე;
ბოლოსაც იმას ვაკეთებ,
რაც თავში დამეწესა მე,
მხოლოდ ერთ სახელს ვიფიცავ,
მხოლოდ იმ ერთსღა ვვესავ მე:
შენი ვარ, გულის ნათელო,
მამულო, შენი კვნესა მე!

1943 წ.

უცნობ პოეტს, რომელმაც ფრონტიდან წერილი გამომიგზავნა

ყრმავ პოეტო, ეგ ბარათი
მაგ ჭარბ გრძნობებს ვით აუვა?
მოსჩქეფს გრძნობის მძლე ნაკადი
სტრიქონსა და სტრიქონს შუა.
სიყვარული მშობელ ქვეყნის
მზის სხივებით გიქსოვია,
ხვამლის გულ-მკერდს ზედვე ემყნის,
მისი ძუძუ გიწოვია.
რიონის ფშანს რომ უგდებ ყურს,
გადმოხვეწილს ნაკადულად,
ის გაგიწევს კვლავ სამსახურს,
ვისი ტრფობაც გიდევს გულად.
შენ სამშობლოს ხმლით ჰმსახურებ,
ორბის კალმით—პოეზიას
და გრძნეულად შორს გაჰყურებ
ქვეყნის ქუდბედს ნათელმზიანს.
შენ ვერ მიცნობ, ვერც მე გიცნობ,
არ შევყრივართ ერთმანეთსა,
გულისთქმას კი შენსას მეც ვგრძნობ
ისე, როგორც ჩემსას შენცა.

პოეზიის ტკბილი ბგერა
გულს ესმის და სულს ათრთოლებს;
ჭაბუკს თუ ბერს ეგ სიმღერა
გულს ორივეს აუჩქროლებს.
იწერები: მაქვსო თანვე
მშობლიური ლუკმა მიწის...
გიპასუხებ: თავიდანვე
ქართველობამ ეგრე იცის!
იქნებ წუთმა მოითხოვოს,
ობლად დარჩე სადმე ველში
და ვერც ვინმემ მოგიპოვოს
იმ უეცარ განსაცდელში!
მაშინ მიწა მშობლიური,
თან რომ გიდევს უბეშია,
ვით ცის მადლი ბიბლიური,
იმედი და ნუგეშია!
თითქო დედის ძუძუ ტკბილი
კვლავ დაგჩქეფდეს შადრევანად,
და ქართული მოძახილი
გაჰკიოდეს ახოვანად.
გადაგფერავს გულის ნაღველს,
ჩაგაშუქებს სულში ტკბილად
ალტაცებით შენს გმირ სახელს
შორს გადასცემს შვილთა შვილად...
მანამდის კი, დაჰკრავს ჟამი,
ახლოვდება თანდათანა:
ვარდფურცლობა, ცის ცვარ-ნამი,
მაისობის იავნანა...
გამარჯვებით, ვაშას ხმებით
სიმს ჩამოჰკრავს ჩანგის წკირა
და ხელმანდილს შეთანხმებით
ჩამოგიქნევს შენი ცირა.
შეეყრები თვალგიშერას,
იზეიმებ სიხარულსა,
მოგილოცავ ბედისწერას,
შემოგძახებ მეც მაყრულსა!
ქვეყნისათვის თავდადება

მოგეშარავანდედება;
ეს იქნება ვაჟკაცისთვის
ხელმეორედ დაბადება!..

1944 წ.

მადლობა

აღარ ვიცი, რა მოგიძღვნათ, რა გული,
რა კონები აკინძული იისა.
მე დამირგავს მხოლოდ ეგ სიყვრული
საწალკოტე ვარდად პოეზიისა.
მას ვუვლიდი, ვევლებოდი და ვზრდიდი,
მისი ძირი ცრემლით მინამებია,
გულს კვარცხლბეკად, გრძნობას ხიდად ვაწვდიდი
და ჩემი დღე ეგრე მიტარებია.
მოვხუცდი და კვლავ ვარ მისი მსახური,
მამულის და მშობლიური ქვეყნისა,
მას უმღერდა მუდამ ჩემი ჩანგური,
ჩემს სულს და გულს მხოლოდ ის შეეთვისა.
მე სამშობლოს მომღერალი ვიყავი,
მისთვის ვკინძე ეს კონები იისა,
მიიღეთ ეს მცირე მოსაკითხავი
საწალკოტე ვარდად პოეზიისა.

1945 წ.

ეკატერინე ჭავჭავაძეს

ეგ მრჩობლედი სილამაზე—
ცის მადლად და მზედ აღმოხდა
და მის შუქი თვალისმჭრელი
პოეტის გულს ისრად მოხვდა.
არ უწყოდი, ეგ ისარი
იქნებოდა მისთვის მწვავე,
არც ის, თუ მაგ ცისკრის თვალით
ვინ ვისაგან განასხვავე!
მაგრამ პოეტს, ველად გაჭრილს,
ტრფობის ნაშთი დარჩა ობლად!
იქნებ იგი თუღა უჩნდა
უცხო ცისქვეშ მანათობლად!
არამც-არა! იგი ნაშთიც
ღელვას მისცა მან ზღვის ქაფად,
რომ მით ვარსკვლავთ თანამავალთ
გზა უვალი გაეკაფათ.
და მის შემდეგ სულის სწორი
პოეტს ქვეყნად არ ჰყოლია;
უიმედო სიყვარული
მას ქუდბედად დაჰყოლია!
იქნებ ამგვარ სიყვარულში
იდუმალად ჩაიკრძალა
ოხვრითა და გულის კვნესით
შემოქმედის დიდი ძალა?!
თუ ეგრეა, დე, მის ტანჯვა
გაუქრობელ ცეცხლად ენთოს,
ოღონდ მისებრ ტრფობის მადლი
კიდევ ვისმე დაეღვენთოს!..

1945 წ.

მთებო, ჰე, მთებო!

მთებო, ჰე, მთებო, ქედებო,
კლდეებო საჯიხვეებო,
ნაპრალით გადმოხეთქილო
სიცოცხლით სავსე ხევებო!
კვლავ იქვე დგახართ ამაყად,
სადაც მზის თვალნი ღვივიან,
სად „წყალნი დაქანებულნი
ალმასებრ უფსკრულს სცვივიან“;
სადაც „თერგი რბის, ღრიალებს,
კლდეები ბანსა ჰხვივიან“,
სად შევარდნები ბუდობენ,
სადაც არწივნი ჰყივიან,
სად კვლავინდურად, ჩვეულად,
მტერთა „ივაგლახ-ივიან“...

ეგ შეევრცხლილი თხემები
მზის სხივებს დაუჭერია
მასზე სიმები გაუბამს,
მთის ხმები დაუმღერია...
მაგ ორწოხებში რამდენგზის
ქარ-გრიგალს დაუბერია
მთის შვილს ნალესი ფარ-ხმალი
მტრის სისხლში დაუფერია!
კვლავ მოგიწოდათ ქვეყანამ,
ახლა კვლავ თქვენი ჯერია!
მაგ კლდეკარების თაღებზე
ეწერა, კვლავცა სწერია:
„იგივ მხნე, იგივ გულადი,
იგივ მებრძოლი ერია“!..
დგახართ, ვით საუკუნენი,
ვერვისგან დანათვალია,
მუდამაც ახალგაზრდები,
მუდამაც დაუმზრალია!
როცა იალბუზს მზე დაჰკრავს,

სვამლზე იფეთქებს ფალია!
მყინვარი თქვენი ვაჟია,
თეთნულდი თქვენივ ქალია,
მეფარსმალეთა ქალ-ღმერთი
თქვენივე პატარძალია!
ხან რომ ქუსილი გაისმის,
ამირან ძალთა-ძალია!
ეგ ჩაზნექილი კალთები
გორგასლის ნატერფალია.
მაღლით შუქურა რომ დაგცქერთ
თამარ დედოფლის თვალია!
მათი მადლი და ჯავარი
მტრის თვალმა ჯერ ვერ დალია.

აწ ვინა გკადრათ ხელყოფა?
გაკადნიერდა რომელი,
რომ ისმის მთათა ქუსილი,
ძალ-ღონე განუზომელი?
ბრძოლა გვაქვს, ბრძოლა მედგარი,
შეტევა დაუნდობელი...
კლდეკარიც წაგშველებიათ —
თქვენი მამა და მშობელი!
თერგი მთლად რისხვად ქცეულა
სიცოცხლე დაუცხრომელი,
ზეციდან ცეცხლი იფრქვევა
ორგულთა დამამხობელი, —
კლდეს ელეწება მტრის ძალა,
თავისუფლების მგმობელი!..

1945 წ.

სიბერეშიც!

შენს წალკოტში დავიბადე
რა ვიცელქე, რა ვიანცე...
მოვხუცდი და შენის ტრფობით
არ იქნა, არ დავიქანცე.
ყვავილთ ფშვენა, ბულბულთ ენა,
ვით მსხვერპლი და წვლილი მცირე
მარცვალ-მარცვალ აკრებილი
შევკინძე და შემოგწირე...
სიხარული, სიყვარული,
ვით მადლი და ნიჭი ცისა,
შენგან მქონდა ნაბოძები
ჯილდოდ ჩემის სიანცისა.
შენ ხარ ჩემი ტრფობის მადლი
შეგყურებ და კვლავ მსურს ცქერა:
სიბერესაც კი სჩვევია
ყმაწვილური გულის ძგერა!
შენ ხარ ჩემი უკვდავება,
შთაგონების წმინდა წყარო,
მე შენში მყავს სახესხმულად
ზესკნელი და ქვესამყარო.
ასე ვფიქრობ: შენი მადლი
და სიკეთე ვის მოხვდება,
მას სიბერე რას დააკლებს,
იცოცხლებს და არ მოჰკვდება!
და მეც, ალბათ, შვენიერო,
შენი მადლი და შვენება,
მომენიჭა, ვით ცის ჯილდო,
სიცოცხლე და უკვდავება!..
მჯერა, გულს თუ უგულობას
ღრო და ჟამი გადაარჩევს,
მე რა მომკლავს, მე, შენს მონას,
შენს ძუძუს და ტრფობას ნაჩვევს?!

ცხოვრებაში რა არ შემხვდა,
რა ვიცელქე, რა ვიანცე...
შენის ჭვრეტით, სიბერეშიც
ჰხედავ, რომ არ დავიქანცე!

1945 წ.

მოხუცის ნუგეში

ამ წუთისოფელს ორი კარი აქვს:
ერთში შემოხვალ, მეორით გახვალ!
ფეიქარი ქსოვს, გააქვს, გამოაქვს,
რაც გუშინ იყავ, დღეს აღარა ხარ!..
წუთი წუთს მისდევს, დღე დღეს მიჰყვება,
სრულდება წესი გამოკვეთილი,
ბოლოს სიცოცხლე გაირიყება
და სამარეში ისმის წერტილი.

თუნდ ნეტარების კარი გაიღოს,
სულს რომ სწყურია და კვლავ გულს ჰშია,
ვინც რა უნდა სთქვას, რაც უნდა იყოს,
სიცოცხლე მხოლოდ სიყვარულშია!..

და მოხუცებას იმით ვაფასებ,
რომ კვლავაც მიყვარს, რაც მყვარებია,
წარსულს და აწმყოს ერთად ვათავსებ,
რაც სიყვარულით მიტარებია.

მე იგი მადლი არა თუ ძალით,
არც თუ ქონებით შემიძენია:
ის გულში იშვა და ნაშუქალი
ისევ და ისევ გულს მოჰფენია.

მაგრამ რა მადლად ჩასათვალია,
ის რაც ქვეყნისთვის დარჩა უცები?

საქართველოში სხვაც მრავალია
ეგრე ჩემსავით მონახუცები!..

იმასა ვშიშობ და ის მაწუხებს,
ვაი თუ სოფლად ისე ვიარე,
რომ ჩემი გულის მადლს და პასუხებს
ქვეყნად ვერავინ დავაზიარე!..

მაინც ნუგეშად ის-ღა მშთენია
და ამა ნუგეშს პასუხად ვისმენ,
რომ იგი შუქი, გულს რომ მფენია,
ნაპერწკლად მაინც ჰხვედრია ვისმე.

1945 წ.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

დღე გუშინდელი დაეშვა
უსახსოვროდ და ტიალად:
არარა მომცა, ამევსო
ჩემი გულისთქმის ფიალა!..
ვჭვრეტ, დღევანდელიც ჩაივლის,
ვითა ზმანება ღამისა,
ვით მზისგან აორთქლებული
გადმოპკურება ნამისა!..
ვინ იცის, ხვალე რას მეტყვის,
რა კვირტი აკუკურდება?
რა სიო დაჰკრავს დილისა,
ან რა მზე ამოცურდება!..
ყველაფერს უნდა თავის შნო,
თავის ლაზათი, იერი,
სტუმარს მოსულსა მცირე ხნით
დახვედრა გულისხმიერი!..
ვაჰ, თუ ვერ დაგხვდე ჯეროვნად,
ისე გაფრინდეს ხვალეცა!
ვნატრი, ვინც დღიურ სამკალი

დროით მომკო და გალეწა!..
მე მაინც ჩემსას არ ვიშლი
ჩემ სალეწ-მოსამკალითა:
რომ გამაწბილოს დღეის დღემ,
მაინც გავლეწავ ხვალითა!..

1945 წ.

შენდა მოვილტვი

შენდა მოვილტვი კრძალვით
და შენი ნახვა მინდა,
ხახულის თვალო — გვირგვინო,
შენ, ჩემო ყოვლად წმინდა.

ოცნების თვალით გჭვრეტ,
სხვას ვერას ვხედავ წინ და
ვისწრაფვი, ფერხთა გემთხვიო
შენ, ჩემო ყოვლად წმინდა.

სულით უძლური გვედრი,
ეგ შენი მადლი მეც:
დედა რომ ცრემლად დნებოდა,
იმ ცრემლით დავდნე მეც.

1946 წ.

გაენათო

სძლისპირებს ჰქმნიდა მამა
მთელი გულისთქმით,
დიდკარიდან ხელაპყრობით
გიგალობდა მით·
და, ბედნიერს, მადლმოსილი
უბრწყინავდა სახე,
გულით ნეტარებდა,
შენს კალთებს ქვეშ ჰკრებდა
სულის ნექტარ ყვავილს.
ცისკრის ზარის ხმაზე
იღვიძებდა გული
და შენს ზღურბლად ისწრაფოდა
აღიღინებული.
თაყვანსსცემდა კრძალვით
ხახულსა და აწყურს,
„ვედრებისას“ განგებისად
მიართმევდა სანთელს —
მას, ოჯახში ქმნილსა,
მშვიდობიანს
მიაპყრობდა აწ ყურს,
ყოვლადწმინდას, კენჭით ქმნილსა
„გიხაროდენს“ სძღვნიდა!..
დამტკბარი და მშვიდი გულით
ბრუნდებოდა შინა...

ეგღა იყო ყოველკვირა
მისი გარემოცვა...
ნეტავი მეც შემძლებოდა
ეგრე ტკბილად ლოცვა.

1946 წ.

„ალალი იყოს!“

დიდ სამამულო ომში მდინარე დუნაის ნაპირას დაიღუპა ქართველი არტილერისტი გრიგოლ ვაშაკიძე, გადმოცემული უფროსი ლეიტენანტის ინდიკო გიორგობიანის მიერ.

„ნეტა გულს რა სურს, სულს რა სწყურია,
სითკენ გაფრენა თუ გაქანება?
ნეტა ეს ლექსი სადაურია,
აგერ რომ მესმის, თუ მეზმანება?..
„შვილო გოგია!“ — მოლაღურია
თუ იადონის შეკაკანება?
ეს ლექსი აბა სადაურია,
ტკბილად რომ მესმის თუ მეზმანება?..
ჩემი ოდიში, ჩემი გურია
და იმერეთი წალკოტტანება, —
ლექსიც უთუოდ იქაურია,
მისი ცოცხალი ნათელზმანება“.
დუნაის პირად გულში ნატყვიარს
ესმის რადიო — გადანაცემი...
„მადლი შენს გამჩენს და თანაზიარს,
რომ არ მივიწყებს სამშობლო ჩემი!
ქვეყნის სიკეთე და მისი ვალი
რით გადვიხადო! აწ მე რაღა ვარ?..
მტრის ტყვიას, ჩემი, ვაჰ, დედის ბრალი..
დღეს სასიკვდილოდ დაუდაღავარ...
გახსოვთ კლდე-კარი, რომ ვიფარავდი,
იცი, არაგვო, შენც იცი, თერგო...
მტერს მუხლ-მუხლ ვსდიე ქვეყნის კარამდი —
ასი იმას ვკარ, ერთი მეც მერგო.
და უმჯობესი, რაიც მხვდა წილად,
არა თუ მტერმა, ვინ რაღა მიყოს?
სამშობლო ჩამთვლის მეც ერთგულ შვილად
ჩემი სიკვდილი ალალი იყოს!..
ჩემი გულისთქმა, ჩემი სულისდგმა
ჩემი სიცოცხლე და თაყვანება,

სადაც ეს ლექსი იშვა, იფურჩქნა,
იგია ჩემი ცისკარ-ზმანება!
მესმის ტკბილი ხმა ჩემის ქვეყნისა,
შორს სამშობლოდან დუნაის ველად.
სიკვდილის პირად კიდევ მეღირსა
ის გამეგონა უკანასკნელად...
იმის უტკბესი, უსათუთესი
გულმა რა იგრძნოს, რაი მიიღოს?
მისთვის სიცოცხლე, მისთვის სიკვდილი
ალალი იყოს! ალალი იყოს!
ამოანათა უკვე ცისკარმა,
ღამეც გავიდა
და კვლავ შეტევა განაგრძო ჯარმა,
როგორც უტევდა იგი თავიდან.
ფეხი შემოდგა აგერ დილამა,
გმირს აუსრულდა, რაც გულმა უთხრა.
ერთხელ კვლავ თვალი გაახილა მან
და უკანასკნელ ამოისუნთქა...
დუნაი დინჯად ფაფარს მიარხევს,
მიაქვს ის სუნთქვა შავი ზღვის პირით,
რომ იქ გადასცეს რიონის ტალღებს,
თუ სად აყვავდა ქაროველი გმირი.

1946 წ.

გაზეთის გამოსვლა

როცა მზე ზღვაში ჩაწვება,
ამოვა ვარსკვლავთ კრებული,
ან მთვარე ამოანათებს
გვიანი, დავახშმებული;
სიო დაიძვრის ხვამლიდან
მამლის ყივილის ხანისა,
ბუჩქის შრიალიც გაისმის
ცვარ-ნამით განაბანისა;
დღიური შრომით დამაშვრალს
ქვეყანას სძინავს ძილითა,
მხოლოდ რიონი თუღა ჩქეფს
თავისივ მოძახილითა,
მაშინაც ფხიზლობ, არ იმჩნევ
ძილგატეხილის გვემასა,
და ყურმახვილად მოისმენ
კვლავ ქვეყნის მაჯისცემასა.
მანქანაც აგრიალდება —
ჯავშანმოსილი რვალითა,
იბრძვიან კალმის მუშაკნი
შეჭოგრიტებულ თვალითა
და ქუთაისიც მზეს ხვდება
ამღერებული ხვალითა.
ასე ყოველღამ, ყოველ წელს
ეს ორ-ათნასევარია,
ჭაბუკი ასაკწლოვანი
წინაპართ მონაგარია;
მშობლიურ მადლის მთესველი
მთელი იმისი გვარია,
ჰხარობს მშობლიურ სიკეთით,
კვლავადაც გაუხარია!..

1946 წ.

აკაკი სხვიტორში

ხან ეწვევა ქველ წერეთელს,
ხან ნათელას მოდინახეს;
ხან გელაშვილს ესიტყვება,
ჩიხურაში მოკალმახეს.
ხან ფიქრებით სერ-სერ დაჰქრის,
გადაჰხედავს სივრცე ვაკეს,
მოიგონებს ჩადუნაშვილს —
გამზრდელსა და მოამაგეს.
ვრცელ აივანს მიმოივლის,
გადაწვება მოაჯირზე,
ფიქრებს იკრებს საქართველოს
ლხენასა თუ გასაჭირზე.
ამ დროს რაღაც გაუელვებს,
ვალს მოიხდის ყოველდღიურს:
სახეს ჰხატავს აწმყოისას
და მომავალს სამოთხიურს.
გავა იქვე კაკლის ძირში
და იქ რუსთველს ეწაფება:
ესღა არის მისი სულთქმა,
მისი ტკბილი მოსვენება.
იღიმის და სახეს დაკრთის
ჯავარი და სილამაზე:
რუსთველი და საქართველო
და სულ ასე, და სულ ასე...

1947 წ.

საბრალო გული

მე ეს გული ვინ მაჩუქა?
საქართველოს მთამ და ბარმა,
მისმა ციურთ ციაგობამ
და ზღაპრულმა წალკოტნარმა.
ყველამ ერთად... ყველა ერთად
აქ ჩავიდგი, მოვათავსე:
ხან ალერსით მოსათუთე,
ხან მრისხანე ღელვით სავსე.
როცა ნამი სიხარულის
თვალს ეწურვის ღაპაღუპით,
ქვეყნის სითბოს და სიყვარულს
აქ ვატარებ გულ-მკერდ-უბით,
თუ ვინ იტყვის: გიჟიაო!
აგრე იყოს, რა ვქნა ახლა?
ეგ სიგიჟე მას მოჰკითხეთ,
ვინც ეს გული თან მაახლა!
მგოსნის გული სამშობლოა,
და სამშობლო — მისი გული
და ურთიერთ სიყვარული
შიგ უჭკნობად ჩანერგული...
ამითაა, რომ მგოსანი
თვით მოხუციც კი რაინდობს:
ვინც საბრალო გულს დაჰკოდავს,
ის მამულსაც არ დაინდობს!..
მიტომ გვედრით: ბრალს და ცოდვას
ნუ დაიდებთ ნურვინ კისრად!
გაუფრთხილდით საბრალო გულს,
ნუ დაჰკოდავთ, ნუ დაისრავთ!..
და თუ მამულს დასჭირდება,
დე, ეს გულიც მას ემსხვერპლოს!
მისთვის ძგერდეს, მისთვის ივნოს
და მისთვისვე დაიფერფლოს!..

1947 წ.

გ. ქუჩიშვილის ხსოვნას

ცხარე ცრემლით დანამულმა
მწარე ყოფით დანათალხმა
შენ, ქარიშხლის მაუწყებელს,
ეგ ჩანგური გიძღვნა ხალხმა.

ქუჩამ გწვრთნა და ქუჩამ გზარდა,
მანვე დაგწვა ნაზი გული
და იმანვე აგამღერა
განთიადის მოციქული.

სხვა დრო იყო,
ძმაო, მაშინ,
სხვაგვარივე იყო მღერა,
როს კუკურში ინასკვოდა
სადღეისო ბედისწერა.

შენ არ გწამდა სხვა სიმღერა,
თვალმიბნედით მოთავაზე,
შენს მძლე ხმაში ჰქუხდა ძალა,
იქვე იყო სილამაზე.

იქნებ ვისმე პოეზია
ვარდის ტრფობა თუ ჰგონია!
პოეზიის ცეცხლით ჰკვნესდა
შენი ქუჩის სიმფონია.

შენც, პოეტი,
უკვდავი და
ბედნიერი ხარ იმითა,
რომ იმ გზით ვლე, რაც თვით ერმა
და ცხოვრებამ მიგითითა.

შენც პოეტურ სიყვარულით
აუსრულე დანაპირი,

მიტომ გლოვა არა გშვენის,
არ გკადრებ და არცა გტირი!..

შენ ხომ მოძმეთ სამსახურში
დაიწვი და დაიღვენთე!..
ერის გულში არ მოჰკვდები,
ძველ მეგობარს მენდე, მენდე!..

1947 წ.

დილა იყო მაისური

ელმავალი ტყიბულის საზზე

დილა იყო მაისური...
ერთი... ორი... დაჰკრეს ზარი,
ტყიბულისკენ დავიძარი;
ელმავალი მიმაქროლებს,
აი, რა დღეს მოვესწარი!..

აიქროლა გზა ნაკეცი,
ქალაქს ზევით მოვექეცი, —
გაასწორა მთა და ბარი!..

აგერა კლდეკარს ეკვეთა,
გაირბინა მოწამეთა...
უკვე გელათს შეუსტვინა!

ოცი წამი სულ ათ წამში
მოთოკა და გადასცურა!
ოფლიც კი არ მოიწურა!

მოჩუხჩუხებს წყალწითელა,
ზეგნებს დასცქერს ცისარტყელა...

გავიქროლეთ ღორღი-ყორე...
და ჰაერში გაწვდილ ხელით

მოჩანჩხარე ქორენაზე
თამარის ხიდს ვეამბორე.

მოწიწინობს ელმავალი —
ვეფხვია თუ შევარდენი?!
არად უჩანს არც მთახვრელი,
თუნდაც იყოს ცხრა იმდენი!

არსად წყალი არ დალია,
ფრთაგაშლილი მერცხალია!..
ვერც აღმართი ვერ აბრკოლებს,
ერთნაირად შეაყოლებს, —

წელი სტკივა, განა გული?..
ხრესილს ზევით გზა მცირე — და
გადავეშვით საწირედან.

წყალდასავალს, ახალსოფელს
დავუქროლეთ თვალდათვალა:
უკვე თავზე წამოგვადგა
ტყვიისფერი ნაქერალა...

კვლავ შეტევა.. და მერცხალა
ნახშირის ბჭეს მიებჯინა,
ერთიც კი არ დაიქშინა!..

იქ, ლენინის მაღაროსთან,
ქვანახშირის დახვდა ზვავი;
უცბად ზურგზე წამოიგდო
და რუსთავში უყო თავი!..

მოწიწინებს ფრთამერცხალა,
არ თუ შესწევს განა ძალა?
წელი სტკივა, განა გული?
ზღაპარსა ჰგავს თუ ოცნებას?

და ფრთებს ასხამს ქარს და სიოს,
რომ მისწვდეს და დაეწიოს

საუკუნის სურვილ-ნებას!
და კვლავ ზარი; და კვლავ ზარი...
ტყიბულიდან დავიძარი; —
ფრთამერცხალა მიმაქროლებს,
აი, რა დღეს მოვესწარი!..

1947 წ.

ს ა მ ა ი ს ო

დაირხა ვარდის ფურცელი
დარხევით მაისურითა,
ზეფირმაც ფრთები აისხა
სიცოცხლის შარიშურითა.
რიონმა ბრეკი მოლოკა
ტალღის ტალღებზე ხეთქებით,
ძველმა ჭადარმაც იფეთქა
ახალგაზრდულის ფეთქებით.
კვლავ შეიფოთლა ბაგრატი
სურონაწნავი ვაზითა,
ფუტკარმა ყვავილთ ნექტარი
ბაგრატის მთაზე აზიდა.
ისევ აივსო ქვეყანა
სიცოცხლით მონაწყურითა,
კვლავ შეიმოსა ქალაქი
სამოსლით მაისურითა,
ქალაქი, ჩემი ქალაქი
ბაღ-წალკოტებში ნალაგი,
იმისი ყველა უბანი,
ყველა კუთხე და ალაგი·
ცოცხლივ სიკეთის მფრქვეველი,
ძვლებისთვის მყუდრო სალაგი,
აგერ განლია მოხუცმაც
სამოცდაათი მაისი,
გული გაუთბა და ისევ
სწყურია ბევრი გაისი...

ოცნებაა თუ ზმანება
მისი სურვილი და ნება,
რომ ხან ცისაკენ გაუტევს,
ხან ზღვისპირს დაექანება.
მიმოიქროლებს ხვამლის წვერს,
გაჰკრავს და წაეტანება;
უქუთაისოდ კი მაინც
უმძიმს და დაენანება...
ქალაქო, ჩემო ქალაქო,
აკაკის ნაშუქურებო,
დილით მზის სხივით ფრქვეულო,
ღამით ცვარდანაპკურებო,
მივარდმაისე კვლავაცა,
სანამ შენ შემოგყურებო!..

1947 წ.

ვაჟო, შენც ახმიანდი

ჩემს სოფელში მხიარულად მოწუხწუხებს
სიპ-კლდოვან კალაპოტში მომწყვდეული
ლამაზი ქორენა. პატარა მდინარეა; დროდადრო
ადიდებაც ძლიერი სწვევია.

შენ ყოველდღე, თითქო, ტრფიალს, მელოდი,
მიამბობდი ჯადო ზღაპარ-იგავებს,
რიხოულში რომ მოჰგლიჯე ეგ ლოდი,
გააქანე გრუხუნით და მსხვრევითა,
ჭურისთავას გადასტყორცნე ზევიდან
და მას შემდეგ უძრავად დევს იქავე.
რა მდევს ჰქონდა ეგ ძალა და ეგ ღონე?
მე კი ჩუმი, უწყინარი მეგონე...
დღეს კვლავ მესმის, საყვირს რომ სცემ ჩქერებით,
ნაპირებს სძრავ ვულკანური ძგერებით!..
აი, ვხედავ, თამარის ხიდს გასცილდი
და „წითელ წყალს“ უკვე გადაეკონე.
შავი ზღვისკენ ედინები ჩახჩახით,
ნაზმანევით, ნასმენით თუ ნანახით...
იქ დაგხვდება მრავალგვარი ამბავი,
შენს უბანში ჯერაც დაუსტამბავი·
ამბებს აჰკრებ, დაბრუნდები შხეფურად,
ამ ბორცვ-კორდებს კვლავაც მოინახულებ .
და, ჩვეულებრ, ეგრე თავისებერად
დაუზამთრებ და კვლავ გაუზაფხულებ.
წლოვანი ხარ, მოხდილი გაქვს ხმიადი,
სხვამ დაგასწრო აწ ნუ დაიგვიანებ.
რა აკეთო, — ჩვენს დიდ ხანას მიანდე:
ჰესის ხმაზე ვინძლო შენც ახმიანდე!..

1947 წ.

ლექსის დაბადება

თუ სულმა შვება რამ იგრძნო,
გულსაც ხომ მოგეფონება!
შვებით ამივსო სიკეთემ
სული, გული და გონება.
სითბო რამ ჩადგა ძარღვებში
სიცოცხლის სიტკბორეული,
უცხო რამ მადლის მადლი ვგრძენ
მის ძალით გამოწვეული.
სიკეთემ სძლია ბოროტსა,
სიკეთემ მადლით შვებულმა,
მე განეტარებ, პოეტო,
მიბრძანა გამარჯვებულმა.
გულში ჩასახლდა სამოთხე
მის ნეტარებით სრულითა,
თითქო მეცვალა ბუნება,
ისევ ავმაღლდი სულითა.
და სხვა თვალით ვმზერ ქვეყანას
უებრო გულით ლმობილი,
განუკითხავად ყველასთვის
მოსიყვარულე ძმობილი!
რა ბედნიერი წუთია,
რა ნეტარების ჟამია!
აღგვილა ყოვლი სიავე,
მეწყერსაც გაუტანია!
დიდი რამ უნჯის პატრონი
თავსა ვგრძნობ უნეტარესად,
თუნდ კიდეც ვინმემ შემრისხოს,
ისიც კი მოჩანს ალერსად!..
— ვაჟო, რაი ჰქენ ისეთი?
რა ჩაიდინე ნეტავი,
ეგრე რომ ჰკვეხნი, სხვაფრივ კი
ჩუმი და გაუბედავი?
— სიტყვა რაიმე ვთქვი ობლად,
მართალი გულის ნადები,

იკია ჩემი სიკეთე
და ნეტარების თავდები!
განასხეულა კალამმა,
რაც მიკარნახა გრძნობამა
და ყოფაც გამინეტარა
უბრალო ლექსის შობამა.

1947 წ.

წყალტუბო

რა მხატვრის ხელმა დაგხატა,
შეგამკო, სული შთაგბერა,
რა ძალამ ამოგაქუხა,
რა ძალამ ამოგამღერა?
ხეივან-თაღებშეკრულო
მოხავერდებულ მდელოზე,
ქვეყნად რომ ედემს ეძებდნენ,
იტყოდნენ საქართველოზე.
ქართული მიწის შვილი ხარ,
მისვე წიაღში შობილი,
და სამკურნალო რამ ძალად
მისგანვე გამოწრთობილი.
ვაგ ძალასა და მაგ მადლსა
რაღა ქება და თქმა უნდა? —
სულსაც კი ჰკურნავ, გრძნეულო,
სხეულს ხომ რაღა თქმა უნდა?!
იცოცხლე დაუსრულებლად,
სანამ ცა ცაობს, ბრწყინავს მზე!
ნუმც მოგკლებია ეგ მადლი
და თბილი გულის სინაზე.

1947 წ.

ჩემო კეთილო!

თუ კი რამ მიწაღმართნია,
ავი არ ჩამიდენია,
ეგ მიტომ, ჩემო კეთილო,
რომ შენი შუქი მფენია.
თუ კი რამ დამიმღერია,
ვარდი მიმკია, ია მე,
მიტომ, კეთილო, რომ ჩემს გულს
შენგან ჰფენია სიამე.
თუ სად კვლავ გამიღიმია
და გულს სიკეთე მმცნევია,
ეგ მიტომ, ჩემო კეთილო,
რომ შენი მადლი მწვევია.
თუ ბოროტს ვებრძვი, გავურბი
და სულ სინათლეს ვთესავ მე,
მიტომ, რომ ჩემო კეთილო,
მარად შენს სახელს ვთესავ მე.
თუ სიდუხჭირემ დამძლია
გამკრა და გამაჯირითა,
აბა, როგორღა გეჩვენო
გაშავებულის პირითა!..
კვლავაც მაფრქვიე, კეთილო,
ეგ შენი შუქი ცისანი,
რომ მადლით დავაგვირგვინო
ჩემი სიცოცხლის მიზანი.

1948 წ.

ზარი განთიადისა

მოიხადა სოფელმა ვალი კაცურ-კაცური,
ახლა ის ღრმა ძილშია, შრომის ოფლში ნაწური,
არსაით ხმა, არც თუ რამ სულიერის ღარღილი,
არც კლდის ნპრალებიდან ჰუპუს გამოძახილი·

იქნებ სადმე ქვაბულში ავი სული ბუყბუყებს
და ერთგული ნაგაზი იმ ბოროტ სულს თუ უყეფს...
ჯერ ადრეა, — მეორედ მამალს არ უყივლია,
ქალწული და სასწორი კვლავ კარგახანს ივლიან,

ანთიმოზი ცის ტატნობს მალ-მალ შეათვალთვალებს,
ცის სასწორზე ამოწმებს, რასაც გული ავალებს,
ანგარიშობს წამს წამზე, ჟამად არიცხვიურებს,
საჟამედ თვლის მთვარის ბაკს და ისრებად—ციურებს.

კვლავ ჩხის სანთლით ლოცვაში ითვლის, ითვლის სტრიქონებს
იგი ახსოვს დღე და ღამ, მის მეტს არას იგონებს...
და თუ ოდნავ ჩასთვლიმა, ან თუ ღრუბლიანია,
ხმა ჩასძახებს — დასჩემდა აგერ ერთი ხანია.

ჩასძახებს და განიფრთხობს, ხმა რომ ეცნაურება,
და მყის სამრეკლოსაკენ კრძალვით გაეშურება, —
სადაც წყარო ჩუხჩუხებს აიაზმის წმინდისა,
სადაც სული ტრიალებს მეფის დავით დიდისა,
სადაც დაგუგუნდება ზართა ღაღადებანი,
სადაც აჟღერდებიან წინწილი და ებანი.

ზარს ჩამოჰკრავს ცახცახით და მთრთოლვარე გულითა
პირჯვრის წერის ზეიმით, ციურ სიყვარულითა!..
საცისკრო ზარს, იმ დიდ ზარს დიდის გაენათისას..
და ძილს იფშვნეტს სოფელი ყოველ განთიადისას·

1948 წ.

მამია გურიელი

როგორ იფურცლოს მაისმა,
როგორ იდაროს დარულად,
თუ საყვავილე ბუტკოებს
სუსხი სცემს იანვარულად.
როგორ ისტვინოს ბულბულმა,
კატის კლანჭებში პყრობილმა?
როგორ იმღეროს მგოსანმა,
მწვავედ გულს ლახვარსობილმა?
როგორ იხაროს ყვავილმა
ეკლით გარსშემობურულმა?
როგორ აჟღეროს ტყვე ჩანგი
ბუნებით ლაღმა გურულმა?.
ეძებდა, ქვეყნად უნდოდა
ეპოვა ადამიანი...
მისცა ქვეყანამ პასუხი,
მაგრამ პასუხი გვიანი...

1948 წ.

ქვანახშირი

გელათის მიდამოებში ნახშირის საბადოების გაძლიერებული ძიებაა

ვინ ფიქრობს, დასძრას ძთა უსიერი,
კვლავ დარუბანდის შეაღოს კარი,
ვინ შეაშფოთა ეს ნებიერი
და განდეგილთა ნასენაკარი?
ვინ შეარყია ეს უძრაობა
კლდეთა ქიმების და იმ ადგილთა?
ეს ვინ მოვიდა, ეს რა თაობა,
რომ ქვესკნელს ჭვრეტა გაუადვილდა?..
ეჯიბრებიან ერთი — მეორეს,
სად ვინ მიაგნოს, სად ვინ მიაგნოს,
და კლდეებიან ღორღსა და ყორეს,
სინჯვენ ნიადაგს, სვამენ „დიაგნოზს"
რომ ამოშიგნონ მარაგთ სადგური,
ქვესკნელთ წიაღში შემონახული,
მისცენ ქვეყანას ის საგანძური
და ააყვაონ, ვით გაზაფხული.
რომ გაზაფხული, — ის საარაკო
ტკბილ სანაყოფედ დაკვირტიანდეს
და შემოდგომა უხვ-საბარაქო
ქვეყანას მით არ დაუგვიანდეს,
რომ რუსთავისთვის საზრდო-საკვებით
რუხი კლდეების ფრიალოები,
ვით დიდი რთველის კალთის სიუხვით,
დაზვავდნენ, როგორც ძნის კალოები.

1948 წ.

დღეს მოუშუშდა დიდ პოეტს გული

ძღვნად დიმიტრი კოსარიკს, დავით
გურამიშვილს საფლავის აღმომჩენს.

პოეტის გრძნობა, [illegible]ტის გული,
დიდებულ სხივით გაშუქებული,
გიკარნასებდა იმავ თავიდან,
გულით გეძებნა მადლიანითა,
მისი საფლავი მივიწყებული.
დიდი სანია ჩვენ ის დავკარგეთ,
გავალეგენდეთ, გავაარაკეთ...
გულს გვქონდა დარდად, სიზმრად თუ ცხადად,
მაგრამ მოზარეს ქართლის ჭირისა
და მის დამწვარ გულს ვერარა ვარგეთ.
გვიმატიანა ესღა მხოლოდ მან,
როს გაიპარა ოსოქოლოდან,
მოსკოვისაკენ იქმდა ღირებას,
კვლავ ქარილის ბედის გამოტირებას,
წამოიწყებდა ისევ ბოლოდან.
შიო-ზედაზენს გამონატირსა,
სამარე წილხვდა დნეპრის ნაპირსა,
და მანდ, მშვენიერს უკრაინაში,
დიდი ტარასის კერა-ბინაში,
განსასვენებელ ბინას ეღირსა.
სამარით გესმა მგოსნის გოდება,
მისი ღაღადი და მოწოდება,
დღეს მოუშუშდა დიდ პოეტს წყლული
და ამიერით იმისი გული
კვლავ არაოდეს დაიკოდება.

1948 წ.

ტარას შევჩენკოს

დავით გურამიშვილის საფლავის აღმოჩენის გამო.

„საყვარელი უკრაინა, საყვარელი დნეპრი“,
მუდამ ჟღერდა იმის ჩანგზე მშობლიური სევდა;
ქვეყნის დიდი სატკივარით კვნესა იმისებრი
ჩვენი მშობელ ქართვლის გულშიც ეგრე აღმოცენდა.

დნეპრი ზვირთებს აგორებდა ცრემლად აღვარული,
უკრაინის ველ-მინდვრებსაც თან აეშვათ ზარი;
ქართვლის ველსაც მოსდებოდა კვნესა არაგვული
და ეგრევე გულჩათხრობით ქვითინებდა მტკვარი.

აღვიძებდა დიდ ქვეყანას კვნესა ტარასული,
აღვიძებდა საქართველოს ოხვრა ილიასი
და აკაკი მწარ-ტკბილ ჰანგზე ნაჟღერი და ზმული.

აწ ერთ ხმაზე მჩქეფარებენ დნეპრიცა და მტკვარიც,
ერთივე აქვთ საზეიმო სადღეგრძელო, სმური:
ერთი ჭირი, ერთი ლხინი და კავშირი ძმური!..

1949 წ.

ლ ე ქ ს ი

ლექსო, სახელი ვინ მოგცა,
გვარიც შეგიმკო გვარადა,
მარცვალ და მარცვალ აგკრიფა
მრავალფერ, მრავალგვარადა?
აავსე ტკბილი ნაყოფით
უჯრა, თარო და კარადა!
ხმატკბილად ჩასამღერები
ვისი ანი და ბანი ხარ?
ვის გულში ზიხარ იდუმალ,
ვის ცრემლებს გაუბანიხარ?
თუ გულს არ ესალბუნები,
მეწყერსაც გაუტანიხარ!..

1949 წ.

●

ლექსო, ლექსი ვინ დაგარქვა,
ან გვარი ვინ მოგიკაზმა?
ზედ ცრემლები დაგაფრქვია,
ვით ციური აიაზმა?
ვინ, ვინ ჩადნა იმ ცრემლებში
და ჩაიწვა, როგორც ბაზმა?..
თუმცა პოეტს არვინ ჰკითხავს,
რა კაცი ხარ, ანუ ვინ ხარ?
მაგრამ მაინც იმ ცრემლებად
განა ჰლირხარ, განა ჰლირხარ?
თუ ქვეყნის გულს არას არგებ,
წყალს და მეწყერს წაუღიხარ?!.

1949 წ.

ღვინოვ, მით უფრო კარგი ხარ,
რაც უფრო მომიძველდები;
მაგრამ დღეს წვეთსაც არ შევსვამ,
უშენოდ ავმეტყველდები!
როცა ქონგურა მაღლობით
ვაკე იმერეთს დავცქერი,
ვფიქრობ, ძვირფასი ხალიჩ
ზურმუხტნემსულად ნაკერი!
ან თუ ედემი ზღაპრული,
ზღაპრად რომ აიმგოსნება,
რაც შეუქმნია სრულყოფით
გარდასულ დროთა ოცნებას.
როდესაც ჩიტი დაისტვენს,
წალკოტი მეიფურცლება,
მუდამ გაზაფხულს ინატრებ,
აგრე ჰყვაოდეს უცვლელად.
მარჯვენს რომ იწრთობს ზაფხული,
ვაუკაცი ომახიანი,
ჰეი, ბიჭეო! გაისმის
შეძახილები ხმიანი.
როცა კი რითველი მოატანს,
ძველშავი ლალისფერდება,
კვლავ ახალგაზრდა გვგონია,
ტანს ისე შეაბერდება.
ივსება ჭური, მარანი
ტკბილითა ლალისფერითა,
აგუგუნდება მაყრული
და ბედნიერი ევრიდა.[1]
დავლურს დაუვლის ვაჟიკა,
მუხლი არ დაეღალება,
მხარს დაუმშვენებს ლამაზი —
ფუნთულა, ცისფერთვალება.
ამღერდებიან დაბლობნი,

1 სიმღერა იყო საქორწინო.

ამღერდებიან ზეგნები,
და კვლავ სიცოცხლეს შევხარი
მე ამ სიამის შემგნები.

1949 წ.

კიდევაც ვიტყვი სიმღერას

კიდევაც ვიტყვი სიმღერას,
კიდევაც ავხმიანდები,
სიმღერად ავქარბუქდები,
სიმღერად ავნიავდები,
შენ, ჩემო თვალის სინათლევ,
შენა ხარ ამის თავდები!

შენა ხარ ამის თავდები
ცხემშევერცხლილი მთებითა,
ასინათლებულ ჩანჩქრებით,
აშადრევნებულ ჩქეფითა,
ქორბუდიანი ხარ-ლაღით,
შევარდნის მალი ფრთებითა.

შენა ხარ ამის თავდები
აეუგუნებულ ქარხნებით,
გამარჯვებათა მწყობრ რიგში
კვლავ გამარჯვების თანხლებით,
ბრძნულად მოზომილ ნაბიჯით
ჩვენს მიზანს მივეახლებით...

შენა ხარ ამის თავდები,
სიყვარულდაუწურავი,
ქართველ ვაჟკაცთა მარჯვენა
ქმედობის ოფლში მცურავი,
ჭირიც მოგჭამოს ყველამა,
თუ-ღა ვინმე გყავს მდურავი!

შენა ხარ ამის თავდები
ერთგული,
ნაერთგულევი:
მუდმივი ფიქრი ქართველისა,
საუკუნეთგან ულევი,
კვლავ დაეკონოს დედის მკერდს
ნატბევარ-ნასასულევი!..

ხახულის სასე — ხატება
აგერ გელათში ჰსვენია.
ოპიზართ ხელოვანება
მარგალიტებად ჰფენია...
ჩემო სამშობლოვ, გახსოვდეს,
რომ თვით ხახულიც შენია!

ისე დავბერდი, დავბერდი
და გავხდი, როგორც აბედი,
რომ ვერ ველირსე, ვერ ვნახე
ჩვენი დიადი შატბერდი!
ვინ იცˉს, გულო, იმ წამში
რა ნეტარებას შთამბერდი!

დე, ნანგრევთ შორის აჩქეფდეს
მკვლევართა ოფლის მილები,
დაირწეს შოთას აკვანი,
შეიხსნას არტახ-ღილები.
ახალ შატბერდულს დასწერდნენ
ახალი ქართველის შვილები!..

თუ რაში გამოგადგებით,
მოხუციც მოვალ წვევაზე:
იმას მაინც-ღა ვიხილავ,
როგორ გადასვალთ ტევაზე!

ბაგრატიც გაიღიმილებს
სამაგიეროს ზღვევაზე!
ოქროს თავთავი დაისხას
მესხთა მარჯვენით ხნულებმა.

ვეღარ იტიოს ბარაქა
ნალიამ, ბეღელ-ხულებმა,
ვეღარც ხონთქარმა მიირთვას
და ვეღარც ბეგისწულებმა!..

თუ მიმღერია ოდესმე,
კვლავაც ვიმღერებ, კვლავაცა,
დე, ეგე ჩემი სიმღერა
ძმამაც ისმინოს, დამაცა!
ჩემო სამშობლოვ, ამას გთხოვ,
ცოტა სიცოცხლე დამაცა...

1949 წ.

ფოთოლი შემოდგომისა

ფოთოლი შემოდგომისა
უკვე დღეჩამოთვლილია;
მით მისთვის ნაშთი სიცოცხლის
უფრო და უფრო ტკბილია.
ტკბილია,
როგორც მზის შუქი,
ბინდზე მომდგარი კართანა,
ვით საუბარი ნანატრი
გულითად მეგობართანა;
ვით ხსოვნა ყრმობის წლებისა,
ამბორი ცრემლით ნამული,
ვით შრომით აყვავებული
ჩემი ლამაზი მამული.
ფოთოლსა ვგავარ ხანდაზმულს,
მეც იმასავით მივდივარ,
მაგრამ ოქტომბრის ხის ტოტზე
ჯერ ისევ მაგრად ვკიდივარ.
წამოყელავდნენ კვირტები,
თებერვლის ნათავაზები,
შემოსილ-მსხმოიარენი,

როგორც კახეთის ვაზები·
ზეგნებს გაჰხედავ, თუ ქვეყნებს,
„თებერვლის“ ჯანი ატყვია
და აღარა გრძნობს ქვეყანა
წარსულის წყლულს და ნატყვიარს.
თაველს თაველი მოუსხამს,
იმ ბედნიერს და მადლიანს,
კრემლს ესიტყვება თბილისი
კოდ-სასწორ მართალ ადლიანს.
ასეა, — და მეც შევყურებ
ამ ხომლის ჩირაღდნობასა
და ველარ ვიჭერ გულისთქმას,
უცნაურ სურვილ-გრძნობასა.
როცა ნიავმა დამქროლოს,
მომწყვიტოს, წაითავხედოს,
ერთი ორიოდ წლის შემდეგ
ქვეყნად კვლავ წამომახედოს,
ვნახო ჯანსაღი თაობა
მკერდმაგარ ივერთ შვილების
და ნახელავიც ვიხილო
ახალი შრომის გმირების!..

1949 წ.

სიმღერა

ბუჩქებში ია იშლება,
ყაყაჩო—მინდორ-ვაკესა;
ქალო, რარიგად გიხდება,
ღიმი რომ გიკრთის ბაგესა!

მთის სიოს ფრთები აუსხამს,
ოცნებაა თუ ზმანება?
ქალო, რარიგად გიხდება
გავლა თუ გაგოგმანება!

დილას მზის მოსვლა ახარებს
სალამოს — ბადრი მთვარისა;
ქალო, რარიგად გიხდება
ბაღჩაში დაკვრა ბარისა!

ცისკარს თვალები აუბამს,
გარბიხარ ჩაის მკრეფელად,
ქალო, რარიგად გიხდება,
რომ მიჰქრი, როგორც პეპელა!

ტკბილი ენა აქვს იადონს,
უცხო რამ გამოცანური;
ქალო, რარიგად გიხდება
აკვანზე იავნანური!

ცის კარს ცისკარი დარაჯობს,
ჩვენს უბანს — ძლევის ალამი;
ქალო, რარიგად გიხდება
ხელში პოეტის კალამი!

1949 წ.

ჩაის მკრეფავ ქალს

შეგნიშნე, ქალო, მაგ შუბლზე
ლამაზი შრომის ცვარები,
ავარდისფრებულ სახითა
ვარდსავე დაედარები.

ყამირი გადაგიბარავს,
საბოსტნე დაგიგოშია,
დოვლათის ხელი ტრიალებს
შენს ეზო-გარემოშია.

სკოლაში გაგიგზავნია
თმადავარცხნილი ბავშვები,
ჩაის კრეფაში პირველობ,
ჯილდოებს ეთამაშები...

მკერდსაც გიმშვენებს ლამაზი
ნიშანი შრომის გმირისა,
სახელოვანი გამრჯელის,
დიდი სამშობლოს შვილისა.

1950 წ.

გულის სათქმელი

მე მინდოდა, ჩემო კარგო, შენი სახე მეხილა,
ჩემს განთიად-გარიჟრაჟზე შენთვის ყვავილს ვრგავდი მე,
მაშინ ყველას ეგონა თუ გიჟს და სულელს ვგავდი მე!
მე მინდოდა, ჩემო კარგო, შენი სახე მეხილა,
სიცოცხლითვე მოგსწრებოდი, მეგემა და მეხილა...
ჩემს განთიად-გარიჟრაჟზე შენთვის ყვავილს ვრგავდი მე
და იმ ნარგავს დაფარული გულის წვენით ვრწყავდი მე!..
არწივის თვალს დავემონე, გული სისხლით მეხურა...

უცხო ჩიტად მომიფრინდი, ჩამჭიკჭიკე, მაამე!
შემოგძახე, მშვენიერო, კიდევ, კიდევ ხმა გამე!..
არწივის თვალს რომ ვემონე, გულზე სისხლი მეხურა!..
მაგ ხმამ ტკბილმა, იგი გული აწრთო, გამიმეხურა!..
კიდევ, კიდევ, შემოგძახე, ჩიტუნიავ, ხმა გამე!
დაკოდილი, დასერილი განმკურნე და მაამე!
გული შენი სიყვარულით დაკოდილი მეწოდა...
ფითქინობდი, ულურტულებდი... ხანაც გამაბრუებდი...
ოცნების კარს ობლად მიმდგარს შორს, შორს გამიტყუებდი...
გული შენი სიყვარულით დასერილი მეწოდა,
შენგან გიჟი, შენგან ხელი და ტყვექმნილი მეწოდა!..
ჩემს არსებას, გულის ვნებას სისხლად გავარუებდი!..
თუ შენს ტრფიალს, ოხერ-ტიალს, იმედს გაუცრუებდი!..
შენ იყავი, ჩემო კარგო, შოთას აკვანს არწევდი...
შენ იყავი, მშვენიერო, ბესიკს ძუძუს აწოვდი!..
შენ მოუდე გურამიშვილს გულში ცეცხლი გზნებული...
შენ აკაკის გული იყავ, სატრფოსათვის ვნებული...
შენ იყავი ტარიელი, ავთანდილის ძმასავით...
შენ ილიას შუბლი იყავ, განგმირული მასავით...
შენ იყავი ვაჟას ჩანგი დიდი მთების ქუხილით...
შენ ხომ ნიკოს მწირი იყავ დაუმცხრალი წუხილით!..
აწ ვიხილე, რომ მინდოდა შენი სახე მეხილა...
აწ შენს წიაღს ნათელ-მიზანს მკერდით ჩავეხუტები,
ნუ გამწირავ, როგორც წინად, კვლავ ნუ გამებუტები,
ყველგან თბილა, შენს უბეში სადაც მივიკუტები!
მწამს და მჯერა, ამიერით აღარ გამებუტები!
მათბობ, მატკბობ, სიბერის ჟამს უსურვაზით ფენილი,
თვით ცის ნამი თავს მეფრქვევა მადლად გადმოფენილი,
შენს სურნელში დაკმეულში ჩავდნებ-ჩავისუტები!.

1950 წ.

გელათის ზარი

ნაშუალამევს, ხვამლის მთის სწორად,
როცა დაიძვრის ხოლმე ცისკარი,
მსუბუქი ფრთებით შორითი შორად
დაჰქრის გელათის საამო ზარი.
კრიალა ხმები გადირბენს ქედებს,
ველს მოედება ღულუნი ტკბილი,
ცის თვალი დაჰკრავს ქართველთა ედემს,
და დაირღვევა ღამის დუმილი.

მიმოჰქრებიან ქაჯთა ხროვანი
და მეუფენი წყვდიადისანი,
როს გაისმიან დიდსაყდროვანი
ხმანი ციურნი გელათისანი.

დაუვლის სოფელს მისავანებულს,
ყველგან გაჰქრება სიზმართ ზმანება,
ახსენებს გლეხი წმინდათა კრებულს
და ხახულის ხატს ეთაყვანება.

პირჯვარს დაიწერს დედა აკვანზე,
მასაც ზარის ხმა ესასოება,
და აღინიშვნის იმის სახეზე
მადლი ციური და სათნოება.

ასე იღვიძებს მთელი სოფელი
და ხვალისათვის იწყებს მზადებას,
და შრომა გლეხის შემამკობელი
მოელის კვლავ მზის გამოცხადებას.

1950 წ.

ს ი ბ ე რ ე

თვალი დაუდგეს სიბერეს,
რა საძაგელი ყოფილა!
ჭვალი და თავის ტკივილი
ერთმანეთს შეაძმობილა!
ხან ერთი, ხანაც მეორე
მოდიან იერიშითა,
გარეთ ვერ გამიხედია
კვლავ უარესის შიშითა!
ასოცი სენი დამმართა
და ათჯერ მეტი ტკივილი,
არ შეისმინა მან ჩემი
კვნესა და გულის ჩივილი!
რად მისურვებდნენ სიცოცხლეს,
მეტყოდნენ სადღეგრძელოსა,
თუ ბოლოს ვერ გავიტანდი
თავში დაწყებულ ლელოსა?

1950 წ

გ ა ხ ს ო ვ ს ?

გახსოვს, ლექსო, რომ გკაზმავდი,
ორბისეულ კალმით გწერდი?
დღეს შენ მხოლოდ შეჭაბუკდი,
მე კი უკვე დაგიბერდი.
გახსოვს, გახსოვს, — დაგხატავდი,
გემთხვეოდი კალთა-უბეს!..
ეჰ, რამდენი შენებრ ზრდილი
დროთა სვლაში დამიღუპეს!..
გაგაფრენდი მერცხალივით
კარგაღებულ გალიიდან,
მომესმოდა შენს ტკბილ ხმაში,

რეკავენო, თითქო, ციდან!..
ნამით რწყავდი მშობელ მიწას,
მტრისგან განაიავარებს,
ზოგიც ვთვლიდა მახარობლად,
გაგიღებდა ეულის კარებს.
მახსოვს ისიც, როცა ვინმე
ან შენ, ან მე გაგვტრიზავდა
ჩვენ ვხედავდით, რომ უკეთესს,
რომც ნდომოდა, ვერ იზამდა.
და, მაშ, კიდევ, ჩემო ლექსო,
მამღერე და ამიმღერდი,
ჩვენ, სიმღერით შობილები,
სიმღერასვე შევაბერდით!..

1950 წ.

ეშოპლიურო მიწა

მიყვარს ციალი დილის მზის,
ფრქვეული ოქროს სხივებად,
ჯეჯილში ცვარის კამკამი
მარგალიტების მძივებად.

წალკოტ-ვაზნარში ტრიალი,
ბარვა, შეყელვა ვაზისა,
კვლავ წვენის დაჭაშნიკება
მისგანვე ნათავაზისა.

ფუტკრის ზუზუნი, ნავარდი,
მანანა ნექტარებული,
ალალი პურის ნატეხი
შიგ საზრდოთ ამოვლებული.

ჩემი ოქროა ეს მიწა,
მისი ყოველი მტკაველი,

და მარგალიტი — ზურმუხტად
ამწვანებული მთა-ველი.

ლაჟვარდად გადმოფრქვეული
თვით კამკამება მის ცისა!
ოქროს ზოდებში არ გავცვლი
ნამცეცს მშობლიურ მიწისა.

1950 წ.

გელათი ბაგრატის თხემიდან

თუ მიცქერია მე შენთვის,
კვლავ მეტად მინდა გიცქირო,
ქართველ ოსტატთა ნაგებო,
ძვრაგანუცდელო ქვიტკირო!
ოქროვან კენჭით კაზმულო,
გრძნეულის ხელით ხატულო,
მატიანე ხარ წარსულის,
სულო და გულო ქართულო.
სპეტაკის სიყვარულით და
გასაოცარი სურვილით
ბექას დიდებულ ოსტატებს.
ურთვიხარ ოქრო-ცურვილით.
სულსა და გულში ივერთა
შენი დიდება მარხია
და სიყვარული შენდამი
ერისვე ნაკარნახია.
დიდის დავითის ნაგებო,
დღეს გიცავთ გუგად თვალისა,
ვითა საცნაურს წარსულის,
საცნაურადვე ხვალისა.
ქართველ მარჯვენის ქმნილებავ,
დრო-ჟამს არ გაუწბილდები,
რვაას წელს გასცილებიხარ,
ათჯერ მეტს გადასცილდები.

1950 წ.

ვაზიანებში ვიდექ, ვბარავდი...
აგერ მივიღე შენი უსტარი,
ყმაწვილობისას თხზული ბარათი,
ყმაწვილობითვე ნაცულლუტარი.
რად ამიბორგე კვლავაც დღეს გული
იმ მოგონებით განა იხარით?
რად ამიბორგე კვლავაც დღეს გული
შენგან ულმერთოდ ნაფინთიხარი?
რად გაგახსენდა ის ღამე ბნელი?
აბა, ვიცოდე, — ნეტა რისათვის?
იქნება გსურდა უკანასკნელი
ხარკი მიგეძღვნა სიცოცხლისათვის?
ჩვენ ხომ პირველიც არ მიგვიძღვნია,
ერთმანეთს დავრჩით მხოლოდ ზმანებად..
მიტომ გახსოვდეს, სასუფეველში
არ ჩაგვრიცხავენ ჩვენ წმინდანებად!..

1951 წ.

ბაგრატის ტაძარი

გქმნიდა ქართველის აზრთა დინება —
და მისი მკლავი დაუღალავი,
ქართლის ცხოვრების აღორძინება
და ერის სული შეუბღალავი.

შენ, სიყვარულის ემბლემად თხზული,
ერის გულისთქმამ ლამპრად აგანთო,
შიგ ჩაგაქსოვა მან თვისი სული,
თვისი ფიქრი და ზრახვაც გაგანდო.

მაგ სიყვარულის არის გენია,
რომ ჩაგკონვია ფოთოლ-წნულებად;
ჭალარა თმებად გადაგფენია
საუკუნენი წელთდაულევად.

ეგ უკვდავება ათასწლოვანი
რაოდენ ხსოვნათ და ფიქრთ მგვრელია.
მით ეგე ნაშთი, კვლავ ახოვანი,
უფრო და უფრო საყვარელია!..

ამოქმედებდა შენს ხუროთმოძღვარს
ქართლის ცხოვრების ფიქრთა დინება,
გაჰხედე, როგორ გასცდა შენს საზღვარს
ახალი ქართლის აღორძინება!..

1951 წ.

ისტორიული ჭადარი

ქვატაფას მგელმა იზუვლა
და კიბულაში ტურამა;
ქარმა დაჰბერა ტიალმა,
ჩვეულმა ქუთათურამა.
სახლების ქალა ააძრო
სიგრძით და განიანათა,
სარკმლების ნაცვლად სინათლემ
ბანიდან ჩამოანათა.
დალეწა ჩვენი ჭადარი,
ოჰ, ღმერთო, რარიგ ბრალია!
მისთვის იცოცხლა? შეხედეთ
რა სიმწრით სული დალია!
მოვითავცემე ჭადარი,
ეზო დაგვირჩა თავლია,
თუმცა ძირი კი იმისა
ისევ და ისევ საღია.
ის ჩვენმა მიწამ გაზარდა,
ვინ იცის, თუ რა ხანია!
ის იმერეთის წარსულის
და აწმყოს მატიანეა!
რამდენი ლხინი უნახავს,
რამდენი ცრემლი უღვრია!
სკვითს, თათარს მისი გულღვიძლი
რამდენჯერ დაუმდურია!..
დანებით დაუჩიჩქნიათ
იმისი ლიპი გვერდები,
ძირი მთელი გაქვს ჭადარო,
და მიტომ როდი ბერდები.
კვლავ ახალ ყლორტებს წამოჰყრი,
მზე რომ დაგნათებს მაისად,
გნახავ, გეწვევი კიდევაც,
თუ მივაღწიე გაისად.

1951 წ.

ნიკორწმინდას ვიყავი

ნიკორწმინდას ვიყავი
არა სალოცავადა,
რომ სანთელი ამენთო
წინაპრების წინაშე:
მათი ნახელმანევი,
საოცარი თავადა,
სიყვარულით ზედ აზის
ფუძე კალთა მინაშენს.

კოკორ-ფოთოლწნულები,
ფანტაზია ულევი,
ქსულხვეულად ნაქარგი
გვირისტ-ნაწიბურები;
სარკმელ-სამოს-ღილები,
ზედვე შეგრეხილები,
უკვდავთ ღაღადებანი,
უკვდავთ შვილთაშვილები.

ღედოფალი რაჭისა,
სტავრა-ბისონკაზმული;
ათასი წლის ხნიერი,
მაინც არხანდაზმული;
ირგვლივ სუნნელკმეული,
მნათობთ შუქით ფრქვეული,
ხარისთვალას წალკოტის
ვარდყვავილებასხმული.

ვისმა სულმა მოჰქარგა
და მარჯვენის თითებმა?
სიყვარულთ-სიყვარულმა, -
გულის მარგალიტებმა?
შიგ ჩააწნა გულისთქმა
ქართველ ხელოვანისა,

ვერც მტრის ხელმა შემუსრა,
ვერც დრო-ჟამმა დანისლა...

მხოლოდ ამბობს: „ქვეყანას
ეგ სიკეთე უყავით,
ქვა-ქვას დაუკავშირეთ
სიყვარულის დულაბით.
სიყვარულით აღერეთ
თქვენი სულის ძაფები
და მაშინ კი ათას წელს
ყველა დაეწაფებით!..“

ნიკორწმინდას ვიყავი,
არა სალოცავადა;
იქ სანთელი ავანთე
სიყვარულის წინაშე.
მისი ნახელმანევი,
თუნდ რამ მონაზმანევი,
ნათელ შუქად ზედ აზის
ფუძე კალთა მინაშენს.

1951 წ.

ქართული ენა

დროთა სიღრმიდან გამომზირალი,
სიტყვა ნათელი, ნათლადმჭვირვალი;
ქმედი, ნარნარი, თავაზიანი,
ხან ორლესულად ომახიანი;
ლამაზად მშვენი და მოკაზმული;
ხან მაჯამური, ხან კიდურზმული;
მახვილი, მკვეთრი, კვლავ ლმობიერი,
ხალხის ნასიბრძნი, ხალხისმიერი;
სიღრმით მეტყველი, სახელჩართული
მოდის და მოჩქეფს ტკბილი ქართული.

არაგვის პირნი, მობიბინენი,
წყალნი შხუილით, მჩქეფრად მდინენი;
აკაკის ლექსი, ილიას წყობა,
ქართლოსიანთა მთელი თაობა
ჰმოსვენ და ჰკაზმვენ ენას მდიდარსა,
მის აღნაგობას, იმის დიდ არსსა.

ნეტავ იმ წუთის დახამხამებას —
საამო სმენით გული დაებას!
ნეტავი ვქუხდე ვაჟკაცური ხმით,
რომ შეპყრობილი მთელი გულისთქმით
ტკბილვქართულობდე მარად და მარად
მოძმეთა შორის თუნდ სახსოვარად!..

და თუ გამიწყდეს ჩანგურის სიმი,
ბაგეს შემაშრეს მომდგარი ღიმი,
დეე, მახსენონ საყვედურებით,
ქართულს კი, ნურას დაემდურებით.

1951 წ.

მოხუცის ფიქრები

თვალმა თუმც კლება დამიწყო
და მუხლმაც დაძაბუნება,
მაინც ამ დრომ და ამ ყოფამ
სულ შემიცვალა გუნება!..

ვინატრო, რაღა ვინატრო?
მცირედ ვიფიქრო, „დაიცა“
ნეტავი ვიყო ოცისა,
ან ოცდაათის მაინცა!..

ავვლო მწვერვალთა მწვერვალი,
უშბას კალთები ფრიალო,

'სიმი ვავუბა მყინვარსა
:და ჩანგად ავაწკრიალო!..

ან თუნდაც ფრთები ავისხა
მსუბუქი, ეთეროვანი,
და კიდით-კიდე დავსერო
ცა ფირუზ-ლაჟვარდოვანი.

მინდა მაღლიდან დავხედო
რიონ-მტკვრის შუქუროსნობას,
რომ მეტი ძალა მიეცეს
ამ ჩემს სიმღერა-მგოსნობას!

მაგრამ ვაი, რომ ის სხივი
მე არ მომხვდება არც ერთი:
რას დაეტყობა ზღვის სივრცეს
ცვარ-ნამად ჩამონაწვეთი?!

ეგაც არ იყოს, მე რაო?
ეს კონა ქვეყნის წილია,
მასაც ნაპერწკლად მოხვდება,
ვინც იმავ ქვეყნის შვილია!..

ჩემთვის, ვით ქვეყნის შვილისთვის,
ნაჩინჩხლიც საკმარისია!
გუზგუზით იმას დაადგეს,
ვინც უდიდესი ღირსია!..

მე ჩემს ბედს იქვე დავეძებ,
სად ქვეყნის ბედი სთესია:
ეს აზრი მუდამ ამ გრძნობით
განაჩარხ-განალესია!..

აყვავდეს ჩემი სამშობლო
საქვეყნოდ, კიდით-კიდებით!
მეც ეს დამატკბობს მოხუცსა,
მეც ეგ შემმოსავს დიდებით.

●

ჩიტის გული, ბავშვის გული
და მოხუცის — სულერთია,
მით უმეტეს, თუ მოხუცი
იმავე დროს პოეტია!..
მზე რომ წვერს ჰკრავს, ცა იცინის,
ღრუბელს მოაქვს შეღამება,
მსგავსად: მოხუცს ცოტა რამ სწყინს,
მაგრამ ცოტაც ეამება!..
ჯანაოზიც ვეღარ შველის,
წელთაღრიცხვას მოაქვს თვისი —
და საბრალოს გულს უკოდავს
კარს მომდგარი მოსამკისი!..

1935 წ., 1939 წ.

კ ა ლ ე ნ დ ა რ ი

ჩემი კალენდრის ფურცლებს ყოველ დღე
ვხევ და ვთავაზობ ქარსა და ნიავს,
მეც ხომ ბუნების მონა ვარ და ტყვე,
ჩემი ცხოვრებაც ქარ-ბორბალს მიაქვს.
თანვე მიჰყვება მას მრავალკეცად
ჩემი ნაფიქრალ-განაზრახალი,
კალენდარივით ვილევი მეცა,
ამ ქმედობაში რაა ახალი?

1951 წ.

უკანასკნელი

ველარა ვნახავ მშობლიურ მხარეს,
ქვეყანას, მზიურ ქართლოსიანთა,
ცის კაბადონზე ბაკდასხმულ მთვარეს,
ვერც გაზაფხულის დღეთა მზიანთა.
ველარ მოვისმენ ნაკადულთ ენას,
დაუსრულებელ ზღაპარ-ლეგენდებს,
ვერ შევისუნთქავ ვარდ-ზამბახთ ფშვენას,
ისე დავტოვებ წალკოტს და ედემს.
დამაღირებენ ქვესკნელის წიაღს,
სამარის ნისლით დავიბურები;
და გაჰყვებიან ქარსა და ნიავს
იმ დღის ამბების ნაწიბურები.
ახალი აქაც არაფერია:
ასე ყოფილა, ასე იქნება,
რადგან აწ უკვე ჩემი ჯერია,
ქვეყანა ხომ არ გარდაიქმნება?!
მხოლოდ ამას გთხოვთ: ჩემს გარეშემო
დარგოთ იები გასახარელი,
რომ შემოგძახო ჩემო მამულო:
იყავი და კვლავ ხარ საყვარელი!

1 ოქტომბერი, 1951 წელი,
ქუთაისი



შავი ცხვარი

(საბავშვო პოემა)

I

ერთხელ ღამით, მთვარიანში,
გამოვიდა მინდვრად მელა,
ჯიმბაზივით დადიოდა, —
ფეხაკრეფით, ნელა-ნელა:
ბომბორა კუდს აქეთ-იქით
დააქნევდა ეშმაკურად
და ხან ჰაერს ცხვირის ბზეკით
ყნოსავდა ის თვალთმაქცურად.
მიიარა, მოიარა,
გადაგორდა, გადმოგორდა,
ცაში მთვარე კაშკაშებდა,
შეხედა და გაუსწორდა.
და გულში სთქვა: ის ცბიერი,
ხედავთ, რა თვალთმაქციაო!
ნეტავ ერთი ჩამოვარდეს
და ჭყინტ ყველად აქციაო!
მივვარდები, გადავყლაპავ,
ამოვივსებ მშიერ ფერდსო?.,
გუნებაზეც მაშინ მოვალ,
სიმღერასაც ვიტყვი ერთსო!...

ამ ფიქრებზე მშიერ მელას
პირში ნერწყვი მოუვიდა,
სულერთიან აცახცახდა,
ნდომით სული წაუვიდა...
„აბა, ახლა სწორედ დროა“! —
მას ვიღაცამ ჩამოსძახა
და მელამაც ვახშმად წასვლა
საქათმეში განიზრახა.
მიცუნცულებს, თვალებს ნაბავს,
მიწას ფეხსაც არ აკარებს...
ჰა, საცაა მიადგება
ის საქათმის ნაცნობ კარებს!
გული უძგერს სიამითა,
ჩაუარა ჩუმად ბუჩქებს
ყურებსა სცქვეტს, ფრთხილად არის,
აცმაცურებს თანაც ტუჩებს.
უცბად შედგა, შეკრთა მელა, —
მას ბაკუნი შემოესმა!
გულში მწარედ გაიფიქრა, —
„სიდან იყო ნეტავ ეს ხმა?“
მთლად აირთოლდა ფოთოლივით
და განაბა წამსვე სული
და მიწის პირს გადაეკრა,
შიშისაგან გულწასული.
კვლავ მოესმა იგივე ხმა,
ერთი... ორი... ადგა მელა, —
გიცნობ, ვინცა ბრძანდებიო!-
და მაცდურად ჩაახველა.
მოიკრიბა ეშმაკობა,
მიაბიჯებს ნელა, წყნარა;
იმავე დროს ბაკუნის ხმა
მას მოესმა წარა-მარა.
ერთი, ორი! ერთი — ორი! —
კვლავ მოესმა აჩქარებით!
მაშინ მელამ ტკბილი ენით
მოახსენა დაწყნარებით:
„რა ხანია, რომ დაგეძებ,
შავო ცხვარო, შავთვალაო!

წვეროსანმა ბიძაშენმა
სიტყვა შემოგითვალაო!“
„ბიძაჩემმა? შენ იცნობ თუ?“
„ოჰ! რას ამბობ? როგორ არა!
ბიძაშენმა მოკითხვა და
შენთან კოცნა დამაბარა.“
„შენ სად ნახე? კარგადაა?“
„ფერით სავსე, ტანით მრთელი!
გუშინ ჯილდოც კი მიიღო“
მან წითელი ყელსაბმელი.
ცხვარს ეამა ეს სიტყვები,
ჩაუვარდა გულს იმედად,
სთქვა თუ, ამ მარტოობაში
ეს გამიჩნდა რაღაც ბედად! —
იხტუნეს და ითამაშეს
მალაყებით და ხან რქენით...
დაიღალნენ და ბოლოს კი
მელამ ლოკვა უწყო ენით.
კბილი გაჰკრა, გაუკაწრა,
ცოტა სისხლიც მოადინა.
— რას შვრებიო? — ჰკითხა ცხვარმა
რომ ემწარა და ეტკინა.
— ეგ... არაფერს... ბიძაშენის
ნათქვამ ანდერძს ვასრულებო,
ჩემი სული არ წაწყდება,
ცოტას ჩავიმარხულებო!
ბევრიც აღარ იბოდიშა, —
წამს გაბერა, როგორც გუდა,
მალე ოთხში ამოიღო,
გასისინდა მელაკუდა!
მისი ტყავი ტანთ ჩაიცვა —
მოხერხებაც ასე უნდა! —
და, ვით ცხვარი შინაური,
ფარეხისკენ წაბაკუნდა.

II

დილით ადრე გამოვიდა
პატრონი ცხვრის დასათვლელად.

დაითვალა, — ყველა არის,
გაუხარდა უეჭველად.
ჯალაბობას მიაძახა:
„ეს ბოროტი, ავსულაო,
წუხელი რომ გარეთ დაგვრჩა
შავი ცხვარი მოსულაო.
დაამწყვდიეთ ეგ ეზოში,
მინდვრად აღარ გაუშვათო!
თუ არ დადგეს, მსხვილი თოკით
დააბით, არ აუშვათო!
თორემ სულ დაგვეკარგება,
ტურა, მელა წაიყვანსო!
თქვენც ხომ იცით, რომ კოკა წყალს
ყოველთვის არ მოიტანსო“!
გამოვიდნენ იმავე წამს,
შემოაღეს ეზოს კარი
და ეზოში დაამწყვდიეს
ის საბრალო შავი ცხვარი.
ჯერ მან თითქო მოიწყინა,
შესახედათ აიბუზა;
მაგრამ მალე გათამამდა,
აიყოჩა, აიგრუზა...
შესამჩნევად მას ყოველდღე
ემატება სიმსხო — განი,
ლაღობს, სხვა რა ენაღვლება,
დარჩა ბურთი — მოედანი!..
თვინიერი რამ შეიქმნა,
შეუყვარდათ ბავშვებს, ქალებს,
სახლში დადის ის ყოველდღე,
კედელ-ყურეს უთვალთვალებს.
დილაობით, როცა ქათმებს
საკენკ მარცვლებს დაუყრიან,
ცხვარიც მათში დათარეშობს
და ქათმებიც არ უფრთხიან!..
ხან ერთს სუნავს, ხან მეორეს,
ხან თითქო რქენს ვარიასა,
და ამგვარად ჩუმად არჩევს
უკეთესს და გვარიანსა.

მიეჩვია იხვ-ბატებსაც,
დაკუნტრუშობს, დანავარდობს!
არაფერი ენაღვლება,
რა აწუხებს, რა იდარდოს?!
სხვაგან უფრო კარგ ალაგას
სად წავა და ანუ რადა?
ცა ქუდად არ მიაჩნია,
დედამიწა ქალამნადა!...
რაც რამ უნდა, სულ მზადა აქვს
ყველაფერი უზრუნველი:
ბატი, იხვი, ვარიები —
ქათმის ხორცი გემრიელი!
გულში ამბობს: „რა ბედში ვარ!
ან აქამდი სად მეძინა?!
განა ადრეც არ შემეძლო,
ცხვრის ტყავი რომ შემეძინა“?!
მაგრამ ერთ დღეს დიასახლისს
უცნაური ელდა ეცა:
ღობის ძირში ქათმის ბუმბლი
დაინახა კეცა — კეცა!..
გადითვალა მან ქათმები —
ნახევარი აღარ არი, —
სულ მას შემდეგ, რაც ეზოში
შემოუშვეს შავი ცხვარი!..
თავში ხელი წაიშინა,
მაგრამ კი რას გახდებოდა?
ვინ პარავდა იმას ქათმებს,
აბა, როგორ მიხვდებოდა?...
მხოლოდ ერთხელ, დილით ადრე,
ბავშვმა ცხვარი დაინახა
და იმავ წამს თავის დედას
აჩქარებით მიაძახა:
„დედა, დედა! ჩვენი ცხვარი
ქათამს ჭამდა ღობის ძირში!
ჩემი თვალით დავინახე,
ქათმის ბურტყლიც ჰქონდა პირში“!
დედას გულით გაეცინა
შვილის ამგვარ უგნურ თქმაზე,

მაგრამ მალე ელდა ეცა
შავი ცხვარის დანახვაზე! —
ივი სულ მთლად ერთიანად
ბურტყლით იყო შებუმბლული
და ტუჩებიც სისხლში ჰქონდა
შესამჩნევად გათხუპნული!
გაუკვირდათ, გაიოცეს,
თვალთ ნახული არა სჯერათ!..
ბოლოს ერთად დაედევნენ
ქალ-კაციან დასაჭერად.
დატრიალდა შავი ცხვარი,
რომ თავისთვის მას მოევლო,
დაკრა ფეხი და უეცრად
ეზოს ღობეს გადაევლო!..

III

ქუდმოგლეჯით გაქცეულმა
ტყეში ლომი დაინახა
და იმასთან თხოვნით მისვლა
დააპირა, განიზრახა.
ჯერ შორიდან, წესისამებრ,
დაიჩოქა, თაყვანი სცა,
მოწიწებით მიახლოვდა
და სალამი კრძალვით მისცა.
ლომს ეამა ეს ზრდილობა
პირმცინარედ გადმოხედა;
მერე შედგა, და დინჯად თქვა,
თითქო ახლა გაახსენდა:
„ძველებურად დღეს აღარ სჭრის
დიდი გვარიშვილობაო! —
აი, ცხვრებმაც კი ისწავლეს
შესაფერი ზრდილობაო!
რაზე მოხველ და რასა მთხოვ,
მოგვახსენე, ბაკუნაო!
ასე ადრე რამ გაგტეხა
და წელში რამ გაგღუნაო“?..
წათამამდა შავი ცხვარი,

ტკბილად, რბილად აღძრა ენა
და ლომს, მეფეს ლმობიერსა,
სათხოვარი მოახსენა:
„დიდებული და ძლიერი
ცხოველთ მეფე ბრძანდებიო,
ყველასა აქვს შენი შიში, -
მე ვარ ამის თავდებიო!
შენს სახელსაც სულ ყოველგან
ახსენებენ დიდადაო;
ყველა ცხოვრობს სიტკბოებით,
უვნებლად და მშვიდადაო.
მხოლოდ ერთს კი მოგახსენებ,
იმედია, მომისმენო,
და შენს მსჯავრსა და სამართალს
აქ საგანზე მოახდენო!-
ამ შინაურ ცხოველებში
სულ არ არის განკითხვაო;
ყველა კაცს ემორჩილება
ხარ-კამეჩი, ცხვარი, თხაო!
და შენს მაღალ მბრძანებლობას
თავის თავზე არ სცნობენო,
კაცს უდგანან ყურმოჭრილ ყმად
და სიბრიყვეს ვერ გრძნობენო!
იმ ბატონსაც თუ დასჭირდა
რომელიმე მათგანიო, —
თხა იქნება ის თუ ცხვარი,
თიკანი თუ ბატკანიო, -
მას მაშინვე წამოაქცევს,
დანას მიჰყოფს თანაც ხელსო
და შვილს დედის თვალის წინა
შეუღებავს სისხლით ყელსო!..
მაგალითზე შორს არ წავალ
და რად მინდა ან კი სხვაო?-
მოგახსენებ, არ მომეცეს
შენი წყრომა და რისხვაო,-
ორი კრავი შემეძინა,
შენთვის მსურდა ერთი ძღვნადო,
მაგრამ ორივე დამიკლა

მე პატრონმა ამ ხანადო!
ახლა რომ კაცს ამ საქმეზე
ხელი ავაღებინოთო
და პირუტყვთაც უგნურობა
მათი გავაგებინოთო,
საჭიროა, რომ ისინი
ღ ‚ხარკოთ‘ და დაბეგროთო,
რომ ასეთსა ბოროტებას
შემდეგ აღარ მოვესწროთო!..“
მოეწონა ლომს ეს რჩევა,
ყურადღებით მოისმინა,
მაგრამ მაინც საბოლოოდ
ვერაფერი გააჩინა!
და ისევ „ცხვარს“ შეეკითხა:
„როგორ, რა გზით, რა გვარადო?“
— „როგორა და — ისევ შენთვის
სასარგებლოდ, სახმარადო!
შენ მიბოძე, დიდო მეფე,
წერილობით ბრძანებაო,
ბოქაულიც მე ვიქნები, —
თუ კი ნება მექნებაო, —
არ დავზოგავ ჩემს ძალ-ღონეს,
სულ ტყე-მინდვრად ვივლი მეო
და თითო ცხვარს შენ მოგართმევ
უეჭველად ყოველდღეო!“
გაუხარდა ლომს, ეამა,
ცხვარს ბრძანება წამსვე მისცა
და თავისი ნაბრძანები
ბეჭდის დასმით დაამტკიცა.

IV

მუხის ჩრდილში არხეინად
მოსვენებით გორავს ლომი,
რადგან იცის, ცხვარს მოუყვანს
მას ერთგული ქვეშევრდომი.
აწ კიდეც რომ ნადირობას
აღარ მიჰყოს სულაც ხელი,

რა უშავს, ხომ მზად ექნება
მაინც ლუკმა უზრუნველი.
მაგრამ დილა გადავიდა,
შუადღემაც მოატანა
სამხრობამ რომ მოაწია,
ის შიმშილმა აიტანა!..
აგერ კიდეც ჩამოღამდა, —
არსადა ჩანს შავი ცხვარი;
იცდის, იცდის მაგრამ მაინც
ბოქაული არსად არი!...
გაწყრა ლომი და გარისხდა,
გრგვინვა იწყო შესაზარად
და ის ჭექა საშინელი
შორს გაისმა მთად და ბარად!..
მაგრამ ცხვარს ეს არ აწუხებს,
არხეინად დაფარფაშობს!.
გუნებაზე მოსულია,
დარიკაობს, დათამაშობს.
სადაც, ვისაც კი წარუდგენს
დიდი ლომის ბრძანებასა,
ყველას პირში ენა ებმის
და ჰყვებიან მის ნებასა!..
და ამ სახით შავმა ცხვარმა
ბევრი ავი ჩაიდინა,
გაწყალა თხა და ცხვარი,
ჩალა-მტვერი აადინა!...

V

სიდან ისმის ნეტავ ეს ხმა?
ეს ყიჟინა ნეტა რაა?
ბრძოლა არის, ზათქი ზარი,
თუ უბრალო სიმღერაა?
დიაღ, შავ ცხვარს დღეს ლხინი აქვს,
ყანწებით სმენ ნელა-ნელა
და იმათი ყიჟინის ხმა
შორს გაისმის მინდორ-ველად!..
ადგა ლომი, იქით მიდის

შიმშილით გულშენაზარი,
ჩუმად, წყნარად მიაბიჯებს,
რომ შეიტყოს, თუ რა არი.
სულგანაბვით, ფეხაკრეფით
შეუმჩნევლად მიიპარა
და იქვე მდგომ მაღალ მუხას
ოსტატურად მოეფარა.
და სულ ცქერად გადაიქცა,
გატაცებით უთვალთვალებს,
ხედავს კარგად, მაგრამ მაინც
არ უჯერებს თავის თვალებს. —
მელა-დათვნი, ტურა-მგლები,
სულ ყველანი აქ მოსულან,
გრძელი სუფრა გაუშლიათ,
წყება-წყებად ჩასაფრულან.
წინ უყრიათ ხარი, ძროხა,
ცხვარ-ქათამი, ინდაური
და სასმელიც ათასგვარი —
სიიდან და სადაური!..
და ყველაზე საკვირველი, —
შავი ცხვარიც აქ მოსულა
და რაღაცა მანქანებით
სუფრის თავში დასკუპულა!
აღარ ახსოვს დაპირება,
თავი მიუნებებია
და თვით ლომის ბრძანებაცა
შუბლზე მიუწებებია!..
უკვირს ეს ლომს, ბრაზი მოსდის, —
„— აქ მოსულა ნეტავ რადო?
თვისი ვალი აღარ ახსოვს,
ჩანს, რომ მიგდებს მასხარადო!
უფლება რომ ხელში იგდო,
შუბლს მიიკრა როგორ ისო?
ჩანს რომ აღარ ეშინია
ჩემის წყრომის და რისხვისო!
მე შიმშილით კუჭი მეწვის
და ფეხები მექცევაო,
ეს კი აგერ დასკუპული

ლხინს და ნადიმს ეწევაო"!
მაგრამ ეს ჯერ არაფერი, -
უარესსა რას უყურებ
გახალისდნენ მგელ-დათვები,
საკრავები გაახურეს!
ყალყზე ადგნენ გალეშილნი,
თამაშობა, ხტუნვა იწყეს,
აირივნენ, დაირივნენ,
ზრდილობა სულ დაივიწყეს!
წახალისდა შავი ცხვარიც,
დანავარდობს, დაკუნტრუშობს,
სულ პირაღმა ტლინკებს ისვრის.
მხიარულობს, არ პირქუშობს.
ხან სიამემორეული,
იგი უცბად ყალყზე დგება
და არ არჩევს აღარავის,
სულ მგელ-დათვებს თავს ახტება!...
ბრაზი მოსდის მხეცთა მეფეს,
გული ყელში მოებჯინა,
თვალი სისხლით აევსო და
მეტიც ველარ მოითმინა,
მოიმზადა ბრჭყალ-კბილები
საშინელი, შესაზარი
იშვირა და შუაში ჩახტა,
ყველას დასცა შიშის ზარი!..
დაფრთხნენ მხეცნი, გაიფანტნენ
ზოგი ველად, ზოგიც ტყეში,
მაგრამ ლომმა უმთავრესი —
შავი ცხვარი იგდო ხელში!...
მაგრამ, ჰოი, საშინელი,
საკვირველი სანახავი:
მელა გასხლტა და ლომს ხელში
შეატოვა მან ცხვრის ტყავი!...
გაკურცხლა და სერზე შედგა,
იქედან რომ დაინახა,
გაოცებულს, პირდაღებულს
მხეცთა მეფეს გადმოძახა:
„ვერ მიცანი? თუ ბინდი რამ

გადაგეკრა ორსავ თვალზე?
დაჯექ, გული მოიჯერე
ჩვენს მშვენიერ ნასუფრალზე!..
მე რაც მსურდა, შევასრულე,
აწი ჰქენი, რაც გნებავსო!
თუ დამჭირდა, უკეთესსაც
კვლავ ვიშოვნი მე ცხვრის ტყავსო"!..
წაცუნცულდა მელაკუდა,
ამ ვაებას რომ გადურჩა,
ბუჩქის ძირში წამოგორდა,
ჩაუცუცქდა და ჩაიყუჩა...
მწარე ფიქრმა გაურბინა, –
თავს დამეცა ეს რა მეხი!...
მიაშურა ნაცნობ ფარეხს
და... ხაფანგში ჩაჰკრა ფეხი!..
ცივმა ოფლმა დაუარა,
გააცივა, გააცხელა,
შიშისაგან აცახცახდა,
თანაც სიმწრით ჩაახველა!..
მაგრამ რაღას გააწყობდა, —
მოწყვეტილი ჰქონდა ფეხი.
აქ მას ვეღარ უშველიდა
ოსტატობა და სხვა ხერხი!...
დილით ადრე მას კაცის ხმა
დასძახოდა გლოვის ზარად:
„აქ კი, ხერხი, მელაკუდავ,
აღარ გარგებს მხსნელად, ფარად!..
ქათმები რომ შემიჭამე,
შავ ცხვრის ტყავში გახვეულო,
ზედ ბატკნებიც მიაყოლე,
საძაგელო და წყეულო!"
„ცხვრის ტყავშიო? აბა როდის?
რა ცხვრის ტყავი? რისი ქურდი"?
„ჰო, ღობეზე რომ გადახტი,
გამოგიჩნდა მაშინ კუდი"!..
და ბევრიც არ დააცალა,
გაატყავა იგი ხელად,
ტყავი დარჩა მხოლოდ იმას,
ლეში-ყორნებს, საკორტნელად.

ბერიკა ლევისარაშვილი

ხალხურ გაიმოცემათა ფონდიდან

„...ქორონიკონსა 326 მოიკონა აღშენება მონასტრისა ადგილსა ყოვლად შვენიერსა და ყოვლითურთ უნაკლოსა... შექმნა დავითმა გელათი ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალიმად, მოძღვრად სწავლულებისად, სხვად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა“...

შემოქმედის ქრონიკა.

კარი პირველი

მიმოფენილა ეს კუთხე
მიღმა და მოღმა სერებზე,
ბორცვი ბორცვს მისდევს,
გორი გორს,
შემდგარან თითქო ცერებზე.
მუხურის გრეხილს ჩასკვნია
კალთები ნაქერალასი;
ზემოდან მდელო დაჰყურებს —
აუზი ხარისთვალასი.

სიოს სთავაზობს მთაშავა,
ნისლით მოსილი ხშირითა;
შორიდან უშბაც ულიმის
თავის მზიური პირითა.

ბორცვთა შუქებში ჩაუდის
მას წყალწითელა ჩხრიალა,
ჰკოცნის ნაპირებს, თუ რამემ
და არვინ ააღრიალა.
მაგრამ თუ ერთი იჭექა,
თქეში მოვიდა ღვარული,
მაშინ იქუხებს უნდობლად
და რისხვით მთა და ბარულით.

მიჰქრის — და ჰხედავ, შელეწა
აგერ ყვირილას კარები,
უკან ნიშნადღა დასტოვა
ნაბოგირ-ნახიდარები.
ზზე გაიცინებს — და იგიც
ალაპლაპდება სხივითა
და სადაც გნებავთ, გადასჭრია
შეკაპიწებულ წვივითა..
აგერ რიონიც დგაფუნობს,
რიონი, ჩვენი რიონი,
ჭავლების ფრთებით თან მოაქვს
ჰანგები სამაყრიონი.
რას შეუმკია იმისი
ეს ძვრა,
ეს რხევა,
ეს ტანი?
ტარიელს, გამარჯვებულსა,
თითქო მოჰყავსო ნესტანი.
მთების ამბები, ბედნიერს,
თან მოაქვს მზიურ ალმებად,
და სადაც კლდოვან კიბულას
მხარმარცხნით მიესალმება,
აქედან შესდევს ეს კუთხე,
შემკული ნაირფერითა,
აქ მთაც ღიღინებს და მდელოც
მშრომელ მუშაკი ერითა.
ღიღინებს... ბედნიერია
მხოლოდ ალალი გულითა
და ალალივე მარჯვენით
მოწეულ ჭირნახულითა.
არა უნდა რა მას სხვისა
და ვერც ვინ წაჰგლეჯს თავისას;
ვინც დაბრიყვებას ინდომებს, —
შაშინ — მტრისას და ავისას!..
ბევრი აროდეს ჰქონია,
მაგრამ არც ბევრი ჰკლებია:
ჭურ-მარნის განძი თუ ბეღლის

რთვლობაზე უახლებია.
სიცრუეს ისე გაურბის,
როგორც ცოფსა და შხამებსა,
და ორგულობას საქმეში
ვერავინ შემოსწამებსა.
კვალდაკვალ მისდევს დღეის დღეს
კვლავაც მოკეთე ხვალითა;
საზრდოს უგზავნის რუსთავსა
მერცხალა ელმავალითა.

I

სად ქვაბულები კლდის წიაღს
უბეში ჩაუსვენია;
სად უსურვაზი იმათ შუბლს
სამოსლად გადაჰფენია;
სად ბზა-ურთხმელი ერთმანეთს
ხელიხელ გადახვევია
და ნეკერჩხალი სოსანი
ტოტებით ზეცას სწვევია,
სადაც დოხორა იზღუდვის
ჩხრიალა წყალწითელათი, —
იქ მთის კალთიდან დაჰყურებს
იმერეთს დიდი გელათი.
ლევისარაშვილს ბერიკას
აქ ურღვევია კლდოვანი, —
ადგილ მოსილი და ადგილ
ტიტველი, ქარაფოვანი.
არ დამაშვრალა ვაჟკაცი,
ღამე დღედ უთენებია,
დევის ნამუხლარ ნაპრალზე
წალკოტი უშენებია.
ასე იტყოდნენ: ბერიკას
ბევრი ვერავინ სჯობია,
ხელმარჯვე გამომავალი
გულითაც შენამკობია.
დილიდან საღამომდისა
არც კი მიჰხედავს ჩეროსა,

სახეზე ღიმი გადაჰკრავს,
როცა გაიტანს ლელოსა.
მასთან გარჯა და ოფლის ღვრა,
მასთან ღიღინი ტკბილია,
რასაც მარჯვენა მოუმკის,
იმისი კმაყოფილია.
თავს დასტრიალებს ვაჟკაცი
საკარმიდამო არესა,
აქ დაიყენებს გაზაფხულს
და ზამთარს მომთაბარესა.
კლდოვან ორწოხთა გვერდები
აღმოსავლეთის განითა
დარაჯად გადმოჰყურებენ
შემოსილები მწვანითა.
ჰუპე გაისმის კლდეებში
ყოველ რამ შეძახილისას,
უხვად ისუნთქავს ქვაბული
მზის ნაკად სხივებს დილისას.
დასავლეთ გადასახედზე
გაშლილა ჭალაკოვანი,
შუა ჩაუდის მდინარე
ნაპირებწალკოტოვანი.
მიღმა სამების ქედი ჩანს
და ხვამლი გოროზ თავითა,
ახსოვთ, თუ ქვეყნის შექმნიდან
რა დრო და ჟამი გავიდა.
როცა მკათათვის მზის თვალი
ამ არეს ჩამოახურებს,
თვალმისაწვდომზე ბერიკა
ბაგრატის გუმბათს გაჰყურებს.
სიოს ნაზ ფრთების შეხებით
იგრილებს გულ-მკერდს განიერს
და თანაც ზილის ტკბილი ხმით
ღიღინებს მრავალჟამიერს.

II

ღიღინი, ჩვენი ღიღინი
ქართველი გლეხის სულია,

ღიღინით იქრობს ჭირ-ვარამს
და არად აგდებს სრულიად.
განსაცდელშიაც ბერიკა
არვის უნახავს მკვნესარე,
აღიღინებულ შრომითა
კაზმით მოურთავს ეს არე.
მოურწყავს, გადაუბარავს,
დაუხნავს, დაუოშია,
იტყვი, მზის თვალი ტრიალებს
მის ეზო-გარემოშია.
მცირე გალავანმოვლებულს
გარშემო უდგას ხეხილი,
მიღმა საფუტკრე და იქვე
ვაზნარი ულვაშგრეხილი.
გაზაფხულის პირს ქვეყანა
რომ მობრუნდება მზისაკენ,
ნაზამთრი, ნაპყრობილარი
ნეზვი გაუტევს მთისაკენ.
ქვეყანას დაჰკრავს მზის თვალთან
სუნნელოვნება ყვავილის,
გაინასკვება ნაყოფი,
აგერ ზაფხულიც გაივლის;
იწურვის შემოდგომაცა
ბარაქა დაუხვებული,
ზამთრის პირს კოლტი ბრუნდება,
მუხიანებში კვებული.
თოვს, ჰყინავს, გარეთ ჰაერში
ვერცხლის ბუშტები სკდებიან,
კერაზე ჯირკვი გუზგუზებს,
ზედ ნაკვერცხლები დგებიან.
სხვენი დასცქერის შავწარბა,
ზედ ფელიკები ჰკიდია,
ჯალაბი თბება კერასთან
პატარიან და დიდიან.

III

შორს-შორს გაჰქვეყნდა სახელი
დიდისა დავით მეფისა,

თვისტომის გარდა მის კალთას
სხვაც ბევრი შემოეთვისა.
ყველა ერთგულის მფარველი,
მამა და მტრისგან მცველია;
სიკეთის მადლი იმის გულს
არა, არ გამოელია.
თუმცა ქრისტიანთ მეფეა, —
მფარველობს მაჰმადიანებს, —
მის სამეფოში მათ ყოფას
ვერავინ დააზიანებს.
შემოივრდომა ჰაისტან,
უმწეოს უსახლ-უკარა;
თითის გაქნევად არ ეყო
სელჯუკიანთა მუქარა.
იფრინა თურქნი, არაბნი,
ქვეყნის ორგულნი ალაგმა,
აქ იმერეთმა იხარა,
იქ გორგასალის ქალაქმა.
კასპიას შეხსნა კარები
ერთი ძლიერი დაკვრითა
და ააშენა ქვეყანა
მამამ ობოლთა და ქვრივთა.
იავარქმნილი ივერი
იხსნა და განამტკიცა მან,
ვით ძლევამ ქვეყნის წარძღვნისას
ლეგენდურ ხომალდისაგან.
რომ გახიზნული მთად ხალხი
ბარადვე ჩამოეყვანა,
სპერიდან დარუბანდამდი
ხმლით შემოხაზა ქვეყანა.
შინა და გარე მტერთაგან
როდესაც მოისვენა მან,
მთლად საქართველო მოიცვა
სიკეთის მიმოფენამან.
წამობიბინდა ქვეყანა —
სოფელი, ქალაქ-დაბები,
უკაცრიელზე დასახლდა
ამ ხალხის მონაჭარბები.

შარა აუყვა შარასა,
წყალთ კალაპოტებს ხიდები,
აღმაშენებლად იწოდა.
ერისგან განადიდები.

IV

მზის წვერმა დაჰკრა ქედებსა,
შევარდისფერდა რა ზეცა,
და ერთი ცელქი ნაჩინჩხლი
ბერიკას ეზოს დაეცა.
ჩეროდ ჩამოდგა ტოტებქვეშ,
მათ გარე ცინცხალ ვარაყად,
ფუტკარიც წამოიშალა
სათაფლ-სასანთლო ბარაქად.
შეინავარდა მთისაკენ
მსიარულ შებზუილითა,
როფებს ამზადებს ბერიკა
ამ ადრეულა დილითა.
გრძელტარიანი ჩულუხით
მორებს გულს უღებს როფებად,
დღე-დღეზე ნაყარს მოელის
და არც თუ ეორჭოფება.
იმატებს გლეხის ოჯახში
ბარაქა იგი ღვთიანი,
შალე ზაფხულიც დადგება
პირკეთილ-ბარაქიანი.
ხატსაც თავის წილს მიართმევს,
აგერ კლდეში რომ ჰსვენია,
ბეჯითად იხდის ყოველწლივ,
ერთიც არ დაუცდენია.
ეჩოს პირს უწყობს ოსტატი,
რა მკლავი დაეღალება,
ქვევით მდელოებს დაჰყურებს
მიფენ-მოფენილს ჭალებად;
დობილოების ხეივნებს,
ვაზს რომ იხვევენ ვაზზედა,
დიდი მეფის ჰიმნს ღიღინებს

„შენ ხარ ვენახის“ ხმაზედა:
„ვირგვინი მკლავმან ძლიერმან
„დაგადგა შენ,
„აწ რა იმერნი სრულიად
„პატივს გცემენ“...
ყელს მოიღერებს ვაჟკაცი
ხმატკბილ რამ სალამურადა,
გაჰხედავ, თითქო მთამ და კლდემ,
ტყე-ველმაც დააყურადა.
„ლახვრითა მითა
„დააწყლულებ მტერთ გულთა,
„უფას ოქროთა მოსილო
„პორფიროვანო“.
არც მოძახილი, არც ბანი,
ხმათწყობა შეაზავა და
ისიც არის და ისიცა,
უჰანგისპირებს თავადა:
„ბრწყინევდინ, მეფეო დავით,
„თვით დავითისებრ
„ბრწყინევდ“...

V

სადაც ცას ელამუნება
ურთხმელა ტოტებაწვდილი,
გოლიათ ქედზე გადმოდგა
სამი უცნობის აჩრდილი.
მგზავრულად იყვნენ მორთული,
როდი ბრწყინავდნენ დიდებით,
არც ჰყავდათ ვინმე მხლებელი
ჯორზე ბარგგადაკიდებით.
ერთს ზედ ეხურა კუნკულა,
ბარტყულას შლიდა სიოზე;
მეორეს — ოქრო ნემსული
სამოსელ-საარშიოზე;
კბილს უსინჯავდა მესამე
ქვა-ლოდებს წალკატ-ტარაღით
და კმაყოფილი მოჩანდა

საშენ მასალის მარაგით.
მცირე ხნით ჩამოისვენეს,
იქვე ჩამოსხდნენ ქვაზედა,
თვალით ზომავდნენ იმ არეს
და ბჭობდნენ რაღაცაზედა.
ჰანგი შესწყვიტა ბერიკამ
ფუტკრის დარაჯმა — მხილავმა,
ეჩო მიაგდო და შუბლი
მარჯვენით მიიჩრდილა მან.
გაჰყურებს, ადგნენ სამნივე,
კვლავ უმიზნებენ არესა,
მალ-მალ გაჰხედვენ ფიქრის კონცხს —
მას, დასავლეთის მხარესა.
მიუვალია ეს კონცხი,
მაგარი, დევისკბილება,
იქ ასვლა, აგრევ ჩამოსვლა
არავის ეადვილება.
სამი მხრით შემოზღუდულსა
ჭერეხა წყალწითელათი
თვალი უჭირავს ყოველმხრით
აბჯარსხმულს ყელით-ყელამდი.
სიმაგრე თუა საჭირო,
ეს თვით განგებას უქმნია,
აქ ხელი ადამიანის
თითქო ზედმეტი უქმია!
ვინ იყვნენ, სადაურები,
კაცნი რა და რა ხელობის,
ზედ ეტყობოდათ კილოზე
მათი საუბარ-მსჯელობის.
ეგ საუბარი დაძრული
სიოს ნავარდა ფრთებითა,
ესმის ბერიკას თითქო რამ
ნაცნობ იდუმალ ხმებითა...

პირველი ხმა

„ეს კუთხე ჩვენი მიზნისთვის
შექმნილა თავისთავადა:

თუ აქ ავაგებთ შენობას,
არ გვახსენებენ ავადა.
ადგილი მყარი, მაღალი,
მაგარი, ფუძეკლდოვანი,
ჰხარობს იქ შინდი, კუნელი
და მუხა მრავალწლოვანი.
ვაკე იმერეთს გაჰყურებს
შორით — შორს, კიდით — კიდემდი,
ავ კაცს უმალვე შენიშნავ,
ფეხს წამოდგამდეს ვიდრემდი.
ეს ქვის ფენები, ამ თხემზე
დალაგებული ტახტებად,
ტარაღში გატარებული
კედლებად გამოგვადგება.
ამ ჯიშის ქვა-ლოდს ქარ-ყინვა
ვერას დააკლებს რამესა,
ათას წელს ისე გაუძლებს,
როგორც დღესა და ღამესა!
საკირეს აქვე გავმართავთ,
კირქვა უზომოდ ბევრია,
ადგილ მასალის სიუხვე
მთელ ხარჯის მონახევრეა.
დულაბისათვის მთის ხრეში
აქვე აირწყოს, გაიცრას,
მით ნაგებობის სიმტკიცე
არც არაოდეს დაიძრას.
მიბოძეთ კაცი ვარგისი
და ზნეკეთილი უდიდეს,
ვარგოდეს მუშის ზემდეგად
და მშენებლობას უვლიდეს.
უბრძანეთ ჭაბუკ თაობას,
რომ ყველას ვალად ედება
ქვის გათლა, გაჩაქუჩება,
გაწმენდა, მოპირკეთება.
მოზომვა, დაშვეულება,
ფალანგები თუ ხიდია —
თქვენი ბრძანება იყოს და —
მთავარ ოსტატზე ჰკიდია.

დედანს ავაგებ პირველად
მომცრო სიგრძის და განისას;
მოგეწონებათ, ამგვარსვე
ავაგებ სრული ტანისას.

მეორე ხმა

ოსტატო, ეგე ნაუბნი
დიაღაც გონივრულია,
ცოდნა და გამოცდილება
მასში ღრმად ჩანერგულია.
ეჭვი არ არის, ავაგებთ
მაგ ბრძნული წინამძღოლობით,
ნაგებიც მკვიდრი გვექნება,
ვერც სხვა მისწვდება ტოლობით.
მაგრამ მე ვფიქრობ ავაგოთ
იქ, სადაც იგი კონცხია,
რომლის ციცაბო კედლები
სულ ღვართქაფს ჩაუფოცხია.
ადგილი განგებ შექმნილი,
უდაბნო მიუდგომელი,
საბერ-მონაზვნო ღვაწლისთვის
იმას სჯობია რომელი!
ხომ კი გსმენიათ, კლარჯთ შორის
იღვწოდნენ წმინდა მამები,
სულით ბრწყინავდნენ, ტყე-ღრეში
ხორციელ განაწამები.
შიო ჯურღმულში მკვიდრობდა,
ხრიოკ გარეჯას დავითი;
ხორცით ეწამენ, მაგრამა
სული კი იხსნეს ამითი.
დიდოსტატობა ეგ შენი
იმ კონცხზე დავაგვირგვინოთ;
ხომ გახსოვთ, ქრისტემ ქორწილში
წყალი აქცია როს ღვინოდ!..

პირველი ხმა

და ნუ შემრისხავს, მამაო,
მე თქვენი უწმინდესობა, —
რა ვქნა, ეგ თქვენი ნათქვამი
ხანდახან გულზე მესობა!
ვინც წყალი ღვინოდ აქცია,
ისევ ცოცხალთა გულისთვის!
ხილულ უკურთხსა ვერ დავთმობ
უხილავ კურთხეულისთვის...

ერთმა მათგანმა, რომ ჩანდა
ჭაღარაშეღერებული,
მშვილდი მოხაზა ჰაერში —
კამარა ატალღებული.
თითი გაავლო კონცხიდან,
ბერიკას ეზოს დაარჭო,
ჯერ სდუმდა, მაგრამ გულში კი
რაღაც იდუმალ განაბჭო.

მესამე ხმა

მოძღვარო ჩემო, აი იმ კონცხზე,
თქვენ გულთააზრს რომ იპყრობს და იკრებს,
ხშირად ავსულვარ, დამისვენია
და მივცემივარ სულ სხვაგვარ ფიქრებს.
ეს კლდებურჯები, ეს ქვაბულები
არ ყოფილიყვნენ ქვეყნის მტვირთველი,
ვფიქრობ, ქვეყანაც არ იქნებოდა
ეგრე ლამაზი და მიმზიდველი.
ეს ორწოხები, ღრუბელთ სიმაღლით
გაშლილ მიდამოს რომ გადმოჰყურებს,
მტერთა ყოველი შემოსევისას
ხალხი ღაღადით მას მიაშურებს.
და მთას ყოველთვის უხსნია ბარი:
ქართლი ხომ დიდად ნათურქალია,
მაგრამ მთამ იხსნა, როცა არაგვის
სათავეების წყალი დალია.

ესეც არ იყოს, გული კაცისა
დიაღ მოითხოვს მრავალფერობას,
ვით ცხოვრებაში ზოგი კერას ქმნის
და ზოგიც კიდევ ირჩევს ბერობას...
ჭრელია იგი კაცის ბუნება,
ჩვენი ქვეყანა მსგავსია მისი:
ეგერ ხომლია და ქედმაღალი,
იქ ზამთარია, აქ კი მაისი.
და ნეტარება თუ კია სადმე,
სწორეთ ამ მრავალფეროვნებაში,
იმის განჭვრეტა-გამოცნობასა
და არა ოდენ ქებათ-ქებაში!..
ან ცას რას არგებს, თუნდაც ქვეყანას,
ფუჭმეტყველება დასაგმობია;
კედელს ოუნდ კენჭიც რომ ჩაადუღო,
ეს ქვეყნისათვის დიაღ სჯობია!..

* * *

ჯერ ისევ ადრე ჩვენს დიდ წინაპრებს
საბერძნეთისკენ ეჭირათ თვალი,
ნათელ ჩირაღდნად მიაჩნდათ მისი
დიდი წარსული და მომავალი.
ათენისეულ სიბრძნეს და სწავლას
შეედრებოდა ვერა რომელი,
ის იზრდებოდა, ვითარდებოდა,
როგორც რამ ძალა დაუცხრომელი.
ჩვენც ბევრი რამე მათგან მივიღეთ
და ზოგ რამეზე ჩვენც განვიწვართეთ,
მაგრამ ვიცოდით ჩვენც მეგობრობა
და ზოგი რამე მათ ახლაც ჰმართებთ.
როცა სკლიაროს შესძრა ელლადა, —
მთელ საბერძნეთის მთა და ჭალაკი,
ქართულმა ძალამ იხსნა ის მაშინ
და სამეუფო მისი ქალაქი.
მაკედონელ გმირს აღმოსავლეთი
ფეხქვეშ განერთხო ძალმილეული!

დღეს საბერძნეთი ის აღარ არის!..
და ქედმაღლობას მაინც ჩვეული
არ იშლის იგი!.. მას თვალწინ უდგას
თვისი წარსული ღირსსახსოვარი,
და მიტომ ჰფიქრობს, ვითომ ცარგვლის ქვეშ
ის კვლავ ერთია სწორუპოვარი!..
სოკრატელთ სიბრძნით მოამაყობენ,
უგნური არის თუ გონიერი,
და ქედმაღლობას. ამპარტავნობას
სრულად მოუცავს ბერძენთა ერი.
ქვეყნიერების ოსტატ-წინამძღვრად
მათ მიაჩნიათ თავიანთ თავი
და კიდეც მიტომ მათ ქედმაღლურად
აღარვინ დარჩათ განუკითხავი.
ფრიად ფასს სდებენ თავიანთ სახელს,
თავიანთ ცოდნა-გამოცდილებას,
და უყურებენ ამათ ყოველთა,
როგორც ბერძენთა რამ კუთვნილებას.
მას ინახავენ ფრიად ფარულად,
ვით საგანძურსა საშვილიშვილოს,
რომ უცხო თვალის შესებამ იგი
არ გაამჟღავნოს და არ დაჩრდილოს.
ჩვენ ამას უნდა ზღვარი დავუდვათ,
შევქმნათ ათინა, უმჯობეს მისა —
და ყველას ვუძღვნათ სამართლიანად —
ღირსსა თუ უღირსს შესაბამისად.
რისთვისღა ვგზავნოთ ყრმანი — ჭაბუკნი,
რომ გადაგვარდნენ ბერძენთ ნებისად?
ჩვენ აქვე შევქმნათ დიდი სავანე
ქართული სიბრძნისმეტყველებისა..
აქვე მოვიწვევ ერთ ბერძენ ოსტატს,
მათ შორის პირველს, სათვალდათვალოს,
რომ საიდუმლო მას ჩვენმა თვალმა
ერთი შეხედვით გამოაცალოს...
და თუ იმისი ნახელაობა
თუნდა მცირედაც რასმე კი შეგვძენს,
დავაჯილდოვოთ, ავითვისოთ ის
და ერთი მადლიც ვუბრძანოთ ბერძენს.

* * *

და იმ კონცხზე კი, კლდე-ბურჯთა წვერზე
მძლავრი სიმაგრე უნდა ავაგოთ,
რომ ამ კუთხისკენ მომავალი გზა
მტრიანობისას მაგრად ჩავკეტოთ. —
არწივის თვალსა, მაღლით მგზნებარეს,
ვერ დაემალვის მტერი ვერა გზით,
მუშა ხელისთვის კარვები შევქმნათ
აქ, ამ ალაგას, ახლა რომ ვზით.
ნაგებობისთვის კი ეს წალკოტი
უნდა მივიღოთ ზედ გამოჭრილად:
არა უვალი, არცა ურწყული
და მისაწვდომი უფრო ადვილად.
რომ სიბრძნის კვალსა და ცოდნას მისწვდნენ
ერისაგანნი მის ზღუდეთ შორის
და იგი სიბრძნე და სწავლულება
ქვეყნად გაჰფინონ შორითი — შორის.

* * *

კვლავაც აგრე მსურს, მოძღვარო ჩემო,
აქ შევქმნა დიდი განძთა საფარი
და ამ განძთსაფარს ვექმნე დარაჯად,
ვით წინმორბედი და წინაპარი.
ქვეყნის განძეულს, ქვეყნისათვისვე
მძიმე დღეთათვის წინ-წინ გამიზნულს,
მტერი მთლიანად სელთ ვერ ჩაიგდებს
სხვადასხვა კუთხით დაცულ-გახიზნულს.
არ ვარგა ერთგან განძთდაგროვება,
ამას მოგვითხრობს გამოცდილება:
მთლიანი ძალით ერთგან თავდასხმა
მტერსაც ხომ უფრო ეადვილება!
და შეტრიალდა, ვთქვათ, ქვეყნის ბედი,
შემოილეწა სიმაგრის კარი,

შაშინ ქვეყანას რითლა ეშველოს,
თუ აღარა ჰყავს „მარქაფა ჯარი?!“
დე, ამ განძეულს საქართველოსას —
ათასეულნიც გავიდნენ წლები, —
ვიცავდეთ განა ცოცხალი მკერდით?
ვიცავდეთ აგრევ შიშველი ძვლებით!..
მსურს, რომ სამარხი, ძვალთა სალაგი,
აქ განვიმზადო განმარტოებით,
ჩემი სიცოცხლის აღსრულებისას
გულს დამაფინონ ა ეს რტოები;
მსურს მიმაბარონ კერიბჭეთ წიაღს —
მიმსვლელი გულზე ფეხს დამადგამდეს
და, როგორც ვინმე ცნობისმოყვარე,
ამ ჩემს ანდერსაც გაიხსენებდეს...

მეორე ხმა

ეს არ იქნება სულის სავანე!
მეფეთ-მეფეო, ამას რას ბრძანებთ?
აქ, ამ ხმაურში, ორომტრიალში
საგანდეგილოს როგორ ინებებთ?
აწ ნუ შემრისხავს მეფობა თქვენი; —
რჯულის კანონში ასე სწერია:
ნებიერება წალკოტოვანში
იმავ წარწყმედის მონახევრეა!
იმ ლაღოვანსა და საწალკოტეს
მხოლოდ მაცდურს თუ მიუხარია!
მხოლოდ უდაბნო უვალ-ურწყული
სასუფეველის გზა და კარია.
სოფელი თავის ავით და კარგით
სამაცდურო და სულის მახეა;
იგი კონცხი კი საგანდეგილოდ
თვითონ განგებას დაუსახია.

მესამე ხმა

არა თუ ოდენ ბერთა სავანედ,
რომ აქ იღვწოდნენ განდეგილები:

მსურს აქ ისმენდნენ და სწავლულობდნენ,
და იწვრთნებოდნენ ქვეყნის შვილები.
იმაზეც ვფიქრობ, მოძღვარო ჩემი,
რაც მაგრძნობინა და მითხრა გულმა:
უხილავ მტერთა ბრძოლით გართულნი...
არ წაგვახდინოს მტერმა ხილულმა...

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲮᲛᲐ

იგი წალკოტი ხომ გლეხისაა,
მისივე ოფლით განაპოხია;
რა ვუთხრათ იმას ან იმის ჯალაბს,
ამიერიდან სევდა-ოხვრიანს?
ლომს რომ პოკვერი მოსტაცო ძალით,
მტერი გახდება სამართლიანი,
გლეხიც ხომ ერეკ ლომია და, ვთქვათ,
რაღა იქნება აქ მადლიანი?..

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲮᲛᲐ

მაგრამ გლეხიც ხომ ქვეყნის შვილია?!
დასთმობს, ქვეყანას რაკი სჭირდება!
სხვა შესაფერი გარემო მისთვის
არც თუ ოდესმე გაგვიჭირდება!..
ამას ვგრძნობთ ჩვენცა, დავაკვილდოვებ,
ავავსებ თვალით და მარგალიტით;
შეუვალობას და სამოსახლოს
მიიღებს აქვე, ან ამას იქით..
დადუმდა არსენ... ველარა ჰკადრა
სხვა მაგიერი რამ საპასუხო;
სთქვა: მეფე არის და იქმს, რაიც სურს,
კვლავ უქმი სიტყვით რად შევაწუხო...

VI

იდგა ქართული მაისი
ვარდიანებით შლილითა,
მერცხლების ჭიკჭიკს შაშვები
უხმატკბილებდნენ ზილითა.

ფრთოსანთ სამყარო ნავარდობს,
უსტვენს და ცურავს ცაშია;
გარს შემოავლეს ელისქედს
რაკრაკით თხზული არშია.
სადღაც ყელს იწმენდს გუგული,
თესე-კაფეზე ნატევი,
მხოლოდ ბულბული ისვენებს
უძილო, ღამე ნათევი.
ცვარად მობნეულ მარგალიტს
უკვე მზე წამოეწია;
ამ დროს ბერიკას გარემოს
სამი უცნობი ეწვია.
თუმცა უცნობი რად არის, —
მეფე უნახავს ხშირადა:
ბაგრატს წირვაზე იგი მას
უჭვრეტდა პირისპირადა.
კვლავ თვალწინ გამოესახა
მეფე ახოვანგებული,
ლაჟვარდციური თვალებით
და ოდნავ შეჟღალებული.
შეკრთა ბერიკა, გაოცდა,
და გულმა წაუბაგუნა:
ეს რა ბედი ჰხვდა გლეხკაცსა,
ეს რა განგებამ არგუნა...
— პატრონი ყმასა წვეოდეს, —
ეს ამბავია რკვეული;
მაგრამ პატრონთა-პატრონი, —
არც თუ მაგრე ვართ ჩვეული!
მაინც ეს წუთი არ არის
რაიმე რისხვა, მიწისძვრა, —
რაღაც კარგს უნდა ნიშნავდეს,
გულმა მიგრძნო და მისიზმრა...

VII

პური და ღვინო ალალი
არვისგან განაწბილია,
ჭკვიან კაცთაგან თქმულია,

რომ გლეხის პური ტკბილია.
სუფრა გაშალა ბერიკამ
ასძრა სარქველი ჭურისა,
ხმიადს ხელადით მიუდგა
მან წვენი ოხტოურისა.
ბერმა, მომყმარმა ამ გზისად,
ხმიადს უარი არ უთხრა —
და მორთმეული პურ-ღვინო
სიამოვნებით აკურთხა.
სუნნელოვანი მაღლარი
რომ ჩაიღვარა კათხაში,
ძნელად იტყოდით, მზეს თუ მას
უფრო გაჰქონდა კაშკაში.
სმური აიღო ბერიკამ, —
ეს ჩვეულება ძველია, —
მეფესაც როდი დაუთმო,
რადგან თვით მასპინძელია.
არ ჰქონდა სურა და თასი
მოოშვილ-მოოქროვილი,
არც ენა ოქრობაგური,
ოქროცურვილით ქსოვილი.
სადღეგრძელო სთქვა ქვეყნისა,
მეფეს რომ აღარ აცალა,
ასწია კათხა — სასმისი,
ააყირავა, დასცალა
ლეკა ხის სარიოშები
სტუმრებს მიართვა კრძალვითა,
წამოთამამდა გლეხკაცი,
სიამეს ველარ მალვიდა —
და კიდეც ჩაიღიღინა:
„ბრწყინევდინ, დავით მეფეო!
თურქთა, სპარსთა და არაბთა
კერა შენ ააღველფეო!..“

„ბერიკა, ჩვენო ბერიკა,
მოესწარ მრავალ რთველობას!
ჩვენი სამეფოს კვლავაც ზრდას

და იმის წაღმა მსვლელობას!
გარეშე მტერი გავფანტეთ
რა ბრძოლითა და რა ყოფით,
დღეს ხელი უნდა შეგვიწყო
ამ კარმიდამოს დათმობით.
აქ შევქმნით, აქვე ავაგებთ.
სწავლის და ცოდნის სავანეს
და აღარ მივსცემთ ჩვენს შვილებს
საწვრთნელად ვინმე მავანებს.“
ვერ მიხვდა ნათქვამს ბერიკა
და სიტყვა ასე შენივთა:
„თქვენს მზესა და მადლს, — მიბრძანეთ
ჩემებრ გლეხური ენითა.
ჰხედავთ ბედნიერ თვალითა,
კლდე მირღვევია უვალი,
მეფის სიტყვა მიჩნს, ვით ნება
მაღლით ცით გარდაუვალი“...

VIII

დააჯილდოვეს ბერიკა
თვალით და მარგალიტითა,
კალთა და უბე აუვსეს,
ჯიბემ რომ ვეღარ იტვირთა.
მაინც კი გადასახლება
მძიმეა მეკომურისა,
გაწყვეტა მამაშვილური,
გინდა კავშირის ძმურისა.
დღეს მდიდარია ბერიკა
ოქრო-ვერცხლით და თვალითა.
ორი წამოზდილ ვაჟითა
და ერთი ქორფა ქალითა.
ცოლიც გამრჯელი რამა ჰყავს,
არვის არ დაუვარდება;
თვითონ, უღელში შეაბა,
მუხლი არ დაუზარდება.
არც თუ ჯერ კერა ჩამქრალა,
კერა ჯერ ისევ თბილია;

ასეა, მაგრამ ბერიკა
დღეს მაინც დაღვრემილია.
უკვე ურმები მიადგენ
ბერიკას საბადებელსა,
ძარწნულში ჰყრიან ბარხანას,
ქათამსაც კვერცხისმდებელსა.
წინდა-პაიჭი, შალ ჩოხა,
ხამშალა ნადგიმარები,
ჯამ-ჭურჭელ-როდინ-სანაყი,
ბევრიც სხვა ასეთ გვარები
ჩაჰყარეს, განა ჩააწყვეს, —
ვის რა თავი აქვს ამისა?
არ დაავიწყდათ წაღება
პატარა ჯორკო სკამისა!
ემშვიდობება ბერიკა
საყვარელ ფუძე-კერასა,
თითქო ენაც კი უშრება.
ველარას ამბობს, ვერასა
აგერ ჭიშკართან მივიდა
შედგა და უკუიხედა:
თავისი ნაქოხმახარი
ეჩვენა ქალაქ-ციხედა!
მეფემ შენიშნა და ბრძანა:
„მეტი რა გადაჰხდებაო?
პირი აუვსეთ ოქროთი,
ეტყობა, გული წყდებაო".

IX

მართვებდაკარგულ დედისა
გულს ჰკოდავს ქოთქოთ-წრტიალი;
საკარის ალი ქვასა ნთქავს,
კაცის გულს დარდი ტიალი.
რაღაც აწუხებს ბერიკას,
დარდი რამ გაურკვეველი,
ესაუბრება თავის თავს
ძილნატეხ ღამის მთეველი.
გულს დაეუფლა ნისლი რამ,

ფიქრმა შეიპყრო მწარემა
და სულ სხვა თვალით შეპმზირა
საყვარელ არემარემა:
„ცეცხლი აგეღო, გერჩივნა,
იმ განძის ხელისკიდებას,
აწ შეაჩვენებს ქვეყანა
ე მაგ შენს არაწმინდებას.
აწ დაღდასმული ამითა
ვიღასღა დაემალები?
რად არ დაგევსო უწინამც
ეგ დასამიწი თვალები“..
ჰუპუდ გაისმის კლდეებში
ამგვარი შეძახილები,
ყოველმხრით აყეფებულან
ცისა და ქვეყნის შვილები...
და ვაუკაცს უკვე დაეტყო
სიცოცხლის დაძაბუნება,
ორმა დღემ ისე შესცვალა,
თითქო რამ საუკუნემა!
აღარც თუ ვინმე უყურებს
სწორად, და აღარც ელმადცა;
ცოლმა შენიშნა და შვილმა,
კუთხემ და მეზობელმაცა.
ღიმი გაუქრა სრულიად,
ვით მრისხველ ბატონს ყმაზედა;
აღარ ღიღინებს ჩვეულად
„შენ ხარ ვენახის“ ხმაზედა...

X

„ერთი საწყალი კაცი ვარ,
ქვეყნის უმცროსი, მორჩილი,
ჩემთვის ნადური ყანაში —
ლხინი არის და ქორწილი.
ჩემი სიმდიდრე-ქონება
იგივ თოხი და ბარია:
თოხს დავკრავ, ვენახს გავბარავ,
ვაზიანს გაუხარია.

ეგაა ჩემი დოვლათი
და ჯანი გაუტეხელი.
მაურის წვენი ქვევრებში
და ღომით სავსე ბეღელი.
კლდეზე ავაგე, რასაცა
ჰხედავთ ბედნიერ თვალითა,
ეს ქოხი ეგეც მიდამო
კლდეებს წავართვი ძალითა.
თქვენს დიდ განზრახვას, მეფეო,
რაკი განგებამ ინება,
ბერიკას ოფლი ალალი
ფერხთამტვრად გაეფინება.
მხოლოდ ამას გთხოვ, მეფეო,
ისმინო ჩემი ვედრება, —
დამხსნა და თანვე არ წამყვეს
საშვილიშვილო ყვედრება, —
რომ მიწყალობეთ, ეს განძი
ჩემთვის უქმი და ბლაგვია,
მე არც ის ვიცი, რა არის,
და ან სახელად რა ჰქვია!
მარგალიტიო, ამბობენ,
მე რაში გამომადგება?
მარგალიტს იმას ვეძახი,
ყანის ყელში რომ ჩადგება!
ანკარა ცვარი პირს დაჰბანს,
გამოაცოცხლებს ნათესებს,
ზედ სხივებს აათამაშებს,
როცა მზე ჩამოაკვესებს.
მე გული ამას ჩამძახის
და არც თუ იშლის გულობას:
ის განძი თქვენვე შეგშვენით
და თქვენს დიდ განზრახულობას.
ინებეთ, დიდო მეფეო,
და ნუ შემრისხავთ ამაზე,
რომ ნაბოძები წყალობა
პირიქით შემოგთავაზე.
მხოლოდ ერთს რასმე კი ვითხოვ
ვედრებით, მუხლის მოყრითა:

ნუ ამეკრძალვის აქ მოსვლა
ჯალაბით, თუნდა მოყვრითა“...
ეს მოახსენა ბერიკამ
დიდს დავითს — მეფეთ-მეფესა,
და აირჩია ის ჯილდო,
რომელიც ეუკეთესა...

XI

ცოლმა შერისხა ბერიკა, —
აბა რადა და რისათვის? —
მეფის ნაბოძებ განძისა
უკანვე მირთმევისათვის.
ყილოს უქცევდა ყოველდღე,
აავსო საყვედურებით:
„ჭკუას რა ვუთხრა, თორემა
ბედს როგორ დავემდურებით?
შე საცოდავო, უტვინო,
აგრე რამ გაგაჩერჩეტა,
რომ მეფის ნაწყალობევი
ჩვენთვის ჩათვალე ზედმეტად?
ან ვით შეჰკადრე მეფესა,
რომ თავზე გადააყარე?
ალბათ, არ შეელეოდი,
ხბო ყოფილიყო სახარე!
აგვყარეს, გადაგვასახლეს,
ესეც გვეყოფა სასჯელად;
ჰმართებდა კიდეც, რომ მეფეს
დავეჯილდოვეთ ასჯერად!..
ასე ბრიყვად და უგნურად
სიმდიდრეს როგორ ჰკარგავდი?
თუ სხვაფრივ არა, ამ გოგოს
გულისპირს მოვუქარგავდი!
თვალებს მოსჭრიდა ქვეყანას,
ვინ აჯობებდა ტოლებში?
აბა, ვინ შეედრებოდა

ცუცხვათს, ყურსევს თუ ჭოლევში?
დაიქცა შენი სახელი,
შენი შობის დღე დაიქცა!
შემოგენახა, ამეცვა
ერთი ღინჭილა მაინცა!
შენი საქმეა ღიღინი,
სხვა არა გენაღვლება რა!
თვალებს რა კუპრი დაგედო,
რა ბინდი გადაგეფარა?!"

XII

ერთიხანია ბერიკას
დარდით არ დაუძინია;
ერთი ხანია, რაც იმას.
ეგრე არ გაუცინია!
— გაცოცხლოს, ქალო, გაცოცხლოს,
სულ ეგრე ღინჭილაობდე!
ერთი იმაზეც იფიქრე,
რომ ხან მეც ვღინჭილაობდე!
იცოდე მაინც, რას ამბობ!
ცეცხლი რამ მენთო უბეში,
დავკარგე ქვეყნის ხალისი,
სიყვარული და ნუგეში!..
რა ვუყო-მეთქი, ვფიქრობდი, —
აგერ შენც წამომედავე:
ან უნდა ჩავფლა მიწაში,
ან დამაკლავენ ზედავე!
უკვე შევძულდი ქვეყანას
ამ ჩემი ცოდვა-ბრალითა:
ყველამ ყურება დამიწყო
შურით და ხარბი თვალითა.
ხომ ხედავ, კუთხით კუთხემდი
აღრინდნენ, დაიყეფესა...
მხოლოდ გულისხმამ ჩამძახა:
ისევ მიართვი მეფესა!
მივართვი, მეფემ მიიღო,
ტკბილმა და გულით ღიამა,

თითქოს რამ ლოდი მომძვრა ყელს, —
ისე მელხინა, მეამა:
კვლავ მინდა დარდი ამკიდო
მაგ შენი საყვედურითა?
მაგ ენის ქავილს, გახსოვდეს,
არც გავიგონებ ყურითა!
ერთი იმაზეც იფიქრე,
ეგ რა წამოგცდა ენითა:
ბავშვები ვაღინჭილაოთ
მეფის წყალობა-ძღვენითა?!.

ᲙᲐᲠᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ

I

წიგნი მივიღეთ დავით მეფისა,
დაძმურ მოკითხვას უთვლის კეისარს;
გესმის? — მოკითხვას! და თან მოითხოვს
განთქმულ ოსტატსა და ხუროთმოძღვარს.
ვიცით, დავითმა ხმალი შეარტყა
თავის სამეფოს მკერდს და ნაპირებს,
და ახლა იგი უკვე მეორე
აკადემიის გახსნას აპირებს!
მაშინ ათენი რაღა იქნება,
იმის-აწმყო, გინდა წარსული?
აქ ვინღა მოვა განათლებისთვის,
რომ კვლავ ჩავუდგათ ბერძნული სული?!.
არა! ეს ჩვენთვის მიუღებელი
ახალი დარტყმის მწარე ზარია!
გახსოვდეს, ბერძენს ბოღმა დაასრჩობს,
თუ მის მოქიშპეს გაუხარია!
დღეს შენს ქვეყანას და ჩვენს კეისარს
მსურს გაუწიო ეგ სამსახური,
რომ საქართველოს შინაგან ზრდასაც
ფხიზლად ადევნო თვალი და ყური...

კმარა! რაცა ვთქვი, მისახვედრია!
და კვლავ ამის მეტს გეტყვი აღარას;
მხოლოდ იქიდან და მეტად ფრთხილად —
გაესაუბრე ამ ჩემს ჭაღარას.
შენ კარგადა გრძნობ, რასაც გავალებ,
და როცა დროსაც მოიმარჯვებდე,
დროგამოშვებით იქაურ ამბებს
სიტყვანარევად მოგვახსენებდე...
ახლა თვით იცი, როგორ მოიქცე,
როგორაც სჯობდეს, აბა ისა ჰქენ!..
ეს უთხრა „ოსტატს“ მეფის კაცმა და
გამოისტუმრა საქართველოსკენ...
კაცი გაგზავნეს სოფლებში,
შემოგვიკრიბე ერიო,
ვკითხოთ და ვნახოთ, რას იტყვის
ჭაბუკი ანუ ბერიო.
რა ძალას მოგვცემს ქვეყანა,
რით შეგვეწევა ვინაო,
ვისაც გულს ერჩის, მოვიდეს,
თუ არა — დარჩეს შინაო!..

II

განა თუ მხოლოდ სახელი
ომებში მოიპოვება?
კაცურ კაცობა ყველგან სჭრის,
თუ შეხვდა გარემოება.
ნება-სურვილმა მეფისამ,
რა ერთი ამოანათა,
დაიძრენ ირგვლივ სოფლები
ყრმიან და ბერიანთა.
ზოგი ხარ-ურმით, წერაქვით,
ძელკეტებ-ოწინარებით,
ურო და ტარალ-წალკატით
და ყველა მოსახმარებით.
მოდიან, მოიმღერიან,
ხან ნადურს უჭახრაკებენ,
იფიქრებთ, თითქო გზადაგზა
ციხე-გალავანს აგებენ.

„რატომ იშურებ ძალ-ღონეს?
ქვეყანას მოახმარია!
ქალბატონ-ვაუბატონების
სხეული ნასუქარია, —
ეგ ხორცი, მკლავი, მარჯვენა
სულ მიწადასაყარია!
ხშირად დღეს კაცი ცოცხალი
ხვალ, ხედავ, უკვე მკვდარია!
ვაი, ვინც ქვეყნის სიკეთე
მიწა და მტვერში გარია!
ისეთი შეჰქმენ რაიმე,
რაც უკვდავების დარია! —
ვერც ცეცხლმა დასწვას, ვერც ჭიას
საფლავში გაუხარია!
ეკვეთნენ მეხნი, სეტყვანი
ვერას აკლებდეს ქარია!
ვეცადოთ ბარემ ვაკეთოთ,
რაც დროით მოსაგვარია,
თორემ კვლავ გვიან იქნება,
როცა დარეკავს ზარია!“ —
— გოჩოლაშვილი გოჩოლა
სიმღერას იტყვის ხმიანსა,
გოტიაშვილი გოტია
მისძახებს ენამზიანსა.

III

დაიძრა უძრავთ-უძრავი,
მთამაც იხუვლა, ბარმაცა,
იმანაც ხელი გაიღო,
ვინც ოდეს მოიზარმაცა.
— ქვეყანას უკან ჩამორჩე,
რაღა კაცი ხარ, რა ბიჭი?
ათას უკანას სჯობია
ერთი წინდგმული ნაბიჯი.
წამოქოჩრილა კლდოვანი,
თითქო რამ ძაგრიანია,
წალდები წამოიშველეს,

ვინც მაგარძარღვიანია.
და შეესივნენ ბიჭები
კლდოვანთა შუბლს და ვვერდებსა,
კუნელ-ეკლით და ბაძგარით
განფენილ-განაერთებსა.
ჰკაფვენ, სცელავენ ციცხვნარებს,
ეკალ-პერანგი აცვიათ,
შერკინებულან: ლომბიჭა
და ცუცხვათელი კაცია.
ბიჭინაც კაი ბიჭია!
არა უშავს რა გლახუას,
მხოლოდ ხანდახან ცულლუტობს,
ხან პირს მოუქნევს, ხან ყუას.
არიან ასეთებიცა.
რა ვქნათ? მუდამაც ყოფილან:
ერთი სულისა და გულის
ქვეყნად არავინ შობილა.
გადასწვეს ჯაგნარ-ჯუჯნარი,
ცეცხლის ენები ავარდა,
ჭიაკოკონამ ფრთაგაშლით
თხემებზე გაინავარდა.
ქვისსატეხს პირი მოუჩანს,
არსად ჩანს მიწის ნასახი,
აქ არას გარგებს იხმარო
ბარი, წალდი თუ ნაჯახი.
აქ ძელკეტებით, მხარ-ბეჭით
ქვა უნდა ააყირაო
და შეეჭიდო კლდის შვილებს —
ტოლი-ტოლს პირდაპირაო.
ეჯიბრებიან ვაჟკაცნი
ერთმანეთს სანაძლეოზე.
ვინ ასწევს ტახტსა-ფილაქანს,
აანგრევს ჭეოს ჭეოზე.
აღდგომელამ და წყალობამ
იხმარეს მუხლისთავები,
საყვარელამ და ზაუტამ
მოიხსნეს მოსართავები.
ვინ ვის აჯობებს! — შეხურდა

მინდიაშვილი ხოსია;
მხარდამხარ მისდევს სოჩხეთელს
გოდოგნის გმირი ზოსია;
ცუცხვათლებსა და ყურსევლებს
ოფლი ღვარებად ჰმოსიათ;
აგერ ჭაბუკი ხელფეხობს, —
ზარათელია მოსია...
ბერიკას მაინც ვერვინ ჯობს,
ცდილობენ, ვერა სწვდებიან:
იგი, ქვის კაცი თუ არა,
ქვა ხომ სასთუმლად სდებია!..

IV

ქვევით დაეშვა ქვა-ლოდი, —
ზოგი ორ ძელზე ცურვითა,
ბეჭ-ბეჭ გორებით და ზოგიც
დაბალი, სამთო ურმითა.
ქაქუჩას ცალი ხარი ჰყავს,
მეტი არც ოდეს ჰყოლია;
მაგრამ ისეთი კი არის,
ქარავნის უღელტოლია!
სადაც კი გაუჭირდებათ,
ის იქ ტალი და კვესია,
გასწევს და დასძრავს უძრავსა,
ოროდეს დაუხვნეშია.
წამოიჩოქებს, შეზმუვლებს,
თითქო თხოულობს შველასა,
გასწევს თავისას, სხვისასაც
ზედ მიაყოლებს ყველასა.
სად ცხრა უღელი ვერ დასძრავს,
იქ მას ჩაუბმენ ძირშია,
უკან დახევა არ იცის
მან ასეთ გასაჭირშია.
— იფ! იფ! რა ცალი ხარია!
ჭირიმე მაგის ქედურის! —
მაქებარი ჰყავს ქვეყანა,
არა თუ ვინმე ემდურის!..

V

აგერ დაჰკვესა ტარაღმა,
სულ ნაპერწკლები სცვივიან,
ჟღერა გაისმის შორით შორს,
ფოლადაურნი წივიან.
ქვა-ლოდით ანაფოტები
ფეხისგულს გაეხირება,
მაინც საჭირო რამ არის, —
ხურდაქვად ჩაიკირება,
ჯეელ-ჯეელი ბიჭები
აჩაქუჩებენ ქვა-ფუძეს,
დღესაც, ცხრაასი წლის შემდეგ,
იმავე კედლებს რომ უძევს.
მთავარ ოსტატი ნახაზებს
ამოწმებს, თავზე დაჰყურებს
და ჰმართავს ხაჩირ — სისწორით
შენობის კედლებს და ყურეს.
გარშემო უვლის ყველა ქვას
შვეულ-გონიო ლარითა,
პირწმინდად ააღებინებს
ხაზს ფოლად-ტარაღნარითა.
თვითონ პირს უწმენდს ლორფინებს.
თითქო რომ ასალაშინებს;
საქმეს ოსტატის ეშინის,
ზოგ ოსტატს საქმე აშინებს.
რიგი კარ-სარკმლად ამზადებს
კლდეში მოტეხილ მარმარას,
რიგი — სასვეტეს, სათაღეს,
კარიბჭეების კამარას...
აქ ავაკებენ გარემოს,
დაჰქრიან მოარნაბენი,
გზაწვრილად აღბეჭდილია
იმათი მიმონარბენი.
და მშენებლები ქვას ქვაზე
დულაბით დააკირავენ,
ქშენს საბერველი, — მჭედლები
ხელჭურჭელს გამოჰპირავენ.

თვით მეფემ დადგა კედლის ქვა,
აღმართა თავის ხელითა,
ზედ ჟამთმრიცხველი ოსტატმა
მოქარგა საჭრეთელითა.
პირველობისთვის თავს სდებენ
აქვე ბერიკას ვაჟები;
მზე იცინის და პირს იბანს
შუქცხოვლად ნაკაშკაშები.

იქვე; ორიოდ ნაბიჯზე
ვრცელი დარბაზი შენდება,
ქართულ ნერგის ნაყოფი
აქ მალე აღმოცენდება.
ვრცელ-ვრცელ სარკმელებს ჩაუდგეს
რაფები მარმარილოსი;
აქედან მოიფინება
სიბრძნე, ვით „ოქრო ნილოსით.“
გამოიწრთობა თაობა
ვარჯიშით ნება-ნებისად
და გაჩაღდება აქ კურა
ცოდნის და ხელოვნებისა.
და კვლავ ღილინებს ბერიკა
იმავ ღიღინით ტკბილითა,
ყველას ულიმის ზემდეგი,
ამსნევებს შეძახილითა:
გაგიხარიათ, ვაჟკაცნო,
ბერიკას გული ჰხარობდეს,
თქვენი მარჯვენით ნაგები
ათას წელს მოცისკარობდეს...

ქართული პური ტყდებოდა,
ქართული ღვინო ისმოდა;
ტარაღია ჯდერა-წკრიალი
შორიდან შორად ისმოდა.
ქართველის ოფლი იღვროდა,
მზე რომ წვვრს ჰკრავდა აისსა,

ქართული მკლავი იბრძოდა
ქართველის მარჯვენაისა.

VI

ბევრი გამოჩნდა მოლექსე,
ბევრი მეხოტბე — მქებარი;
მაინც ამბავი ტრიალებს
უცხო და გაუგებარი!..
კალატოზ-მომუშავენი
ყველანი ერთხმად ჩიოიან:
დღისით ნაგები კედლები
ღამით უკანვე ცვივიან.
ყოველღამ, მამლის ყივილზე,
რაც დღიურ აგვიყვანია,
მოდის და ანგრევს ვიღაცა,
აგერ ეს ერთი ხანია.
ეშმაკი არის უთუოდ,
მტერი ადამის ტომისა,
საუკუღმართოდ მომრთველი
საწაღმართოის მდომისა!
ღღისით არა ჩანს, წყლის მილში
ჩაჯდება, ბილწავს წყაროსა,
ვინც იმ წყალს ოდნავ გასინჯავს,
მან ვეღარ გაიხაროსა!..
ვის თავს ატკივებს, ვის გული
ერევა, ძალზე აზიდებს,
ვერას შველიან — და ბევრიც
საქმე გაუჩნდათ აქიმებს.
შეწუხდა მეფე —... არსენმაც
წყალი აკურთხა რამდენგზის,
მაგრამ ეშმაკი კვლავ ანგრევს
და წყაროს ბილსაც ზედ აზის!
„აღარაფერი არ შველის —
და ხელს ავიღებთ ბარემა!“ —
გაისმის აქ-იქ და ყველა
ფიქრმა მოიცვა მწარემა...
ხმებიც დაირხა შორიდ შორს,
მიმოაქვთ ნიავ-ქარსავით,

ლამის ფარ-ხმალი დაჰყარონ,
შველას არ ჰხედვენ არსაით.
მთავაროსტატსაც უმატებს
გული კანკალს და ძგერასა,
სინჯავს შენობას და მიზეზს
ვერას პოულობს, ვერასა!
„მეტად მაფიქრებს... ამ საქმემ,
გულზე ეკალი დამასო!
ეშმაკეულის საქმეა,
რაღა თქმა უნდა ამასო?
თორემ ნაგები კარგია,
წუნი არ დაედებაო,
მაგრამ უხილავს რას უზამ?
რა ხელი მიგიწვდებაო“?!
ასე ამბობდა ბერძენი,
სწუხდა, ოხრავდა ფრიადა
და მანქანებმა ეშმაკის
მან უფრო გააზვიადა...
მხოლოდ ბერიკა არ სწუხდა
და არც სჯეროდა თხრობილი,
სდუმდა და არას ამბობდა
მძიმე ეჭვებით პყრობილი:
„ძნელია განსჯა კაცისა
ეჭვით და ნაჭორავითა,
ავისმოქმედი გაებმის
თვითვე ცოცხალი თავითა“...

VII

ხმამ გაიელვა, დავითი
გულავნით გადმოვარდაო,
ვერას უშველის სალბუნი
ირმის ნაწველის გარდაო.
ავჟანდაძეებს ჰყოლიათ
ზემო რაჭაში ფურიო,
მოგვგვარონ, ჩვენც დავუფასოთ
ერთგული სამსახურიო.
ვუკეთოთ მეფეს აბანო —

ირმის რძის აბაზანაო,
და კიდეც დაუბრუნდება
ძალ-ღონე თანდათანაო.
ბერიკა უნდა გავგზავნოთ,
აე რაღას უთვალყუროსო?
და მუშაობა კედლებზე
დროებით დაიხუროსო.
მივსცეთ ბრძანება შორსმავალს,
არავინ დახვდეს წინაო.
ეშმაკს ეამა და გულში
იდუმალ ჩაიცინაო.
მას ბერიკასი ეშინის,
როგორც, ვთქვათ, ქათამს ქორისა;
ეშმაკმაც ვერა გაიგო
ამხელად მონაჭორისა...

ბერიკას პარკი ჰკიდია
შიგ საგზალ-მარაგიანი,
ხელთ ყავარჯენი და წელზე
ჭრელტარა ქარქაშიანი.
დიდი გზა უძევს შორსმავალს,
ვინ იცის, იქნებ ულევი;
მაგრამ დღეს უნდა გამოჩნდეს
იმისი ნაერთგულევი.
წმინდა გიორგის სახელით
სწამს, რომ არარა ევნება,
არ გაექცევა მომხდურ მტერს,
არც გამქცევს დაედევნება...

VIII

აბა ვინა სთქვა პირველად,
ეშმაკს ვერავინ ნახავსო?
თვითონ კი გხედავს და იცის,
რაც გულში განგიზრახავსო.
აგერ გუშინდამ უნახავთ
იგი თავჯიღა-რქიანი,

ვაცის ჭლიკებზე შემდგარი,
ეკლოვან-ბრჯღალებიანი!
წინ სასირცხოსთან ეკიდა
ძაგრის ქსოვილი საფარი
და საკუდეზე თეთრი რამ
ულაყის ძუა-ფაფარი.
შოლტს რასმე ატკაცუნებდა,
წიოდა, ხანაც ჰკიოდა,
დანავარდობდა, დახტოდა,
ყირაზე გადადიოდა;
აევსო ხტომის ადგილი
დანაჭლიკ-დანაკვალითა;
ვისაც კი ყურით ესმინა,
თითქო ენახოს თვალითა!..

IX

ღრმა ძილით ძინავთ ნეკერჩხლებს,
ქვაბულ ქედებს თუ კლდოვანებს;
ეს ღამე ეგრე მდუმარი
ეშმაკს თუ ააფრთოვანებს...
სადღაც შორს ჭოტი იძახის,
აგერ ღამურა დაფრინავს;
ძინავს ქვეყანას დაღალულს,
ერთადერთს ეშმაკს არ ძინავს.
ვიდრე სულიერთ სამყარო
ჯერ არ მიმდგარა სრულიად,
სანამ სასწორსა და ქალწულს
ხომლი არ გადაუვლიათ;
პირველი ძილი მაშვრალთა
სანამ არ შევა ძალაში,
ფხიზლობს: ვაჲთუ გაეპას
რაიმე ხათაბალაში!
უმთვარო, ბნელი ღამეა
მაცდურის ბედს და კვალზედა;
მხოლოდ ვარსკვლავი თუ ბუუტავს
ობლად რამ წარბის თვალზედა;
აკვე ფრთებს სწურავს მამალი,

მოძახილს ეხმაურება —
და ეშმაკს უკვე შეუდგა
ჟრუანტელი და ხურვება...
განა რამდენი საქმე აქვს
ამაღამ საკეთებელი:
ასი წყრთა [illegible] -ნც იქნება
ჩამოსანგრევი კედელი!
ბერიკა რაჭას გაგზავნეს,
ახლა ის არას უშავებს;
ამიტომ უფრო გულდასმით
ამაღამ წაიმუშავებს...
თუმც ეშმაკია, მაგრამა
იმას კი მაინც გრძნობს ვერას,
ბერიკას თვალი ფხიზელი
აგერ კვალდაკვალ რომ ზვერავს...
უკვე რამდენი ღამეა —
იგი ზის სახუნდარშია
და სჭვრეტს, სად კედელს გაავლეს
უკანასკნელი არშია.
თვალს არ აშორებს იმ ხაზსა,
როგორც ვთქვათ, ქორი ნაგეში:
ვინძლო გააბას ეს მავნე
მისგან დაგებულ მახეში.

ფრთხილად ალაჯებს ეშმაკი,
სახუნდარს ჩამოუარა, —
ვერც ისა ჰხედავს, ვერც ესა,
სულიერია თუ არა.
ავიდა მიწაყრილზედა,
სულშეგუბული წვალებით [illegible]
და შიშნარევი კანკალით
ნაპერწკლებს ისვრის თვალებით.
მალე შავ საქმეს შეუდგა
შავით მოსაქმე შავადა:
ჩამოწვა ჩრდილო კედელი
მიწაყრილებზე ზვავადა.

ქორი აუშვა ბერიკამ,
ცაში აკეთებს ირაოს,
რომ ბნელი საქმის მოქმედი
დასცეს და ააყირაოს.
სახედველ-სასმინარები
ერთგვარად გაიმახვილა,
ხმა საიდანაც ისმოდა,
მეორე ქორი აფრინა.
ბრძოლა გაჩაღდა ჰაერში
ბრძოლა რამ გამოუთქმელი,
ზედ დაჰყურებდა ტყიური —
ტოტებაწვდილი ურთხმელი.
ჰაერში ჰუპუდ გაისმა
კვნესა თუ რაღაც ჯღავილი;
ღავღავი იწყეს ძაღლებმა,
აუტყდათ ენის ქავილი;
ქვევით მდინარე მოშსუის,
შიშინებს ჭერეხებშია,
საუცნაურო ამბავი
მიაქვს ხევიდან ხევშია.
ძაღლა ჩანს ტანი ეშმაკის,
ქორის კლანჭებში ხვეული,
და იქვე კედლის ერთი ფრთა,
მისგანვე ჩამონგრეული.
ბერიკამ თოკი მოჰზიდა,
მაგრად ეჭირა ხელშია,
ჩამოითრია ეშმაკი,
ერთიც არ დაუხვნეშია.

ბნელი ღამეა მოწამე
ამ საოცარი ბრძოლისა!
ადექით, ხალხნო, იფხიზლეთ,
რაღა დრო არის წოლისა?!.
შორით-შორს გაიკისკისა
ლამაზმა არემარემა
და კიდეც ამოანათა
დაგვიანებულ მთვარემა.
კისკისის ხმები გაისმა

ზესკნელ და გარესკნელიდან;
და შვებით ამოისუნთქა
სასულემ[1] ხორხის ყელიდან

X

ბედნიერია ბერიკა:
ალალი კაცი თავიდან,
ჩვეული გლეხის ბანაკით
მეთვალყურემდი ავიდა.
მას აბარია მარაგი,
საგზალს ის გააწილადებს,
მარცხნივ თუ მარჯვნივ თვალს და-
ყურს
აფხიზლებს, ამახვილადებს.
დღიურად ასჯერ მოირბენს
გალავან-გარეშემოსა,
დიდმა დავითმა ის ნდობით
და სიყვარულით შემოსა
ღღესაც მას მეფემ უბოძა
მ.ადლობა ერთი ორადა·
„ბედაური" კი — ბერძენი
იქვე აქცია „ჯორადა"

ჯორის კურტანი დაადგეს,
უფრო კი მეტად ვირისა:
მიწაყრილს ავსებს, ქვას ზიდავს
ჩუმად ამტანი ჭირისა.
ფიქრობს, რა დღეში ჩავვარდი,
როგორ დავკარგე ჭკუაო?
ბერიკამ მიყო ეგ საქმე,
ბერიკამ მომატყუაო.
გზირი უჩინეს, ლაგამი
ჯორმა არ წაიყაროსო:
თვალი ადევნეთ, ჯაშუში
ველარსად გაგვეპაროსო.

---

1 მონასტრის პირისპირ სამხრეთით, კლდეში ჩანს ჯურღმული, რომელსაც „სასულეს" ეძახიან.

XI

ერთხელ გზირს ოდნავ წასთვლიმა —
და ხვრინი არც კი აეშვა,
რომ დრო მოიგდო ბერძენმა
და პონტისაკენ დაეშვა.
რაკი „ლაგამი“ აჰყარეს,
„ჯორმა“ მყის გაინავარდა,
ვაცის ჭლიკებზე შემდგარი
გაჰქრა და გაუჩინარდა.
ის არე გაიცუნცულა,
როგორც კუდმომწვარ კატამა,
და უკვე ორპირს გასცილდა,
როცა იყივლა ქათამმა.
ზღვის პირას თავი ამოჰყო,
სად ძველი ნაცხარია,
მალე ხომალდზე ავიდა,
მიდის და მიუხარია.
ძღვნათ მიაქვს ამბავთ-ამბები,
ზოგი რამ მონაჭორავი,
და სხვა ცნობებთან — თუ როგორ
შეიქნა განაჭორავი!..
ცნობებს გვირგვინად დაადგამს,
რითაც თვით დანაკოდია:
კეისრის ჯილდო მოელის,
პატარა საქმე როდია!
ორი დღე-ღამის ნარბენმა
ბაქან-ბოძს თავი მიადო
და ყველა ფიქრი თავისი
მალე ზღვის ტალღებს მიანდო...
ნავის დაძვრაზე უძილარს
ღღე დაუღამდა მზიანი, —
ტალღებში ჩაწვა; სხვას არვის
არ მისცემია ზიანი.
„ერთგული კაცის ორგულსა
ხიდნი წყალს ჩაუცვივიან“;
მის ლეშზე დღისით ყორნები,
ღამით ტურები ჰკივიან!..

XII

სულ სხვაგვარ სუნთქავს მკათათვე,
როს ავარდება ალმური:
აღარც ზღაპარი გწყურია
და არც „ჩხიკინი“ კალმური..
ჩრდილში დაეძებ შესაფერს,
რომ დაემალო მზის თვალებს,
მაშინ მთის წყაროს რაღა სჯობს,
მაღლით რომ გადმოჩხრიალებს!..
ამ დროს გელათის გარემო
უცხო და საამურია:
წყარო ჩუხჩუხებს; გწყუროდეს, —
მიხვალ და აღარ გწყურია!
შემოგაგებებს სიგრილეს,
გესვრის და გესვრის კონებად.
ზამთარ ორთქლს აფრქვევს მიდამოს,
ალბათ თქვენც გაგეგონებათ!
რა საუცხოო წყაროა!
რა უცნაური რამ არი!
აქ იგრილებდა დავითი,
აქ ისვენებდა თამარი...
ახლაც აქ სხედან ორნივე —
დავით და მისი მოძღვარი —
და საუბრის დროს დავითმა
მას კითხვა მისცა ამგვარი:
„ეშმაკს რომ ხშირად ახსენებ
შეჩვენებით და გმობითა,
მასთან ანგელოზს დიდებით,
პატივით შესამკობითა;
ერთს სამოთხისკენ, მეორეს
ჯოჯოხეთს მიუხარიან,
ამიხსენ, გამაგებინე,
ვინა და რანი არიან,“ —
ეკითხებოდა მას მეფე
რაღაც გამომცდელ კილოთი,
თანაც ცივ წყაროს დასცქერდა,
სიამოვნებდა გრილოთი. —

მოხსნა არსენამ თავ-ბოლო
დიდი წიგნების საუნჯეს, —
ხან მიადგება სამოთხეს,
ხან ჯოჯოხეთის კარიბჭეს.
სიკეთის ხატად ერთს სახავს,
მეორეს აკუდიანებს, —
უჩილავი რამ ძალაა,
სიბნელით ახშობს მზიანებს...
პასუხად ესმის: „მოძღვარო,
მე ეგე ხშირად მსმენია,
მაგრამ კი სახე იმათი
მაინც ვერ დამიდგენია!“ —
— მოსწყურებოდა ბერიკას
ამ გლოვა-სიცხიანებში;
თან გაგრილებაც მოუნდა
წყაროს ცივ აბაზანებში...
თავმდაბლად ქედი მოხარა
ბერიკამ მეფის ნახვაზე;
მეფემ იხუმრა: „კარგია,
მოგვისწარ აქ, წყლის ნაყვაზე!
შენ რაღას იტყვი? — შენი თქმა
ჩემთვის პასუხად კმარისო:
ანგელოზსა და ეშმაკში
რა განსხვავება არისო?“..

ბ ე რ ი კ ა ს პ ა ს უ ხ ი

მეფესა ერთსა დიდებულს
ჰყავდა მხატვარი ქებული, —
ოსტატი თავის საქმისა
და მასზე გარდაგებული

უ ბ რ ძ ა ნ ა:

ანგელოზსა და ეშმაკზე
დიაღ ბევრი რამ მსმენია,
მნებავს თვითონვე ვნახვიდე
და ვეღარ მომითმენია.
დაჰხატე ორნივ, მომართვი

იმათი ნათესავიო,
არც დიდხანს დააგვიანო,
თორემ აგაძვრე თავიო!
შეწუხდა მეტად მხატვარი:
ჩემი დღე დაითვალაო,
სად ვის უნახავს ესენი
პირისპირ, თვალისთვალაო?..
დასძლია გამოცდილებამ, —
ოსტატი იყო ჭკვიანი —
და ერთ ტილოზე დახატა
მან ორი ადამიანი.
ერთიმეორის მსგავსნი რამ,
ვით ორი წვეთი წყალისა
და წარუდგინა მეფესა
განკითხვად ცოდვა-ბრალისა.
დახედა, გაწყრა: ესენი
ერთი მეორეს ჰგვანანო!
როგორ გაბედე, უგნურო,
თუ გსურს ახლავე განანო?!.
ჰკადრა: მეფეო, მათ შორის
განსხვავებაა დიდიო,
აბა, კვლავ სინჯი უყავით,
საგულეს დააკვირდიო.
დაჰხედა, მეფე გაოცდა;
ან კი რა დასაჯერია?
ერთის საგულე შავად ჩნდა,
მეორის ნათლისფერია!

კ ვ ლ ა ვ ჰ კ ა დ რ ა:

ანგელოზსა და ეშმაკს შუა
მხოლოდ ეგ არის ზღვარიო,
თორემ ერთიც და მეორეც
ადამიანი არიო!..
ბერიკას მხრებზე დაეშვა
წყალობის ხელი მეფისა,
ღიმნარევ ბაგეს აღმოხდა
სიტყვა მადლობა-ქებისა·

„იცოცხლე, ჩემო ბერიკა,
იცოცხლე, იყავ დღეგრძელი,
კვლავ შეგძლებოდეს ქვეყნისთვის,
რაც დღევანდლამდი შესძელი!..“

ეპილოგი

ბერიკა, კაცო, ბერიკა,
სიზმრად, არ ცხადად ნახულო,
ქვეყნის ამ გამოზაფხულზე
შენც უნდა გაიზაფხულო!
გაჰხედო შენის სამშობლოს
სიკეთეს უჭკნობს და ულევს
და კვლავ ახოვნად მდგომარეს
შენს უკვდავ ნაჭირნახულევს.
ის შენი ოფლის ცვარები
ზედ ამჩნევია მის კიდლებს,
ცხრაას გაუძლო წელიწადს.
და კვლავაც მრავალს გაუძლებს.
ჰპატრონობს შენი ქვეყანა
მას, ვით სინათლეს თვალისა:
შორი წარსულის სახსოვრად,
პატივად მომავალისა.
ახალი ქართლოსიანნი
დღეს აშენებენ სხვა ტაძრებს,
კედელს კედელზე უქმნიან
ახალ ნაგრძნობს და ნააზრევს.
გაჰხედავ შენსავ ქვეყანას, —
ვეღარც კი იცნო, მგონია;
იტყვი: მყობადიც მისია,
ვისაც წარსული ჰქონია!
შეითამაშებს სიცოცხლე
შენს ღიმმორეულ ბაგეზე,
კვლავ ტკბილად ჩაიღიღინებ
შენს ყოფილ ნაალაგევზე;
კვლავ გაიხარებ, მოხუცო,
სიამე მოგეფინება,

დაუბრუნდები შენს სამყოფს
და ტკბილად ჩაგეძინება...

გამიგონია: სახსოვრად
განთქმულის წინაპარისა,
გვყავდნენ ოსტატთა — ოსტატნი
ბერიკაშვილთა გვარისა.

ჭოლევი — ქუთაისი
1950 — 1951 წ.

შენიშვნები

დომენტი თომაშვილი (ოყრეშიძე) მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან მხატვრულ ნაწარმოებებს (ლექსები, პოემები, მოთხრობები), მოგონებებს, პედაგოგიურ და პუბლიცისტურ წერილებს სისტემატურად აქვეყნებდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში: „კვალი", „ივერია", „მოგზაური", „ისარი", „ცნობის ფურცელი" (სურათებიანი დამატება), „დროება", „ახალი დროება", „კოლხიდა", „სავაჭრო გზა", „განთიადი", „სამშობლო", „საქართველო", „მიწა", „განათლება", „ჯეჯილი", „ნაკადული", „სიტყვა და საქმე", „საბჭოთა მწერალი", „ქართული მწერლობა", „მნათობი", „ლიტერატურის მატიანე", „ლიტერატურული საქართველო", „სტალინელი", „ინდუსტრიული ქუთაისი", „ქუთაისი", და სხვ. ნაწარმოებები იბეჭდებოდა ფსევდონიმებით: „დ. თომაშვილი", „დ. ო-ძე", „დ. თ-ლი", „გლეხი", „ყაზახი", „დ. ჭოლეველი", „დონ", „ოკრიბელი", და სხვ.

1939 და 1955 წლებში გამოცემულ იქნა დ. თომაშვილის ლექსთა კრებულები.

წინამდებარე „რჩეულში", რომელიც ქრონოლოგიური პრინციპით არის შედგენილი, შეტანილია აგრეთვე დაუბეჭდავი ლექსებიც და პოემა „ბერიკა ლევისარაშვილი", ამოღებული ავტორის არქივიდან.

პოემა „ბერიკა ლევისარაშვილი", რომელზეც დ. თომაშვილი დიდი გატაცებით მუშაობდა თავისი სიცოცხლის მიწურულში, ასახავს დავით ალმაშენებლის მიერ გელათის მონასტრის აგებას და ამ საქმეში ოკრიბელ გლეხთა წვლილს. როგორც თვით ავტორი მიუთითებს, მან ამ პოემას საფუძვლად დაუდო ბავშვობაში გაგონილი გადმოცემა:

„იქ, სადაც დღეს გელათის ტაძარი დგას, ცხოვრობდა გლეხი ბერიკა ლევისარაშვილი. დავითმა ეს ადგილი მონასტრისათვის მოიწონა, გლეხი უხვად დააჯილდოვა თვალ-მარგალიტით და ოქრო-ვერცხლით და გაისტუმრა. მიმავალმა უკან მოიხედა. — ალბათ გული წყდებაო, და მეფემ გლეხს ჯილდო გაუდიდა. ბერიკა გულღია და მხიარული კაცი იყო. მალე საშინელი დაღვრემლობა დაეუფლა... მუშაობას შეუდგნენ. კედლები სწრაფად იზრდებოდა. მუშაობდნენ ქართველი ოსტატები, მეფემ ერთი ბერძენიც მოიწვია სპარსეთიდან.

ეშმაკი შეუჩნდათ, კედლებს ანგრევდა, დავითმა ეშმაკი დაიჭირა, ივი ჯორად იქცა. ამ ჯორით დავითი მთელს თავის საბრძანებელს შემოივლიდა. ბრძანება გასცა, ლაგამი არ წაჰყაროთო. მსახურს დაავიწყდა, წაჰყარა, ჯორი მაშინვე ეშმაკად იქცა და წყაროს მილში დაიმალა. დავითმა მილს რკინის ჯვარი დაადვა და ეშმაკი სამუდამოდ იქ დარჩა.

გადმოცემა გამიგონია: იაკობ ოყრეშიძისაგან, რომელიც ბაბუა იყო ჩემი. წარსული საუკუნის 50-იან წ. ის გელათში სწავლობდა ისაკ ბერთან (დოღო-

ნაძე). ბაბუაჩემი ერის კაცი იყო. ლუკა პეტრეს ძე ჭირაქაძისაგან—სოფ. გელათის მკვიდრი იყო. არჩილ ცირღილაძისაგან — გელათის მკვიდრივე.

არტემ ბერეკაშვილს უთქვამს ჩემთვის: ბერეკაშვილებს კალატოზობა გელათის მშენებლობაზე უსწავლიათო.

XIX საუკუნის განთქმული ოსტატები იყვნენ: ვასილ ბერეკაშვილი, ფილიპე და განსაკუთრებით ლევან ბერეკაშვილი — სოფ. ყურსევში მცხოვრებნი".

მდიდარი საარქივო მასალიდან „რჩეულში" მხოლოდ ლირიკული ლექსების ერთი ნაწილი შევიდა: „უღელტეხილზე", „სიტყვა", „ნაწყვეტი", „ჩემს ჟამთა აღმწერელს", „ლირიკული ნაწყვეტები", „მე იგი შოგონება", „ღიმილი ერთი წუთით", „...დიდად ნუ ჰყასობ", „სამშობლოსადმი,"... „ბარათამკილმა გვიმღერა", „აკაკის", ...„ნაძვებო იცით რა გითხრათ", „ეკატერინე ჭავჭავაძეს", „მთებო, ჰე, მთებო", „სიბერეშიც", „მოხუცის ნუგეში", „დღიური", „შენდა მოვილტვი", „ეაენათი", „აკაკი სხვიტორში", „საბრალო გული", „ვაჟო, შენც ახმიანდი", „ლექსის დაბადება", „ჩემო კეთილო", „ზარი ეანთიადისა", „მამია გურიელი", „გულის სათქმელი", „გელათის ზარი", „გახსოვს!" ...„ვაზიანებში ვიდექ, ებარავდი", „მოხუცის ფიქრები", „კალენდარი".

ს ა რ ჩ ე ვ ი

დომენტი თომაშვილი (წინასიტყვაობა) ბ. ელენტის 5

ლ ე ქ ს ე ბ ი

ცხოვრების ხმა 19
შატლს 20
კუდქიცინა მეგობარს 21
ცრემლები 22
*** („ვზიკარ ჩემთვის“), 22
ქალწულს 23
ნაწყვეტები 25
*** („სულო, ითრთოლე შვებითა“) 34
ოცნება 34
*** („დაშრა ზღვა ოცნებისა“) 36
როდემდის?! 36
*** („მოკვდაო,—მესმა, ახ ნეტავი მას“) 38
*** („ვული დაჰკოდა ძმობილო“) 39
სიმღერა 40
სიმღერა 42
ერთ მრავალთაგანს 43
მჭედელი 46
მოლოდინში 47
გამარჯვება 48
წითელი დროშა 49
ამხანაგებო! 50
მედგრად, ძმებო! 52
ამოძახილი 53
ეჭვით შეპყრობილს 55
*** („იმათ ჭერქვემ ჯოჯოხეთი“) 57
მეგობარს 58
ცხრა იანვარი 60
...(„კვლავ დაიქუხა საქართველოზე“) 61
...(„ვაგლახ, ერო გაუწვრთნელო“) 62
აკაკის 63
სადღეისო 65
ვუძღვნი ა. ფრონელს მისი წიგნების გამო 67
ბურჟუას ნადიმზე 69
ნაფრქვევი 71
ქუთაისი 73
ჩემი მოციქული 74
გაზაფხულდა?! 77
...(„მაღლა ვდგავარ, მთის მწვერვალზე“) 78
გმირთა აჩრდილებს 80
... („ათი წელი, ათი წელი“) 82
ესე ერთხმად 83
(„ულმო კერპისა წინაშე“) 85

ნაწყვეტი 86
... („დიდად ნუ პიჭსიჭ“) 87
შვილიშვილი მუშა პოქულაისა 87
სიმღერა 90
ულელტეხილზე 91
სიტყვა 93
ნაწყვეტები 95
ჩემს „ჟამთა აღმწერელს“ 95
ლირიკული ნაწყვეტები 96
ლირიკული ნაწყვეტები 97
„მე იგი მოგონება“ 97
საოქტომბრო 98
ვაჟას 99
ღიმილი ერთი წუთით 100
ორი შესვედრა 101
ესპანელ ქალს 102
მფრინავთა ათასეულებს 103
სამშობლოსადმი 105
დიდი ილიას ხსოვნისათვის 106
... („ლამაზ მკერდს ამკობს“) 107
მესხი ვინმე მელექსე 108
დავით გურამიშვილს 109
ნიკოლოზ ბარათაშვილს 112
სიყვარული 113
ლეღვის ხე 114
სამშობლოსადმი 115
გუჯარეთი 115
... („ბარათაშვილმა ვიმღერა“) 118
სიმღერა 118
სვამლი 119
აკაკი 121
აკაკი კაკლის ძირში 123
სიმღერა 125
ქართველ მეომრებს 127
მოხუცი და ახალგაზრდა 128
წერილი ბრძოლის ველიდან 129
...(„ნაძვებო, იცით რა ვითხრათ“) 130
წითელი არმიის XXV წლისთავზე 131
(„აბჯრად სამკერდე მოვისხი“) 132
უცნობ პოეტს, რომელმაც ფრონტიდან წერილი გამომიგზავნა 133
მადლობა 135
ეკატერინე ჭავჭავაძეს 136
მთებო, ჰე, მთებო! 137
სიბერეშიც! 139
მოხუცის ნუგეში 140
დღიური 141
შენდა მოვილტვი 142
გაენათი 143
„ალალი იყოს“ 144
გაზეთის გამოსვლა 146
აკაკი სხვიტორში 147
საბრალო გული 148
გ. ქუჩიშვილის ხსოვნას 149
დილა იყო მაისური 150
სამაისო 152
ვაჟო, შენც ახმიანდი 154

ლექსის დაბადება 155
წყალტუბო 156
ჩემო კეთილო! 157
ბარი განთიადისა 158
მამია გურიელი 159
ქვანახშირი 160
დღეს მოუშუშდა დიდ პოეტს წყლულები 161
ტარას შევჩენკოს 162
ლექსი 163
... („ლექსო, ლექსი ვინ დაგარქვა“) 163
იმერეთი 164
კიდევაც ვიტყვი სიმღერას 165
ფოთოლი შემოდგომისა 167
სიმღერა 169
ჩაის მკრეფავ ქალს 170
გულის სათქმელი 170
გელათის ზარი 172
სიბერე 173
გახსოვს? 173
მშობლიურო მიწა 174
გელათი ბაგრატის თხემიდან 175
*** („ვაზიანებში ვიდექ, ვბარავდი“) 176
ბაგრატის ტაძარი 177
ისტორიული ჭადარი 178
ნიკორწმინდას ვიყავი 179
ქართული ენა 180
მოხუცის ფიქრები 181
...(„ჩიტის გული, ბავშვის გული“) 183
კალენდარი 183
უკანასკნელი 184

პოემები

შავი ცხვარი 185
ბერიკა ლევისარაშვილი 197

შენიშვნები

რედაქტორი ნ უ ნ უ ხ ო მ ე რ ი კ ი
მხატვარი ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ჭ ე დ ლ ი შ ვ ი ლ ი
მხატვრული რედაქტორი ა ნ ზ ო რ თ ო დ რ ი ა
ტექნიკური რედაქტორი თ ე ი მ ურ ა ზ ნ ა თ ი შ ვ ი ლ ი
კორექტორი მ ა ნ ა ნ ა ს ა ნ ა დ ი რ ა ძ ე

გადაეცა წარმოებას 16/III-76 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/I-77
ქაღალდის ზომა 84×108 1/32 საბეჭდი № 1
ნაბეჭდი თაბახი 13,02
სალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10,69
უე 00308 ტირაჟი 3000 შეკვეთის № 4584

ფასი 1 მან. 46 კაპ.

გამომცემლობა „მერანი", თბილისი, რუსთაველის 42, 1977